კალაშნიკოვი, კურორტების პრივატიზაცია და აფხაზეთში დარიგებული რუსეთის პასპორტები A2

სამუცნობიანი განტოლება - დიდგორი, ჭართი, პრივატიზაცია A2

ხალხი - ეს ჩვენც ვართ A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 11 ივნისი, 2002 წელი. №9 | ფასი 50 თეთრი

# ოქროს ხანა და დღევანდელობა

## 800 წელი ამაღლებიდან დაცემამდე

ვერიკო თევზაძე

ბასილ მკალავიშვილის მიერ მოწყობილი გუშინდელი საპროტესტო აქცია რუსთაველის ძეგლიდან დაიწყო. აქციის ორგანიზატორთა ძირითადი მოთხოვნა იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული რელიგიის შესახებ კანონპროექტის გაუქმება. მკალავიშვილის თქმით, **"ამ კანონპროექტით იუსტიციის სამინისტრო აკანონებს კრიმინალური სექტების საქმიანობას"**.

ე.წ. გლდანის მართლმადიდებლური ეპარქიის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ იეღოველები ძარცვავენ ტაძრებს, ბილწავენ მართლმადიდებელთა საფლავებს. **"ამ დანაშაულს სჩადიან გლდანის ელექტროდეპოს იეღოველი თანამშრომლები: მალხაზ ღვინიაშვილი, ფრიდონ ტაბატაძე, მერაბ ბერაშვილი, დავით პაქსაშვილი, ნიკა ჯიქია, ჯემალ ჯიქია და სხვები."**

ერთადერთი ტრანსფარანტი იუწყებოდა, რომ მკალავიშვილს სტუდენტობაც უჭერდა მხარს. ტრანსფარანტი ხელში ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს, ხანდაზმულ ხალხს შორის მდგარ გიორგი ანასაშვილს (ყოველ შემთხვევაში, ასე გაგვეცნო) ეჭირა. ჩვენს შეკითხვაზე – დანარჩენი სტუდენტები სადღა არიან? – გიორგის ნაცვლად, მის გვერდით მდგარმა ქალბატონებმა განაწყენებული ტონით გვიპასუხეს, კურთხევის გარეშე ინტერვიუს არ ვიძლევითო.

მთაწმინდის რაიონის პოლიციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ძალის დემონსტრირება ზედმეტად მიიჩნიეს, თაკარა მზეს ვერ გაუძლეს და, რამდენიმე ჟურნალისტთან ერთად, კინოს სახლის გასწვრივ მდგარ ჭადარს შეაფარეს თავი.

მოგვიანებით პროცესიამ იუსტიციის სამინისტროსკენ გადაინაცვლა. აქციის მონაწილეთა აღტკინებული სახეების დანახვისას, მაღაზია "ლუქსის" წინ მდგარი ყველაზე თავხედი მაწანწალა ბავშვებიც კი შეშინდნენ და მოკურცხლეს.

სამინისტროსთან მკალავიშვილის მხარდამჭერებმა ზარების რეკვა ატეხეს. შენობის ფანჯრებს უამრავი მხიარული სახე მოაწყდა. ბასილ მკალავიშვილმა ითხოვა, რომ სამინისტროს წარმომადგენელი ქვემოთ ჩამოსულიყო და აქციის მონაწილეებს შეხვედროდა. შეკ-



იური ლობოდინის ფოტო

რებილებს არავინ გამოხმაურებია. განწბილებულმა მკალავიშვილმა რელიგიის შესახებ კანონპროექტის ასლი დემონსტრაციულად დაწვა.

ბასილ მკალავიშვილმა ბევრი ქართველი პოლიტიკოსი მოიხსენია ლანძღვა-გინებით, ხოლო სახალხო დამცველის ოფისს "სულების გამყიდველი პუნქტი" უწოდა და თავად ნანა დევდარიანი ანათემას გადასცა.

აქციის მონაწილეთა შორის მცირეწლოვანებიც იყვნენ. "24 საათის" რეპორტიორი ორ მათგანს - რვა წლის სალომე ჯანაძეს და ცხრა წლის მარიამ აჩელაშვილს გაესაუბრა. ჩვენს კითხვაზე – რა აწუხებთ მათ, რისთვის იმყოფებიან აქციაზე? - პატარებმა გვიპასუხეს, რომ ისინი მხარს უჭერენ ბასილ მკალავიშვილს, ანუ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას.

მკალავიშვილის მხარდამჭერთა უმრავლესობა გმობდა რელიგიის შესახებ კანონპროექტს, თუმცა, ამ დოკუმენტის შინაარსს არ იცნობდა.

# კომპრომისები დემოკრატიის სახელით

## არჩევანის დაკარგული უფლება

ეკა კვესიტაძე

*2 ივნისის ადგილობრივმა არჩევნებმა ჩაიარა. ხელისუფლების განაცხადებით, ყველაფრის მიუხედავად, მთავარია, რომ არჩევნები ჩატარდა. ანუ მნიშვნელობა არც დატაცებულ ბიულეტენებს, არც ათასობით ადამიანის დაკარგულ ხმას და, ბუნებრივია, არც უამრავ დარღვევას აქვს.*

*მთავარია, რომ პრეზიდენტს შეუძლია თქვას - ჩვენ კიდევ ერთი არჩევნები ჩავატარეთ და მოსალოდნელი დესტაბილიზაცია თავიდან ავიშორეთ.*

წინა არჩევნების, განსაკუთრებით გასული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არავინ, მარგინალური ოპოზიციის გარდა, არჩევნების გაყალბებას მეტისმეტი მტკივნეულობით არ აღიქვამდა. მაშინ ხელისუფლების მიერ "აღორძინებისა" და პრორუსული, არადემოკარატიული ძალებისაგან დახატული საფრთხე ამართლებდა ყველაფერს - გაყალბების იმ უამრავ ფაქტსაც, რომელიც წინა არჩევნების დროს არაერთგზის დაფიქსირდა და რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში "მოქალაქეთა კავშირს" საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძეს 80-პროცენტიანი გამარჯვება მოუტანა.

მაშინ პინოჩეტსმოწყურებულ ქართველ ლიბერალებში ძალიან პოპულარული იყო ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ფარიდ ზაქარიას სტატია - "არალიბერალური დემოკრატიის აღმასვლა", რომელმაც, თავის დროზე, დასავლელ ანალიტიკოსთა წრეში დიდი ვნებათაღელავა გამოიწვია. სტატიის იდეამ, რომ ხელისუფლებაში ავტორიტარული მმართველები ხშირად დემოკრატიული არჩევნების გზით მოდიან, ეჭვქვეშ დააყენა ლიბერალური დემოკრატიის განვითარებაში არჩევნების, როგორც დემოკრატიის საბაზისო პრინციპის, მნიშვნელობა.

ეს იდეა საკმაოდ ახლობელი და მისაღები აღმოჩნდა ქართული საზოგადოების ნაწილისა და პოლიტიკოსებისთვის. ჩაითვალა, რომ არჩევნების გაყალბებაში, როცა ის დემოკრატიისა და სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ მუშაობს, ტრაგიკული ბევრი არაფერია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ცესკომ თბილისს წერტილი დაუსვა

## დამარცხებულები მასობრივი არეულობებით იმუქრებიან

თამარ მჭედლიშვილი

*თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგებზე მსჯელობა დღეიდან უზენაეს სასამართლოს მოუწევს. ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს უკვე მზად აქვთ სასარჩელო განცხადება, რომლის თანახმადაც, ცესკომ თბილისის არჩევნების შედეგები კანონის დარღვევით დაამტკიცა. ეროვნულ-დემოკრატი* ***დავით შუკაკიძე*** *აცხადებს, რომ* ***"სარჩელი სასამართლოში დღეს დილით შევა".***

გასულ შაბათს, გვიან ღამით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა იმ პარტიათა ჩამონათვალი, რომლებმაც 4-პროცენტიანი ბარიერი დაძლიეს. სხვათა შორის, ცესკომ ეს შედეგები ისე დაამტკიცა, რომ პარტიების საჩივრები არ განუხილავს. შაბათს კომისიამ კიდევ ერთი, მორიგი უცნაურობაც ჩაიდინა – არჩევნების შედეგების რევიზიის თაობაზე მიღებული საკუთარი გადაწყვეტილება გააუქმა.

ერთი სიტყვით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თბილისის არჩევნების თემა დახურულად გამოაცხადა და მისკენ მიბრუნებას აღარ აპირებს. თავის მხრივ, ამ თემის ამოწურვას სულმოუთქმელად ელოდებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც. ყოველ შემხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სახელმწიფო კანცელარიიდან ყოველდღე ინტერესდებოდნენ, თუ რა სიტუაციაა ცესკოში – მტკიცდებოდა თუ არა თბილისის შედეგები და თუ არა, რატომ.

საკრებულოში გასული პარტიებიც არ აპროტესტებენ მიღებული მანდატების რაოდენობას. ამ მხრივ, ცესკოში სრული იდილიაა. საუბრები ტოტალურ გაყალბებებსა და კარუსელებზე კი საარჩევნო ეტიკეტის მოთხოვნაა, რასაც პოლიტიკური სპექტრის გამარჯვებული ნაწილი განუხრელად მისდევს.

რაც შეეხება მანდატებს, იგი საბოლოოდ ასე გადანაწილდა:

**ლეიბორისტული პარტია – 15 მანდატი; "ნაციონალური მოძრაობა" – 14; "ახალი მემარჯვენეები" – 7; "ჟვანიას გუნდი" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 4-4; "აღორძინება" – 3; "ერთობა" - 2 მანდატი.**

გაგრძელება A2 გვერდზე

მამალაძე რეორგანიზაციას იწყებს A2

მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის მოლოდინშია A4

სომხეთ-დიასპორის კონფერენცია A5

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა A7

მაფია კვდება? A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 32 |
| ქუთაისი | 33 |
| ბათუმი | 32 |
| სოხუმი | 33 |
| ფოთი | 33 |
| თელავი | 30 |
| ზუგდიდი | 35 |
| გორი | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2200 |
| ევრო | 2.0870 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2337 |
| რუბლი | 0.0706 |

# რას უქადის სასამართლო ხელისუფლებას ზურაბ ჟვანიასა და ლადო ჭანტურიას დაპირისპირება

ზაზა წულაძე

"24 საათი" გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუებს - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიასთან და პარლამენტის ყოფილ სპიკერ ზურაბ ჟვანიასთან

*რეფორმირების პროცესში მყოფ სასამართლო ხელისუფლებას, საზოგადოების თვალში, ხელახალი დისკრედიტების საფრთხე დაემუქრა. სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ინიციატორისა და ავტორის, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მწვავე დაპირისპირება სასამართლო ხელისუფლებასთან და პირადად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიასთან, მეტისმეტად საშიშ ფორმასა და მასშტაბებს იღებს.*

ტრადიციულად ზომიერი და გაწონასწორებული ჟვანია ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რომ მისი ყოფილი ფავორიტი ლადო ჭანტურია, რომელმაც სამი წლის წინ სწორედ ჟვანიას დიდი მხარდაჭერით გადაინაცვლა იუსტიციის მინისტრის სავარძლიდან უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის კაბინეტში, **"ასეულ ათასობით ქართველის წინაშე დაადანაშაულოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და რეპუტაციის სრულ დანგრევაში".**

ჟვანია დარწმუნებულია, რომ 10 და 24 მაისს, უზენაეს სასამართლოში "მოქალაქეთა კავშირთან" დაკავშირებულ პროცესებზე გამოტანილი განჩინებები, მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო და პრეზიდენტ შევარდნაძის აპარატიდან სატელეფონო ზარის შემდეგ მიიღეს. ამ განჩინებებმა, რომლებმაც პარლამენტის ექს-სპიკერი "მოქალაქეთა კავშირის" მიღმა დატოვა, ჟვანიას საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა. იგი უახლოეს მომავალში ევროსასამართლოში აპირებს საქმის გადატანას, რათა **"დაიცვას სასამართლო რეფორმის მონაპოვარი - ქართული სასამართლოს დამოუკიდებლობა, უზენაეს სასამართლოს ჩამოაშოროს ამჟამინდელი თავმჯდომარე და კიდევ რამდენიმე მოსამართლე".**

ყოველთვის ზედმეტად ფრთხილი ლადო ჭანტურია კატეგორიულად უარყოფს პრეზიდენტ შევარდნაძისა და სახელმწიფო კანცელარიის დაინტერესებას "მოქალაქეთა კავშირთან" დაკავშირებული სასამართლო პროცესებით და ამბობს, რომ, **"თუ სასამართლო გადაწყვეტილებებს მეგობრობით, ნაცნობობით, პარტიული კუთვნილებით, პოლიტიკური სიმპათიებითა თუ ანტიპათიებით მიიღებს, ეს სასამართლო აღარ იქნება".**

**"სანამ ამ თანამდებობაზე ვარ, გამორიცხულია, რომ სასამართლომ ვიღაცის შეკვეთები შეასრულოს!"** –აცხადებს უზენაესი მოსამართლე, რომელიც სულ ახლო წარსულში, ჟვანიას მხარდაჭერითა და მეგობრობით ამაყობდა.

1999 წლიდან მოყოლებული, საქართველოში სასამართლო რეფორმის განხორციელებაზე, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი კრედიტიდან, უკვე 7,4 მილიონი აშშ დოლარია დახარჯული. საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის გაფორმებული კონტრაქტით, 2003 წლის ივნისამდე კიდევ 8,8 მილიონი აშშ დოლარი უნდა დაიხარჯოს. ეს 16,2 მილიონი აშშ დოლარი მომავალში თითოეული ჩვენგანის გადასახდელი იქნება.

დღეს პირველად გაძლევთ საშუალებას, გაეცნოთ, თუ რას ფიქრობენ მკვეთრად დაპირისპირებული ზურაბ ჟვანია და ლადო ჭანტურია. პარლამენტის ექს-სპიკერმა და უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ "24 საათს" ექსკლუზიური ინტერვიუები მისცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# არის ასეთი პარტია

## ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი

დავით ზურაბიშვილი

ის ყველაზე მეტს უყვარს და ყველაზე მეტად ეზიზღებათ. მას ყველაზე მეტ პრეტენზიას უყენებენ და მისი ყველაზე მეტად ეშინიათ. მასზე ყველაზე მეტს ლაპარაკობენ და მასთან ყველაზე მეტს კამათობენ, ზოგიერთებისთვის ის მომავლის იმედია, ზოგიერთებისთვის კი, "ვინც გინდა იყოს, ოღონდ ეგ არა!"

არის ასეთი პარტია, "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი", რომელიც ნომინალურად ოთხ სუბიექტს აერთიანებს და ოთხი თანათავმჯდომარე ჰყავს, მაგრამ მთელი ეს პოლიტიკური თანამეგობრობა მაინც ყველაზე ხმაურიანი ქართველი პოლიტიკოსის, მიხეილ სააკაშვილის სახელთან ასოცირდება. ვამბობთ სააკაშვილს, ვგულისხმობთ ნაციონალურ მოძრაობას და პირიქით.

საქართველოს პოლიტსპექტრში სააკაშვილი დღეს სულ სხვა მასშტაბის და სულ სხვა ტიპის ფიგურაა, ვიდრე ეს იყო გუშინ, ანდა გუშინწინ. თუმცა, გუშინდელის და გუშინწინდელის ინერცია იმდენად ძლიერია, რომ ამის გაცნობიერება არათუ სხვებს, პირადად მასაც კი საკმაოდ უჭირს.

1995-97 წლებში მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული გუნდის სარეკლამო სახე, როგორც ახალი ტიპის პოლიტიკოსი (ამერიკაში ნასწავლი, ენების მცოდნე, დასავლური ორიენტაციის იურისტი), საპარლამენტო ტრიბუნი და მასმედიის უპირველესი ფავორიტი, მიხეილ სააკაშვილი, ლამის სიმბოლურად განასახიერებდა ლიბერალ-დემოკრატიული ღირებულებების ძლევამოსილ დამკვიდრებას საქართველოში..

საინტერესოა, რომ სწორედ იმ პერიოდში იბადება ნოვატორული ტერმინი "ჟვანია-სააკაშვილის გუნდი", რომელიც სადღეისოდ უკვე სტერეოტიპად იქცა და ხშირად "ჟვანია-სააკაშვილი" ისეთივე პერსონიზებულ კონტექსტში მოიხსენიება, როგორც, ვთქვათ, "სარიშვილი-ჭანტურია". სინამდვილეში ასეთი გუნდი არასოდეს არსებობდა. იყო ზურაბ ჟვანიას გუნდი და მიხეილ სააკაშვილიც ისეთივე წევრი იყო ამ გუნდისა, როგორც მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი ბარამიძე და სხვები. სააკაშვილის რეფორმატორული წარმატებები მისი კარიერის დასაწყისში დიდწილად უზრუნველყოფილი იყო სწორედ ჟვანიას მხარდაჭერით, რომელიც ანეიტრალებდა მმართველი კლასის გაღიზიანებულ რეაქციას სააკაშვილის რადიკალიზმზე.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ანალიტიკა

B1 ფეხბურთი | B2 ფეხბურთი | B3 ფეხბურთი | B4 ტოტალიზატორი | B5 სტილი | B6 კულტურა | B7 კულტურა | B8 სხვადასხვა

## მამალაძე რეორგანიზაციას იწყებს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის არჩევნების მეორე დღესვე, გუბერნატორი ლევან მამალაძე ქვემო ქართლის ადმინისტრაციაში რეორგანიზაციისა და საკადრო ცვლილებების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მისი თქმით, ადმინისტრაციის აპარატისა და სამსახურების რეორგანიზაცია იმისათვისაა საჭირო, რომ მათი მუშაობის შედეგიანობა გაიზარდოს. **"ეს არ ნიშნავს პიროვნებების შეცვლას, მაგრამ არც ეს არის გამორიცხული,"**- განაცხადა მან.

რწმუნებულის აპარატში არ იციან, კონკრეტულად რას ან ვის გულისხმობდა გუბერნატორი, როდესაც ასეთ განცხადებას აკეთებდა. ვიცე-გუბერნატორ მერაბ ასანიშვილს, როგორც თავად ამბობს, ამ თემაზე მამალაძესთან საუბარი არ ჰქონია და, შესაბამისად, არც იცის, რა საკადრო ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სამხარეო ადმინისტრაციაში: **"ვფიქრობ, ასეთი განცხადების გაკეთება იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენთან არის შემთხვევები, როცა გარკვეული დავალებები არ სრულდება. არ გამოვრიცხავ, რომ დამატებითი კონტროლის სამსახურიც შეიქმნას."**

საკადრო ცვლილებებს ელიან რუსთავის მერიის აპარატსა და სამსახურებშიც. აპარატში ამგვარი ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან მისი დღევანდელი შემადგენლობის დიდი ნაწილი მერაბ ტყეშელაშვილის კადრია, ეს უკანასკნელი კი, შეიძლება ითქვას, უკვე ქალაქის მერად ითვლება. არაოფიციალური ინფორმაციით, ერთ-ერთი პირველი საკადრო ცვლილება პოლიციის სამსახურში განხორციელდება. ამ ვერსიას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე, მერიის მხრიდან რუსთავის პოლიციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა, უფრო მეტიც, ადგილობრივმა ხელისუფლებამ საარჩევნო ბიულეტენების დაკარგვაზე მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ადგილობრივ პოლიციას დააკისრა.

# კომპრომისები დემოკრატიის სახელით

## არჩევანის დაკარგული უფლება

პირველი გვერდიდან

თუმცა, დღეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გაყალბების მექანიზმები, რომელიც ადრე დემოკრატი პოლიტიკოსების ხელში "სამშობლოს სახელით" მუშაობდა, იგივე პოლიტიკოსებს ბუმერანგივით უკან დაუბრუნდათ. ჟვანიასა და სააკაშვილის გუნდები უკვე ყველაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმაზე, თუ როგორ კლავს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებით საქართველოში დემოკრატიას და ხალხს ყველაზე მთავარს - არჩევანის უფლებას ართმევს.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, იგივე ჟვანია-სააკაშვილის გუნდი ამტკიცებდა, რომ რაიონებში ხალხი მზად არ არის, მერები და გამგებლები თვითონ აირჩიოს. თუმცა, მოგვიანებით ოპოზიციაში გადასული ორივე პოლიტიკოსი ხელისუფლებას ადანაშაულებდა, რომ მან რეალური თვითმართველობის პრინციპზე უარი თქვა და დიდი ქალაქებში მერების არჩევითობას მხარი არ დაუჭირა.

განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიის გადასარჩენად უნივერსალური ფორმულა ჯერ არ არსებობს. მთავარია, რომ ხალხმა არჩევანი თვითონ გააკეთოს, მნიშვნელობა არა აქვს, რის ან ვის სასარგებლოდ.

ხელისუფლების ერთადერთი მოვალეობაა, ამომრჩეველს არჩევანის უფლება მისცეს და ყველა პარტია თანაბარ პირობებში ჩააყენოს, რადგან გაყალბებული არჩევნები დემოკრატიას მაინც ვერ დაიცავს.

თუმცა, გაყალბებული არჩევნებით ვერც ხელისუფლება დაიცავს საკუთარ თავს.

2 ივნისს მთავრი ის კი არ იყო, რომ არჩევნები, "ყველაფრის მიუხედავად, მაინც ჩატარდა", როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, არამედ ის, რომ ამომრჩეველს სურვილი გაუჩნდა, არჩევანის უფლებისათვის ბოლომდე ებრძოლა.

მოსაზრება, რომ ქართველი ხალხი ბედსმინდობილი, პასიური ამომრჩევლია და, საერთოდ, დემოკრატიისთვის ეთნო-ფსიქოლოგიურად მოუმზადებელია, თანდათან ეჭვქვეშ დგება.

ქართულ საზოგადოებას ბევრი პრობლემა აქვს. მოქალაქეობრივი თვითშეგნება და საკუთარი სახელმწიფოს განცდა, მისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილია. ბევრ ალალად პატრიოტ ქართველს საბჭოური ინერციით სახელმწიფო ისევ აბსტრაქტული ცნება ჰგონია, რომელიც "მეწველ ძროხასავით" შეგიძლია, მოწველო და ამით სამშობლოს არაფერი დაუშავდება.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ხელისუფლება, რუსეთის მსგავსად, დამოუკიდებელ ტელეკომპანიას ვერ დახურავს, საქართველო ვერც ცენტრალური აზიის და აზერბაიჯანის მსგავსად აიტანს დიქტატურას და ყოველ კუთხეში შევარდნაძის გადიდებულ სურათებს ვერ იგუებს. ბოლოსდაბოლოს, ის არც ბელარუსია, სადაც, ლუკაშენკოს დიქტატურის მიუხედავად, ხალხი ქუჩაში დემონსტრაციებს მხოლოდ იმიტომ აწყობს, რომ ხელისუფლებამ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლება არ შეისყიდა.

მაგრამ, უკვე დაშვებული კომპრომისებით, ქართველ ამომრჩეველს წაართვეს მთავარი, თავად აირჩიოს, როგორ საზოგადოებაში და როგორი ღირებულებებით იცხოვროს.

## ღირსების მედალი ღირსეული პარტნიორობისთვის

კობა ლიკლიკაძე
რადიო „თავისუფლება„
სპეციალურად „24 საათისთვის„

**თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღლუ პირველი უცხოელი სამხედრო პირი იქნება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი დღეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ჯილდოთი – ღირსების ორდენით დააჯილდოებს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ეს ჯილდო თანაბრად ეკუთვნის თურქეთის შეიარაღებულ ძალებს იმ ფასდაუდებელი სამხედრო დახმარებისთვის, რომელმაც, ყველაზე რთულ პერიოდში საქართველოს თავდაცვის სისტემას სიცოცხლე შუნარჩუნა.**

თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს სტრატეგიული სამხედრო მოკავშირეა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს სამხედრო ძალების შენობა-ნაგებობების რემონტსა და ტექნიკურ აღჭურვაზე თურქეთმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთი წლის ბიუჯეტის ოდენი თანხა, დაახლოებით, 20 მილიონი დოლარი დახარჯა. აღსანიშნავია, რომ თურქეთს სამხედრო დახმარების მოცულობა არ შეუმცირებია მაშინაც კი, როდესაც მეზობელ სახელმწიფოს მძლავრმა ფინანსურმა კრიზისმა გადაუარა. მეტიც, შარშან საკუთარი ინიციატივით თურქეთი "ვერტმფრენთა დახმარების" ამერიკულ პროგრამაში ჩაერთო და საქართველოს სამხედრო ავიაციას თავისი ბალანსიდან, უსასყიდლოდ, დამატებით ორი ერთეული UH-1H სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი და მარაგნაწილებიც გადმოსცა.

როდესაც თურქეთის გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ ჰუსეინ ქივრიქოღლუს ორი ქვეყნის თანამშრომლობის სფეროში გაწეული ღვაწლისთვის ღირსების ორდენს გადასცემენ, მას, იმედია, იმისთვისაც გადაუხდიან მადლობას, რომ, სწორედ მისი ინიციატივით, თურქეთის მხარე მომავალი წლიდან საქართველოს სამხედრო-საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებას იწყებს და ვალდებულებას კისრულობს, დაახლოებით, ათი მილიონი დოლარის ფარგლებში დააფინანსოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ნატოს საგანმანათლებლო სისტემაზე გადასვლის პროცესი.

მაგრამ თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა გადაჭრით აყენებს საკითხს, რომ ქართველი ოფიცრების გაწვრთნა და სწავლება უნდა ხდებოდეს თურქეთის სამხედრო აკადემიაში აპრობირებული ხუთწლიანი პროგრამის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ოფიცრისთვის ფსიქოლოგიურად ძნელი შესაგუებელია რუსული სამხედრო წესებიდან თურქულზე გადასვლა, საქართველოს ხელმძღვანელობა თურქული მხარის პირობებს დათანხმდა და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში აბიტურიენტების პირველი მიღებაც გამოაცხადა.

საკონკურსო კომისიის განცხადების თანახმად, მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 17-დან 21 წლის ასაკის საშუალო განათლების მქონე წვევამდელები, რომელთა პროფესიული შერჩევა ადგილობრივ კომისარიატებში მოხდება. ხოლო მისაღები გამოცდების შემდეგ, რაც, ტრადიციულად, ქართულ ენის ცოდნის, ფიზიკური მომზადებისა და ზოგადი განათლების დონის დასადგენად ჩატარდება, კურსანტები ხუთი წელი ისწავლიან წინასწარ შერჩეული სამხედრო სპეციალობის დასაუფლებლად.

სხვათა შორის, მისაღები გამოცდების წინ თურქი მშენებლები უკვე შეუდგნენ აკადემიის საცხოვრებელი ყაზარმის რეკონსტრუქციას, რასაც მოგვიანებით სასწავლო კორპუსების რემონტი, ოფიცერთა კლუბისა და კიდევ უამრავი ობიექტის მშენებლობა მოჰყვება.

ასე რომ, საქართველოდან თურქეთში მომავალშიც არაერთი მედალი გაიგზავნება.

# ცესკომ თბილისს წერტილი დაუსვა

## დამარცხებულები მასობრივი არეულობებით იმუქრებიან



სამთა თათბირი

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

ბარიერს მიღმა დარჩენილები კი კვლავ იბრძვიან. განსაკუთრებით - სოციალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. "სახალხოელები" და "ტრადიციონალისტები" კი მასობრივი არეულობებით იმუქრებიან.

**"როდესაც ხდება კანონის იგნორირება, იწყება ხელისუფლებაზე ზეწოლა ქუჩიდან. დღეს ხალხის ნება უგულვებელყოფილია და ჩვენ მხოლოდ ეს გზა გვრჩება. ის დღე, როდესაც ცესკომ საკუთარი გადაწყვეტილება შეცვალა და შედეგების რევიზიაზე უარი თქვა, ყველაზე სამარცხვინო დღეა უახლეს ისტორიაში. ცესკოს შეეძლო გამოესწორებინა უმძიმესი შეცდომები, მაგრამ ეს შეგნებულად არ გააკეთა. ჩვენ კი ერთი გზა დაგვიტოვა – ქუჩის გამოსვლები. შემოდგომაზე ვითარება უკიდურესად დაიძაბება. დღეს გამარჯვებულებს ჰგონიათ, რომ ხელისუფლებას, ერთმანეთს გაურიგდნენ. მოგვიანებით დაინახავენ, რომ ეს ყველაფერი ილუზია ყოფილა. სექტემბერში კი ეს დაგროვილი მუხტი პროცესებს უმართავს გახდის."** - ამბობს "სახალხოელი" გოჩა ჯოჯუა. ქუჩის აქციების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ არც "ეროვნულ-დემოკრატები" და "სოციალისტები".

სხვათა შორის, ცესკოს გადაწყვეტილებას "უკანონოს" უწოდებს "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე, მაგრამ იქვე დასძენს, რომ **"ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მოუწია მუშაობა და იგი ვადებში შეზღუდული იყო".**

ამასობაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე საქართველოს რეგიონებში გამართული არჩევნების შედეგებს იხილავს. გუშინ გვიან საღამოს კომისია ახალქალაქსა და ქუთაისში შექმნილ ვითარებაზე ბჭობდა. მანამდე კი ცესკომ ზუგდიდში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელა. ქალაქის გამგეობის თავმჯდომარის ხელახალი არჩევნები 14 ივლისს გაიმართება. მანამდე კი ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიას საუბნო კომისიების ხელახალი დაკომპლექტება მოუწევს. სხვათა შორის, ეს გამგებლობის კანდიდატების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაცაა.

## კალაშნიკოვი, კურორტების პრივატიზაცია და აფხაზეთში დარიგებული რუსეთის პასპორტები

რუსუდან ნიკურაძე
საკუთარი კორესპონდენტი
მოსკოვში

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩო ორი ქვეყნის არცთუ ულრუბლო ურთიერთობებში ბოლო დროს მეხამრიდისა და ბარომეტრის როლს თამაშობს. რუსი და უცხოელი ჟურნალისტები, როცა საბოლოოდ იბნევიან საქართველოს გაუგებარი პოზიციის ან რუსეთის ყბადაღებული ორმაგი სტანდარტების ლაბირინთში, სხვა რა გზა აქვთ,საელჩოში მორბიან.

მოსკოვში ჩვენი ელჩი, ბატონი ზურაბ აბაშიძე, ზოგიერთი გულფიცხი რეპორტიორის დაშოშმინებას ჭიქა ჩაისთან და ხაჭაპურთან ახერხებს. რა იწერება ამის შემდეგ რუსულ პრესაში, ეს ცალკე თემაა, მაგრამ მტრის მოყვარედ ქცევის მცდელობა, ნებისმიერ შემთხვევაში, კეთილშობილური ჟესტია. ამიტომ, პერიოდულად, საელჩოში რუსი და უცხოელი ჟურნალისტები იკრიბებიან და პრესკონფერენციაც აბეზარი შეკითხვების თანხლებით ტარდება. ორი ქვეყნის ურთიერთობებში ღიად დარჩენილი შეკითხვები კი მრავლადაა, რადგანაც ეს ურთიერთობა, ბოლო დროს, საერთოდ, არანაირ ლოგიკას აღარ ექვემდებარება.

**"აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაზე გაეროს დოკუმენტის დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ იგი აფხაზურ მხარესთან საფუძვლიანი დიალოგის დასაწყისს ნიშნავს, აფხაზები კი ამ დოკუმენტს არ ცნობენ, რაც არ შეიძლება შორსმხედველურ პოზიციად ჩაითვალოს"** - განაცხადა ზ.აბაშიძემ.

მისი თქმით, „კონფლიქტის დარეგულირებაში გაჩნდა საკითხები, რაც საქართველოს გაღიზიანებას იწვევს. ელჩმა ამ გამაღიზიანებელ ფაქტორებში სამი კომპონენტი დაასახელა: 1. აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით, რუსი კოლეგებისაგან მიღებული ინფორმაცია, აფხაზეთში იარაღის დიდი პარტიის შეზიდვაზე; 2. აფხაზეთის კურორტების პრივატიზებაზე სეპარატისტულ რეჟიმსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის გამართული მოლაპარაკებები, რის შესახებაც საბოლოოდ მოსკოვში ანრი ჯერგენიასა და ედუარდ კოკოიტის პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი; 3. სულ ახლახან სოხუმში რუსული პასპორტების გაცემის დაწყებული პროცესი.

**"ეს ფაქტები მეტად უცნაურ სურათს ქმნის ორი ქვეყნის ურთიერთობაში და ნაღვლიან დასკვნებამდეც მივყავართ, თუმცა, იმედია, ამ კვირაში დარეგულირების პროცესში დამატებითი ნაბიჯები გადაიდგმება,"** - თქვა აბაშიძემ.

რუსმა ჟურნალისტებმა მისგან შეიტყვეს, რომ ამ დღეებში თბილისში მიფრინავს რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია და დუმის დეპუტატთა ერთი ჯგუფი.

რუს და უცხოელ ჟურნალისტებს აინტერესებთ, როგორი მომავალი ექნება ნავთობსადენის სატრანზიტო მარშრუტების უსაფრთხოებას და მართალია თუ არა, რომ მილის დაცვას ამერიკელები აპირებენ? ელოდება თუ არა საქართველო სირთულეებს აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გამოყვანით, როგორ გაივლის ნავთობსადენი აფხაზეთის ტერიტორიაზე და ხომ არ სჯობს, აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება ეკონომიკური პროექტებით დაიწყოს?

საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე ზურაბ აბაშიძემ რუს და უცხოელ ჟურნალისტებს განუმარტა,რომ არსებული ფორმით რუსეთის სამშვიდობო ოპერაციამ თავისი თავი ამოწურა და ლოგიკურად დგას შემდეგი ეტაპის - უშიშროების ზონის გაფართოებისა და გალში საერთაშორისო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების საკითხი.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, როგორია დღეს საქართველოს პრეტენზიები რუსეთში მყოფი ტერორისტების საქართველოსათვის გადაცემის შესახებ, ხომ არ განმეორდება კოდორის მოვლენები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქმედებების კოორდინირებით, ხომ არ ემუქრება საქართველოს მორიგი დესტაბილიზაცია...

ამ შეკითხვაზე საქართველოს ელჩმა რუს ჟურნალისტებს უთხრა, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება არ არის არავის წინააღმდეგ მიმართული, თუმცა სეპარატიზმთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია ნათელია.

**"მოსკოვში საქართველოს სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებს ფართო ტრიბუნა ეთმობათ, მათ იღებენ რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა კაბინეტებში, რაც ჩვენს სამართლიან გაკვირვებას იწვევს რუსეთის მიერ დეკლარირებული პრინციპების ფონზე,"**- აცხადებს საქართველოს ელჩი.

## სამუცნობიანი განტოლება - დიდგორი, ჯართი, პრივატიზაცია

გიორგი ასანიშვილი

*დიდგორის მემორიალური კომპლექსის დარბევისა და გაძარცვის ფაქტს გუშინ პარლამენტშიც გამოეხმაურნენ, ოღონდ, ზედმეტი პათეტიკისა და ემოციების გარეშე, თანაც, საკითხისადმი მხოლოდ პრაგმატული მიდგომით. ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ გარკვეული ძალები მომხდარში პარლამენტის "როლის" ხაზგასმას შეეცადნენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანო არაფერ შუაშია: მას მიღებული აქვს ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტისა და რეექსპორტის ამკრძალავი კანონი და თუ ის არ სრულდება, ამაში მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებაა დამნაშავე.*

**"დიდგორში მომხდარმა შემთხვევამ საკითხის აქტუალობა შეგვახსენა. ჯართისა და ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანისთვის, მთავრობას თავი ვერ მოუბამს და ყველაფერი ამის ბრალია. ამ კვირაში ჩავატარებთ რამდენიმე კომიტეტის გაფართოებულ სხდომას და ვნახოთ, რითი დაასაბუთებენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შავი და ფერადი ლითონების ექსპორტ-რეექსპორტის აუცილებლობას."** - აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე.

მთავრობისკენ იშვერს ხელს იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძეც. ამასთან, იგი იმასაც დასძენს, რომ "**უნდა შეიქმნას ისეთი კორუფციული (და არა ანტიკორუფციული!) ბარიერი, რომლის გადალახვა ჯართითა და ფერადი ლითონებით მოვაჭრეებისთვის აზრს დაკარგავს**". მაგალითად, ასეთი: თუ საზღვარგარეთ ერთი ტონა ჯართი 120 დოლარი ღირს, მისი გატანის მსურველს ეს ჯართი ამდენი აქვე, საქართველოში უნდა უჯდებოდეს.

გოჩა პაიჭაძე არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ სიმართლეს შეეფერებოდეს მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს შავი და ფერადი ლითონების ბიზნესს პარლამენტში გარკვეული ძალები ლობირებდნენ, რომლებიც ამასწინანდელი საკომიტეტო გადანაწილების შემდეგ, სახელისუფლებო ბერკეტების გარეშე დარჩნენ და ამდენად, საკითხის წინა პლანზე წამოწევაც, გარკვეულწილად, ამ გარემოებას უკავშირდება.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი.

დეპუტატის აზრით, ასეთი რაკურსით საკითხის წარმოჩენა არამართებულია და სინამდვილეში, პრობლემის არსი გაცილებით მარტივია.

**"ხელისუფლება ძალზე უსუსურია და ვერ ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებებს. სიცრუეა, თითქოს სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს დისკრიმინაციული ხასიათი ჰქონდეს. ის, რომ ხელისუფლება ვერ ებრძვის ქურდობასა და ყაჩაღობას, ვერ ამყარებს წესრიგს შავი და ფერადი ლითონებით ვაჭრობის სფეროში, სულაც არ არის უცხოელების ბრალი. ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტის ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა მიუღებლად მიმაჩნია."** - კოლეგებისგან განსხვავებული პოზიცია გააჩნია ვანო მერაბიშვილს.

შავი და ფერადი ლითონების უცხოეთში ექსპორტირების საკითხის მოგვარება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ახლო მომავალში იწყება მსხვილი ობიექტების პრივატიზება. ეკონომიკური კომიტეტისა და რეფორმების საპარლამენტო კომიტეტის ამჟამინდელი თავმჯდომარე ანზორ აბრალავა არ გამორიცხავს, რომ მოხდება დიდი საწარმოების დაქუცმაცება და საზღვარგარეთ მათი ნაწილ-ნაწილ გატანა. ამის თავიდან ასაცილებლად, "მრეწველ" ზურაბ ტყემალაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია ისეთი კანონის მიღება, რომელიც უნისონში მოვა სავალუტო ფონდის რეკომენდაციებთან და ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტს არ აკრძალავს, მაგრამ ამის მსურველთ ისეთ პრობლემებს შეუქმნის, რომ განზრახვაზე ხელს აალებინებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გვაჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია-ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# რას უქადის სასამართლო ხელისუფლებას ზურაბ ჟვანიასა და ლადო ჭანტურიას დაპირისპირება

პირველი გვერდიდან

## საუბარი ზურაბ ჟვანიასთან

**- თავის დროზე ძალიან ბევრი გააკეთეთ იმისათვის, რომ ბატონი ლადო ჭანტურია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გამხდარიყო, იგი თქვენი დიდი მხარდაჭერით დაინიშნა ამ თანამდებობაზე. ალბათ, ახლა ნანობთ...**

- მე, ჩემს მეგობრებთან ერთად, ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან დიდი ძალისხმევა გავწიე იმისათვის, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმა შემდგარიყო. ეს არ არის უბრალოდ ლიტონი სიტყვები. დაწყებული შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით, ხაზს ვუსვამ ძალიან რთულ და კონფრონტაციულ გარემოში, დამთავრებული იმით, რომ ყველაზე მძიმე თვეების განმავლობაშიც კი, როდესაც ჩვენ ვერ ვახერხებდით ვერც პენსიონერებისთვის და ვერც სხვა მოქალაქეებისთვის ხელფასების მომატებას, პირადად მე მუდამ ვიბრძოდი, რომ მოსამართლეებს ჰქონოდათ ყველაზე მაღალი ხელფასები, პირადად ვურეკავდი იმავე ლადო ჭანტურიას და ფინანსთა მინისტრს თხოვნით, რომ, ღმერთმა არ ქნას, მოსამართლეებს დაუგვიანდეთ მათი მაღალი ხელფასები. მიმაჩნდა, რომ ამით ვაკეთებდით ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, ვქმნიდით დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას საქართველოში. ის, რაც მოხდა უზენაესი სასამართლოს დარბაზში, ჩვენი საქმის განხილვისას, მოკლედ შეიძლება ასე აღიწეროს: სასამართლო ხელისუფლებამ უარი განაცხადა თავის დამოუკიდებლობაზე და სრული მზადყოფნა გამოთქვა, რომ ჩვეულებრივი პოლიტიკური ანგარიშსწორების პროცესში ერთ-ერთი დამატებითი იარაღის ფუნქცია შეასრულოს. ეს არის ყველაზე ტრაგიკული დასკვნა იმ სასამართლო პროცესიდან გამომდინარე, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა გამოვიტანეთ.

**- ანუ, თქვენ მიიჩნევთ, რომ შეცდით ბატონ ჭანტურიაში...**

- დღეს, რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი მხარდაჭერა მის მიმართ იყო დიდი შეცდომა. მე უზენაესი სასამართლოს დარბაზში განვაცხადე ამის შესახებ, როცა მივმართე სასამართლო კოლეგიას, რომელმაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მათ ვუთხარი: მრცხვენია, რომ მივიღე მონაწილეობა იმ პროცესში, რომლითაც თქვენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მანტიები ჩაიცვით-მეთქი. ეს მანტიები, რომლებიც უნდა განასახიერებდეს მართლმსაჯულებას, ჩემთვის უკანონობას განასახიერებს. ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი შეფასება. თბილისში, ამას წინათ, სწორედ ამ საკითხის გამო, ვიზიტით მყოფმა ევროპარლამენტის ძალიან ცნობილმა წევრმა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე მომხსენებელმა პერ გარტონმა თქვა, რომ ეს იყო სრულიად უპრეცედენტო ფაქტი, როცა სასამართლომ გადაწყვიტა, არჩევნებში პარტია წარედგინა არა 800-კაციანი პარტიული ყრილობის მიერ არჩეულ ხელმძღვანელობას, არამედ ვიღაც კერძო სამ პირს. მთელი ეს სასამართლო პროცესები მიზნად ისახავდა ერთ რამეს, რომ პარტია წარედგინა არა ზურაბ ჟვანიას, რომელიც ერთხმად იყო არჩეული 800-კაციანი ყრილობის მიერ, არამედ ვიღაც კვარაცხელიას, რომელიც არასოდეს ყოფილა არჩეული "მოქალაქეთა კავშირის" არც ერთ ორგანოში. სასამართლო პარტიის შიდა ცხოვრებაში ასე უხეშად არ ერევა არა მხოლოდ დემოკრატიულ, არამედ ოდნავი დემოკრატიის მქონე ქვეყნებშიც კი.

**- თქვენ დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა გაკავშირებდათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. ხომ არ გიცდიათ, რომ სასამართლო პროცესის წინ დაკავშირებოდოთ?**

- რა თქმა უნდა - 3 ივნისს, წითელ პარასკევს, როდესაც გავიგეთ, რომ საოლქო სასამართლოს, ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ხუთი დღის წინ, მიუღია გადაწყვეტილება ჩვენი რეგისტრაციის შეჩერების შესახებ. თან ეს მოხდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო სიების წარდგენამდე ერთი დღით ადრე. მე მაშინვე დავუკავშირდი ლადო ჭანტურიას, გამოვხატე ჩემი უკიდურესი აღშფოთება, რამდენჯერმე ვესაუბრე, ვთხოვე, გარკვეულიყო ამ საქმეში, რადგან სრულიად წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ვეცადე, ამეხსნა მისთვის, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი, ეს სასამართლოს პოლიტიკური რეპრესიისთვის გამოყენების მცდელობა გახლდათ. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც დავესწარი ბადრი მეტრეველის თავმჯდომარეობით გამართულ კოლეგიის პირველ სხდომას, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ჭანტურიასთან ყოველგვარი შემდგომი საუბარი აზრს მოკლებული იყო. მაშინვე ვთქვი კიდევაც, რომ ეს სადამსჯელო ოპერაცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით განხორციელდა.

**- თუ საიდუმლო არ არის, რა გიპასუხათ ბატონმა ლადომ?**

- მე ჩვევად არა მაქვს კერძო საუბრების შინაარსის საჯაროდ გამოტანა. ბატონმა ჭანტურიამ მიპასუხა, რომ ამერიკელი იურისტის, ჰოვარდ ფენტონის კერძო წერილი, რომელიც მან თავის კოლეგას ამერიკაში გაუგზავნა, მისი ნებართვის გარეშე გადაეცა ტელევიზიებსა და გაზეთებს. ამ წერილში ფენტონი, ჩემი აზრით, არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდა ამ სასამართლო პროცესს, თანაც, წერილში გაკეთებული შეფასებები ეხებოდა სასამართლო პროცესის მხოლოდ ერთ ნაწილს. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ამ წერილის აფიშირება და აფრიალება ფენტონის თანხმობისა და ნებართვის გარეშე მოხდა. ამის შესახებ უკიდურესი შეშფოთება ჩემთან საუბარში თავად ბატონმა ფენტონმა გამოხატა.



**- თქვენ მიგაჩნიათ, რომ დაკარგეთ ბატონი ჭანტურია, როგორც თანამოაზრე და მეგობარი?**

- რა თქმა უნდა, ჩვენი მეგობრობა დასრულდა. მასთან არც არანაირი კავშირი აღარ მაქვს და არც - სურვილი ურთიერთობის გაგრძელებისა. აქ არ არის საუბარი მხოლოდ მეგობრობასა და პირად ურთიერთობებზე. საუბარია იმაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მესვეურებმა და, მათთან ერთად, ლადო ჭანტურიამ, არ ვიცი, რა მანქანებით, რა სახის ზეწოლით, უარი განაცხადეს მთავარზე, რისთვისაც ამდენი წელი ერთად ვიბრძოდით - სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, რათა მესამე ხელისუფლება რეალურად ყოფილიყო თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისგან.

**- "მოქალაქეთა კავშირთან" დაკავშირებული სასამართლო პროცესების ასეთი სახით წარმართვის გამო, ყველა ერთმნიშვნელოვნად ხელს იშვერს პრეზიდენტისა და კანცელარიისკენ. თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დაინტერესებასაც ხომ არ ხედავთ ამ პროცესში?**

- მე ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ვერ ვხედავ, რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჭანტურიას, რომ ასეთი მოქმედებებით მოეხდინა საქართველოში ერთ-ერთი მთავარი ორგანოს - უზენაესი სასამართლოს ასეთი დისკრედიტირება, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში. ამის გამოხატულება იყო ევროპარლამენტის წევრის პიერ გარტონის პრესკონფერენცია თბილისში, იმავე ევროპარლამენტის საქართველოსთან ურთიერთობის კომიტეტის პრეზიდენტის ქალბატონ ურსულა შლაიხერის წერილი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის სახელზე და კიდევ მრავალი სხვა ადამიანის რეაქცია, რომელიც მოჰყვა ამ მართლაც სამარცხვინო პროცესს.

**- საუბრობენ იმაზე, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახის ცალკეული წევრები, შევარდნაძის შემცვლელად, ერთ-ერთ ვარიანტად, ბ-ნ ჭანტურიას კანდიდატურასაც განიხილავენ...**

- მე არ ვაპირებ ამ თემის გავრცობას, თუ ბატონ ჭანტურიას სურს, გაიკეთოს პოლიტიკური კარიერა, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მე, უბრალოდ, აღშფოთებული ვარ იმით, რომ ლადო ჭანტურიამ მონაწილეობა მიიღო საქართველოში სასამართლო რეფორმის დანგრევაში.

**- ლადო ჭანტურია, იმასთან ერთად, რომ გადანაშაულებთ სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტირებაში, ასევე აცხადებს, რომ თქვენ ცდილობთ მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პოლიტიკურ დებატებში ჩათრევას...**

- უზენაესი სასამართლო მაშინ ჩაერთო პოლიტიკურ თამაშებში, როცა პირადად ჩემს წინააღმდეგ, პოლიტიკური ანგარიშსწორების პროცესში, ერთ-ერთი იარაღის ფუნქცია იტვირთა. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თუნდაც უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელებისგან დავიცვა სასამართლო რეფორმა საქართველოში.

**- თუ საიდუმლო არ არის, როგორ აპირებთ, შეცვალოთ უზენაესი სასამართლოს ახლანდელი ხელმძღვანელი და კონკრეტული მოსამართლეები?**

- ვაპირებ მივმართო ევროსასამართლოს სტრასბურგში, რომელიც უმნიშვნელოვანესი მცველია ევროპული კონვენციებისა და იმ პრინციპებისა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და პოლიტიკურ თავისუფლებათა დაცვას ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. მე მინდა, რომ სწორედ სტრასბურგში მოხდეს ამ საქმის გარჩევა, ამ პრეცედენტული საქმისა, რომელშიც ქართულმა სასამართლომ პირდაპირ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში მიიღო მონაწილეობა.

ხაზს ვუსვამ, რომ ამას არ ვაკეთებ იმისათვის, რომ ვინმეს კიდევ ვედავები "მოქალაქეთა კავშირს." უკვე განვაცხადე, რომ ვტოვებ ამ ფრაქციასაც და პარტიასაც და არავისთან ამაზე დავას არ ვაპირებ. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, დავიცვა სასამართლო რეფორმის მონაპოვარი და ამას ნებისმიერი ფორმით გავაკეთებ.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ, როცა თქვენ, ერთ-ერთი გამორჩეული და გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა, ასე გააფთრებით ესხმით თავს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამით სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტირებას ახდენთ?**

- სასამართლოს დისკრედიტირებას ახდენს მისივე ასეთი გადაწყვეტილებები. მე არ მიმაჩნია, რომ სასამართლო ხელისუფლებაში ყველა ისე არის განწყობილი, როგორც უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ის წევრები იყვნენ, რომლებმაც მიიღეს ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება. სასამართლო სისტემაში უამრავი პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანია, რომლებსაც მართლა შეუძლიათ, განახორციელონ მართლმსაჯულება საქართველოში და არ ჩადგნენ არც ერთი პოლიტიკური ჯგუფისა და თუნდაც, ხელისუფლების სამსახურში.

**- თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბატონმა ლადო ჭანტურიამ პრეზიდენტ შევარდნაძის პირდაპირი დაკვეთა შეასრულა?**

- მიმაჩნია, რომ, ძალიან სერიოზული ზეწოლის გარდა, ლადო ჭანტურიას არ ჰქონდა სხვა რაიმე სერიოზული არგუმენტი, რომ ამდენად სერიოზულ სკანდალში გახვეულიყო.

**- ეს სერიოზული ზეწოლა პრეზიდენტისგან მოდიოდა?**

მე ვიცი, რომ ბატონ ლადო ჭანტურიაზე ძალიან სერიოზული ზეწოლა იყო, ხოლო რაც პირადად არ მინახავს, იმაზე, ბუნებრივია, ვერ ვისაუბრებ.

## საუბარი ლადო ჭანტურიასთან

**- პარლამენტის ყოფილი სპიკერი, ახლო წარსულში თქვენი თანამოაზრე ზურაბ ჟვანია, მკვეთრად დაგიპირისპირდათ. იგი პირდაპირ გადანაშაულებთ, რომ თქვენ, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ, მოახდინეთ სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტირება...**

- ბ-ნი ზურაბ ჟვანიას განცხადებები ცილისწამებაა და თავად ცდილობს სასამართლო ხელისუფლების, ხაზს ვუსვამ - ხელისუფლების და არა ერთი კონკრეტული პირის, დისკრედიტირებას. სამწუხაროდ, დემოკრატისა და რეფორმატორისგან ასეთი გაცხადებები, გულწრფელად გეტყვით, სამარცხვინოდაც კი მიმაჩნია. უზენაესმა სასამართლომ პოლიტიკურ გაერთიანება "მოქალაქეთა კავშირის" საქმეებზე სწორედ კანონის უზენასეობაზე დაყრდნობით, იმ კანონების გამოყენებით გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ.

რაც შეეხება, პირადად ჩემს მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს: გადაწყვეტილებას იღებენ სასამართლო და კონკრეტული მოსამართლეები, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე არ იღებს გადაწყვეტილებას, ამიტომ ბ-ნი ჟვანიას ეს განცხადებები არის იმ მოსამართლეების შეურაცხყოფა, რომლებმაც კანონის საფუძველზე მიიღეს სასამართლო გადაწყვეტილება. სხვათა შორის, არც ერთ უცხოელ და ქართველ ექსპერტს, ვინც ნახა ეს გადაწყეტილება, მისი კანონიერება ეჭქვეშ არ დაუყენებია.

**- ბატონ ჟვანიას მოჰყავს ორი უცხოელი ექსპერტის - ევროპარლამენტის საქართველოსთან ურთიერთობის კომიტეტის პრეზიდენტის ურსულა შლაიხერისა და ევროპარლამენტის დეპუტატის პერ გარტონის შეფასებები...**

- ქალბატონ შლაიხერის განცხადებას არ ვიცნობ; რაც შეეხება ბატონ პიერ გარტონის განცხადებას, მან გააკრიტიკა არა სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ - კანონის ის ნორმა, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა. ის ფაქტი, რომ დღემდე არ წყდება ამ პროცესთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელება, ადასტურებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ზოგიერთებს საერთოდ არ აინტერსებთ. პირიქით, ვილაცეებს აწყობთ, რომ სასამართლო ხელისუფლება მათ "დაკრულზე ცეკვავდეს" და ასე იღებდეს გადაწყეტილებებს. სანამ ამ თანამდებობაზე ვარ, გამორიცხულია, რომ სასამართლომ ვიღაცის შეკვეთები შეასრულოს. სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა ბუნებრივი და დასაშვებია, მაგრამ, როცა მთლიანად სასამართლოს დისკრედიტირება მიმდინარეობს და ამას ხელმძღვანელობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებს ედგნენ სათავეში, ქვეყნისათვის ძალიან საშიშ მოვლენად მიმაჩნია. თუ ამას დროულად არ გაეცა პასუხი, ეს ბუმერანგივით შემოუბრუნდება ქვეყანას და საზოგადოებას.

**- თქვენ განაცხადეთ, რომ ბატონი ჟვანია უზენაესი სასამართლოს პოლიტიკურ დებატებში ჩათრევას ცდილობს, რას გულისხმობდით?**

- გარდა კანონისა, სასამართლო ხელისუფლებას სხვა ძალაუფლება არ გააჩნია. ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მივიღოთ მონაწილეობა დებატებში, გავცეთ პასუხი ჩვენს მიმართ გამოთქმულ კრიტიკას. სასამართლოებში ათასობით საქმე იხილება და, თუ ყველა მხარის კრიტიკას გავცემთ პასუხს, მაშინ ყველასთან დისკუსიაში უნდა ჩავებათ. ამის თავიდან აცილების მიზნით, დემოკრატიულ ქვეყნებში შეიქმნა ის გარანტიები, რომელებიც აქვთ სასამართლო ხელისუფლებას და მოსამართლეებს; ეს უფლებები გვაქვს ჩვენც და ისინი განსაზღვრული და განმტკიცებულია კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. მოსამართლე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღების დროს. სასამართლო არ არის პოლიტიკური ორგანო. ამ სამი წლის განმავლობაში სულ ვცდილობდი, რომ სასამართლო შორს ყოფილიყო პოლიტიკური პროცესებისაგან, მაგრამ მოახლოვდება თუ არა არჩევნები, სულერთია, ეს რომელი არჩევნები იქნება, იწყება სასამართლოების გამუდმებული დისკრედიტაცია. ყველას მოსაწონ გადაწყვეტილებას, ბუნებრივია, ვერ მიიღებ; ამაშია სასამართლო ხელისუფლების თავისებურება და უბედურებაც. დასანანია, რომ ადამიანები, რომლებიც, პირიქით, უნდა იცავდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობას და პრესტიჟს, ყველაფერს პირად ამბიციებზე ცვლიან.

**- იურისტთა და ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ სასამართლოს საერთოდ არ უნდა მიეღო ე.წ "მოქალაქეთა კაშირის" მთავარი საბჭოს კერძო საჩივარი, პარტიის წესდებაში ცვლილებების რეგისტრაციის შეჩერების თაობაზე, რადგან ასეთი საკითხების გადაწყვეტა პარტიის ყრილობის პრეროგატივაა...**

- სასამართლოს არა აქვს უფლება, საკითხი არ გადაწყვიტოს, მით უმეტეს, როცა საუბარია ზოგადი ადმინიტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლზე. ეს არის იმპერატიული მოთხოვნა. ეს მუხლი მოსამართლეს არჩევანის საშუალებასაც არ უტოვებს, სარჩელის შეტანა ავტომატურად იწვევს ადმინისტრაციული აქტის შეჩერებას. ეს ისეთი ნორმაა, რომელსაც განმარტება და კომენტარიც კი არ სჭირდება. უზენაეს სასამართლოს არ შეიძლებოდა ეხელმძღვანელა კანონით "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ", რაზეც ჩვენი ოპონენტები ხშირად საუბრობენ. ეს არის საპროცესო კანონი, რომელიც ითვალისწიენებს სამართლებრივ შედეგებს სარჩელის შეტანის შემთხვევაში. ამგვარად, სადავო და გაურკვეველი აბსოლუტურად არაფერია.

**- თავად ბატონმა ჟვანიამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა სასამართლო რეფორმის დაწყებაში. რით ახნით მის ასეთ გააფთრებულ შეტევას თქვენზე და სხვა მოსამართლეებზე?**

- თუ სასამართლო გადაწყვეტილებებს მიიღება მეგობრობით, ნაცნობობით, პარტიული კუთვნილებით, პოლიტიკური სიმპათიებითა თუ ანტიპათიებით, ეს სასამართლო აღარ იქნება. ასეთი სასამართლო ქვეყანას არც სჭირდება. ჩემთვის გაუგებარია ასეთი დამოკიდებულება. ჩვენ ამ რეფორმას იმიტომ კი არ ვატარებთ, რომ სასამართლომ ისევ ნაცნობ-მეგობრობით მიიღოს გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი მხოლოდ კანონისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის საფუძველზე.

**- თქვენ გგონიათ, რომ ბატონ ჟვანიას, ამ საქმის განხილვისას, თქვენი მეგობრობის იმედი ჰქონდა?**

- ნამდვილად არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა.

**- მან გვითხრა, რომ შეგხვდათ სასამართლო პროცესის წინ თუ საიდულო არ არის, რაზე გესაუბრათ?**

- სად შემხვდა?

**- იგი ამტკიცებს, თითქოს 3 ივნისს და მანამდეც რამდენჯერმე შეგხვდათ და აგიხსნათ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი...**

- ესეც ისეთივე დეზინფორმაციაა, როგორც სხვა ბატონ ჟვანიას მიერ გავრცელებული სხვა ინფორმაცია. არავითარი შეხვედრა ჩვენს შორის არ შემდგარა.

**- როგორ შეაფასებდით ბატონი ჟვანიას განცხადებას იმის შესახებ, რომ მას რცხვენია, იმ პროცესში მონაწილეობისა რის შედეგად თქვენ და უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეებმა მოსამართლის მანტია ჩაიცვით?**

ეს განცხადება თავისთავად სამარცხვინოა და მის სინდისზე იყოს. თუმცა, მეტი კომენტარისაგან თავს შევიკავებ, რადგან ეს, ბატონი ჟვანიას მხრიდან, დებატებში ჩათრევის პირდაპირი მცდელობაა.

**თქვენ წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა გაკავშირებდათ, მეგობრობდით, ხომ არ გქონიათ მცდელობა აგეხსნათ ბ-ნი ჟვანისთვის, რომ ის თავისი განცხადებებით სასამართლოს დისკრედიტირებას ახდენს?**

მაშინ თავი უნდა დავანებო ამ საქმეს და ყველას ავუხსნა, ვინც სასამართლოს უსაფუძვლოდ აკრიტიკებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თანამოაზრეობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კანონის უგულებელყოფას. მიკვირს იმ ადამიანების, რომლებსაც აზრად მოსდით, რომ სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება იმისდა მიხედვით, თუ რომელ პროცესში ჩართული მხარე არის მეგობარი, ნაცნობი, ნათესავი და ა.შ. გულწრფელად გეუბნებით, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ასეთი რამ რეფორმატორს და დემოკრატს თავში მოსდიოდეს.

**- თქვენ ადანაშაულებთ ბ-ნ ჟვანიას, რომ იგი ახდენდა ზეწოლას სასამართლოზე. იგი აცხადებს, რომ ამ გახმაურებული პროცესის ბედი ერთმა სატელეფონო ზარმა გადაწყვიტა იყო თუ არა ზეწოლა პრეზიდენტ შევარდნაძისგან?**

- ეს არის აბსურდი. მესამე წელია ამ თანამდებობაზე ვარ და არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, რომ პრეზიდენტს რომელიმე საქმეზე მითითება მოეცეს. უზენაესმა სასამართლომ გაამართლა პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორობასა და მოწყობაში ბრალდებული პირი, პრეზიდენტს ამასთან დაკავშირებით, ერთი საყვედურიც კი არ წამოსცდენია.

**- თქვენი აზრით, როგორ აისახება ბატონ ჟვანიას ასეთი გააფთრებული შეტევა თქვენზე და სხვა მოსამართლეებზე, სასამართლო რეფორმის მსვლელობაზე?**

- ასეთი შეტევა არ არის პირველი და არ იქნება უკანასკნელი. თუ მსგავსი შეტევის შიშით სასამართლომ მართლმსაჯულება ვერ განახორციელა, მაშინ ქვეყანა საერთოდ ვერ იარსებებს.

**- ზურაბ ჟვანია ერთ-ერთი პოპულარული და სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა. როდესაც იგი ხუთ მილიონ მოქალაქეს ტელეეკრანიდან ეუბნება, რომ მე, ზურაბ ჟვანიამ, ვერ შევძელი სასამართლოს მეშვეობით ჩემი უფლებების დაცვა, ეს ხომ ძალიან მძიმე და სერიოზული დაარტყმაა სასამართლოს პრესტიჟზე?**

- იმავეს იტყვის ამ პროცესში მოდავე მეორე მხარე, რომელიც ასევე მიმართავს სასამართლოს. ამ პროცესებით მანიპულირება ქვეყნისთვის ძალიან საშიშია. თუ სასამართლოს ამ შეტევის შეეშინდა, მაშინ ყველანი სახლში უნდა წავიდეთ. მინდა გითხრათ, რომ გაცილებით დიდი რისკია სხვა კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას. რაც შეეხება ამ საქმეს, ეს იყო ერთი ჩვეულებრივი შიდა პარტიული დავა. ასეთი დავა ჩვენ უამრავი გვაქვს. მარტო შარშან, სასამართლო ხელისუფლებამ 46 ათასი სასარჩელო განცხადება განიხილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოდან, სულ ცოტა, 46 ათასი კაცი უკმაყოფილო წავიდა. შარშან მარტო უზენაეს სასამართლოში 3 ათასი საქმე განვიხილეთ, აქედან - 1500 სამოქალო საქმე, ეს ნიშნავს, რომ 1500 კაცი ისევ უკმაყოფილო წავიდა. იმის შიშით, თუ რა შეფასებებს მისცემენ პოლიტიკოსები სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ ჩვენ მართმსაჯულებაზე უარი ვთქვით, მაშინ აზრი არა აქვს არა მხოლოდ ჩვენ საქმიანობას, მთლიანად ასეთი სასამართლოს და სახელმწიფოს არსებობას.

**- რა რეაქცია გქონდათ, როცა პირველად მოისმინეთ ბატონი ჟვანიას განცხადება, იმის შესახებ, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა თქვენ და კიდევ რამდენიმე მოსამართლე ჩამოგაცილოთ უზენაესს სასამართლოს?**

- ეს არის შანტაჟი და სასამართლოზე ზეწოლის პირწავარდნილი მცდელობა.

ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, დღეს ბევრი რამის თქმის უფლება არ მაქვს და ამიტომ თავს ვიკავებ სხვა შეფასებებისგან.

# გადაიხდის თუ არა „აგრომრეწვბანკი" შვიდი მილიონი დოლარის ჯარიმას?

სოფო კვინტრაძე

*ქონების მართვის სამინისტრო "აგრომრეწვბანკის" ინვესტორს "ეს-ბე-ეს აგროს" შვიდი მილიონი დოლარით აჯარიმებს. რუსული ბანკი "ეს-ბე-ეს გრო" კი ამჟამად გაკოტრებულად ითვლება. 2002 წლის აპრილში "ეს-ბე ესაგრომ" "აგრომრეწვბანკში" თავისი კუთვნილი სახელობითი აქციები აუქციონზე 350 000 დოლარად, ანუ ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ თანხად გაყიდა.*

"აგრომრეწვბანკს" ახალი ინვესტორი ჰყავს, თუმცა მის ვინაობას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრო დევდარიანი ჯერჯერობით არ ამხელს. აუქციონზე, რომელიც რუსეთის საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტომ მოაწყო, წარმოდგენილი იყო "აგრომრეწვბანკის" 757 575 სახელობითი აქცია ნომინალური ღირებულებით – ერთი აქცია ერთი დოლარი.

1998 წლის აგვისტოში "აგრომრეწვბანკის" სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი აქციების 29 პროცენტი პირდაპირი მიყიდვის გზით გადაეცა ბანკის თანამშრომლებს და რუსეთის კომერციულ ბანკს "ეს-ბე-ეს აგროს". დღეისათვის, რუსული ბანკის შესახებ ქონების მართვის სამინისტროში ძალზე მწირ ინფორმაციას ფლობენ. სავარაუდოდ, ქართულ მხარეს არც 1998 წლის აგვისტოში ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია რუსი ინვესტორის შესახებ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია, რატომ მიყიდა ქონების მართვის სამინისტრომ გაკოტრების ზღვარზე მისულ "ეს-ბე-ეს აგროს" "აგრომრეწვბანკის" სახელმწიფოს კუთვნილი აქციები.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარის, თემურ გოდერძიშვილის განცხადებით, იმ დროისათვის "ეს-ბე ესაგროს" მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა ქართული მხარისათვის სრულიად მისაღები და დამაკმაყოფილებელი იყო. გოდერძიშვილის თქმით, "აგრომრეწვბანკი" ერთადერთი ბანკია, რომელსაც საქართველოს ყველა რაიონში აქვს ფილიალი და მისი "ჩაძირვა" სახელმწიფოს არ უნდა დაეშვა.

**"ეს-ბე ესაგროს" ბიზნეს-გეგმის თანახმად, 2000 წლის ბოლოსთვის "აგრომრეწვბანკის" საწესდებო კაპიტალი 11,6 მილიონ ლარამდე უნდა გაზრდილიყო, მათ შორის, ფულადი ფორმით - 6 მილიონ ლარამდე. ამავე დროს, რუსულ ბანკს 10 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა",** - განაცხადა თემურ გოდერძიშვილმა.

როგორც ჩანს, აღნიშნული ბიზნეს-გეგმის რეალობაში ეჭვი არავის შეპარვია, მაგრამ თუ ფაქტებით ვიმსჯელებთ, ეჭვის საბაბი ნამდვილად არსებობდა. რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის შემდეგ, ერთ დროს საკმაოდ ძლიერი ბანკი "ეს-ბე-ეს აგრო", საპნის ბუშტივით გასკდა. ბანკს თითქმის ნახევარი მილიონი მეანაბრე ჰყავს, მათ შორის, უამრავი რიგითი მოქალაქე, რომლებმაც თავიანთი დანაზოგი "ეს-ბე-ეს აგროს" ანდეს. ოფიციალური მონაცემებით, მარტო 30 მილიონი დოლარი ბანკს იმ ოთხი ათასი მეანაბრისა მართებს, რომლებმაც მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. თუმცა, 30 მილიონი დოლარი, სამი მილიარდი დოლარის აქტივებთან შედარებით, რომელიც ბანკს გააჩნია, ნამდვილად უმნიშვნელო თანხაა.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, "ეს-ბე-ეს აგრომ" დათქმულ ვადებში არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც "აგრომრეწვბანკში" ინვესტიციის ჩადებას და საწესდებო კაპიტალის გაზრდას ეხება. გარდა ამისა, ინვესტორს სამინისტროში არ წარმოუდგენია ინფორმაცია ხელშეკრულებითა და ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ყოველივე ამის გამო, დეპარტამენტმა გამოიტანა გადაწყვეტილება ინვესტორის შვიდი მილიონი დოლარით დაჯარიმების შესახებ. "აგრომრეწვბანკმა" ჯარიმა 15 ივლისამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონების მართვის სამინისტრო, ხელშეკრულების ვადამდე გაუქმების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

"აგრომრეწვბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ანდრო დევდარიანი აცხადებს, რომ ქონების მართვის სამინისტროს დასკვნა სიმართლეს არ შეესაბამება. მისი თქმით, ბანკსა და სამინისტროს შორის ხელშეკრულება 2000 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა და შესაბამისად, ჯერ ხელშეკრულების ვადა არ გასულა. გარდა ამისა, დევდარიანი აცხადებს, რომ "ეს-ბე-ეს აგრომ" "აგრომრეწვბანკში" 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ამასთან, შეთანხმებისამებრ, გაიზარდა ბანკის საწესდებო კაპიტალიც.

**"არავითარი შვიდი მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდას არ ვაპირებთ, რადგანაც ჩვენ ყველანაირი ვალდებულება შევასრულეთ და ქონების მართვის სამინისტროს ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგარიშიც გადავეცით. მათი დასკვნა ტყუილია, იციან, ახალი ინვესტორი რომ გვყავს და მის დაფრთხობას ცდილობენ, ვითომ ბანკს ვალები ჰქონდეს."** - განაცხადა ანდრო დევდარიანმა.

# ევრობანკის კრედიტი ენგურჰესის რემონტს მოხმარდება

მაია ურუშაძე

*ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 38 750 000 დოლარის ოდენობის 15-წლიანი კრედიტი გამოყო. თანხის გამოყოფის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება პარლამენტმა 13 მაისს მოახდინა, ახლა კრედიტი ევრობანკმა ლონდონშიც უნდა დაამტკიცოს. ამ თანხით გარემონტდება სადგურის სამი აგრეგატი, მართვის სისტემები და საკაბელო მეურნეობა, რაც ენგურჰესის საიმედოობას გაზრდის და, შესაბამისად, სადგურზე ავარიების ალბათობას შეამცირებს.*

ენგურჰესი ბაზისური სადგურია, რაც ნიშნავს, რომ ის გამოიმუშავებს ენერგოსისტემისათვის აუცილებელი ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს (1000-მდე მეგავატი). ამას გარდა, ენგურჰესის დახმარებით ენერგოსისტემა პიკის საათებში ელექტროენერგიის სწრაფად მზარდ მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. ამიტომაც მისი გამართული მუშაობა მნიშვნელოვნად განაპირობებს მთელი ენერგოსისტემის საიმედოობას. მიუხედავად ამისა, დღემდე ენერგეტიკის რეაბილიტაციისთვის სხვადასხვა დონორების მიერ გამოყოფილი კრედიტებიდან ენგურჰესს ჯერჯერობით მარტო შვეიცარიის მთავრობის მილიონ დოლარამდე ოდენობის გრანტი მოხმარდა, რომელიც 1996-2001 წლებში შვეიცარულმა ფირმებმა "შტუკემ" და "ელექტროვატმა" აითვისეს. თუმცა, მაშინ მხოლოდ ენგურის კაშხლის მონიტორინგი ჩატარდა, სადგურის ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება კი დღემდე ადგილობრივი სახსრებით ხდება, ამიტომაც სადგურზე მხოლოდ გადაუდებელი სამუშაოები ტარდება, ეს კი ენგურჰესის მდგომარეობას საგრძნობლად ვერ აუმჯობესებს. იმ შემთხვევაში, თუ სადგური ტექნიკურად საბოლოოდ გაიმართება, ის თავისი საპროექტო სიმძლავრის - 1300 მეგავატის გამომუშავებასაც შეძლებს და ქვეყნის ენერგო სისტემასაც უფრო საიმედოს გახდის.

ევრობანკის მიერ ენგურჰესისთვის გამოყოფილი ახალი კრედიტი მსოფლიო ბანკის კრედიტებთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთისაა. ბანკი პროცენტის სიდიდეს (7,3 პროცენტს) იმით ხსნის, რომ სადგური კონფლიქტურ ზონაშია, ეს კი ზრდის რისკს და ართულებს მის რეაბილიტაციას. როგორც ცნობილია, მსოფლიო ბანკი, რომელიც შედარებით დაბალპროცენტიან კრედიტებს იძლევა, კონფლიქტურ ზონებში არ შედის. თუმცა, ენგურჰესის შემთხვევაში, სადგურის აღდგენით დაინტერესებულნი არიან აფხაზებიც და ამიტომ სადგურის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მათი მხრიდან ხელის შეშლას ადგილი არ ექნება. არსებობს შეთანხმება აფხაზეთის მხარესთან, რომლის საფუძველზეც სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ქართულ-აფხაზური მხარე ერთობლივად დაიცავს სადგურის ტერიტორიას.

სარემონტო სამუშაოების დაწყება წლევანდელი სექტემბრისთვის იგეგმება. კრედიტის ლონდონში დამტკიცებისთანავე დაიწყება წინასწარი სამუშაოები, რაც ფართომასშტაბიანი რემონტისთვის სადგურისა და მიმდებარე ტერიტორიის მომზადებას ითვალისწინებს. ევრობანკის პირობების მიხედვით, კრედიტით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ უნდა შეასრულოს. უკვე ცნობილია ფირმა, რომელიც სამუშაოების ელექტრო-მექანიკურ ნაწილს შეასრულებს. ესაა გერმანული "ფოიტ-სიმენსი". მეორე ფირმის სახელი, რომელმაც სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩაატაროს, თვის ბოლომდე გახდება ცნობილი. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, აღდგენითი სამუშაოები 3 წელიწადს გასტანს.

კრედიტით გათვალისწინებულის გარდა, ენგურჰესზე სხვა აუცილებელი აღდგენითი სამუშაოებიც ჩატარდება. ამ მიზნით ევრობანკმა 10 მლნ. ევროს ოდენობის მიზნობრივი გრანტი გამოყო. სამუშაოებს, რომელიც ელექტრო-მექანიკური ხასიათისაა, გერმანული "ფოიტ-სიმენსი" შეასრულებს - კრედიტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან ერთად. რაც შეეხება კაშხლის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი დანადგარების ჩამოტანასა და მონტაჟს, ამ სამუშაოების შესასრულებლად ტენდერში ერთმანეთს ამჟამად ეპაექრებიან რუსული "ტექნოპრომექსპორტი", გერმანული "DSD" და ავსტრიული "ვატეხი". გამარჯვებული ფირმა დაახლოებით ორ თვეში გახდება ცნობილი.

# მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის მოლოდინშია

## კოდექსის მომხრეებმა ჯერ სავალუტო ფონდის ბარიერი უნდა დაძლიონ

გვანცა კვინიკაძე

*დღეს მთავრობა "მრეწველთა" საგადასახადო კოდექსს მიიღებს, რომელიც "გოგი თოფაძისა" და "სოროსის" ფონდების დაფინანსებით შეიქმნა. კოდექსის პროექტის თანახმად, ამჟამად მოქმედი 21 გადასახადი ოთხ ძირითად გადასახადამდე მცირდება. პრეზიდენტის მიერ გამოხატული მხარდაჭერის მიუხედავად, მაინც არ არსებობს იმის გარანტია, რომ მთავრობა გადასახადების შემცირებას შეეგუება და "მრეწველების" მიერ წარდგენილ საგადასახადო კოდექსის პროექტს მოიწონებს.*

ორიოდე თვის წინათ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის საკმაოდ ხმაურიანი პრეზენტაციის შემდეგ, პროექტში კონცეპტუალური ცვლილებები არ შესულა. ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლის, კომპანია "ლიბო-აუდიტის" დირექტორის, **ირაკლი შავიშვილის** განცხადებით, ცვლილება კოდექსის პროექტში, ძირითადად, პასუხისმგებლობისა და დავების ცალკე წიგნებად გამოყოფაში გამოიხატა.

კოდექსის პროექტში ოთხი ძირითადი: დამატებული ღირებულების, საშემოსავლო, აქციზის და ქონების გადასახადი დარჩება. თავის მხრივ, ქონების გადასახადი რამდენიმე გადასახადს მოიცავს, მათ შორის: მიწის, ფიზიკურ პირთა უძრავი ქონების, ძირითადი საშუალებების და რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვა სახის ქონების გადასახადებს.

ახალი კოდექსით შემცირდება არა მარტო გადასახადების რაოდენობა, არამედ გადამხდელის საგადასახადო ტვირთიც. შედარებისთვის, თუ ამჟამად დღგ-ს, მოგების ან საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გადახდისას, საგადასახადო ტვირთი 50 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ახალი კოდექსის თანახმად, მეწარმეს დღგ-ს, საშემოსავლო, ქონებისა და, საქმიანობის პროფილის მიხედვით, აქციზის გადასახადის გადახდა მოუწევს. ამასთან, დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადის ჯამური ტვირთი 15-25 პროცენტის ფარგლებში იმერყევებს.

ცხადია, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება, ცალკეული გადასახადების განაკვეთების შემცირებით იქნება გამოწვეული, თუმცა, შავიშვილის პროგნოზით, ამჟამად მოქმედი საგადახადო განკვეთების უმრავლესობა უცვლელი დარჩება. კოდექსის პროექტის თანახმად, დღგ-ს განაკვეთი 15 პროცენტით განისაზღვრება (ამჟამინდელი 20-ის ნაცვლად). ასევე იცვლება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი და მისი მოქმედების რეჟიმიც. შავიშვილის თქმით, მრეწველთა კოდექსი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ორ რეჟიმს ითვალისწინებს. პირველი ვარიანტი განკუთვნილია იმ ფიზიკურ პირთათვის, რომლებისთვისაც პირადი ბუღალტერიის წარმოება, ანუ გაწეული ხარჯების აღრიცხვა, პრობლემატურია. ამ კატეგორიის გადამხდელების მთლიანი შემოსავალი დაიბეგრება 10 პროცენტით. მათი შემოსავლები კი, ვინც საკუთარი ხარჯების აღრიცხვას თავად აწარმოებენ, ამ ხარჯების გამოკლებით, 14 პროცენტით დაიბეგრება.

კოდექსზე მომუშავე ჯგუფმა, აქციზის გადასახადის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მისი განაკვეთების დადგენა მთავრობას ანდო. ჯგუფის მიერ საბაზისო განაკვეთები დადგინდება ქონების გადასახადისთვის, კონკრეტიკაზე ზრუნვა კი, საკოეფიციენტო სისტემის მეშვეობით, ადგილობრივი მმართველობების საქმე იქნება. შავიშვილის აზრით, გადასახადებთან დაკავშირებული ასეთი დეცენტრალიზება, ამ სისტემას გაცილებით მოქნილსა და ეფექტურს გახდის.

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს, მთავრობისა და პარლამენტის ერთი ნაწილი მხარდაჭერას უცხადებს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, აკაკი ზოიძის განცხადებით, მთავრობა კოდექსის პროექტის მოლოდინშია და მას დიდ პრობლემებს არ შეუქმნის. უფრო მეტიც, ზოიძე ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებული ხელსაყრელი გარემოს შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს, რასაც ახალ კოდექსთან ერთად, პრეზიდენტის ორი სპეციალური ბრძანებულების ამოქმედებამ უნდა შეუწყოს ხელი. ამ ბრძანებულებებიდან ერთი კორუფციის შემცირების ღონისძიებების გატარებას, მეორე კი - სტანდარტიზაციისა და ლიცენზირების სისტემის რეფორმირებას ითვალისწინებს. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, მთავრობის მომავალ სხდომაზევე განიხილება და მისი ამოქმედების წყალობით, იმ საქონლისა და მომსახურების სია, რომელიც სახელმწიფო სავალდებულო ლიცენზირებასა და სერტიფიცირებას ექვემდებარება, 2/3-ით შემცირდება.

თუმცა მთავრობის და პარლამენტის, განსაკუთრებით კი, მთავრობის პოზიცია, შეიძლება, საკმაოდ არამყარი აღმოჩნდეს და პირველსავე წინააღმდეგობაზე მეწარმეთათვის არასასურველად შეიცვალოს. ეს წინააღმდეგობა, უპირველეს ყოვლისა, სავალუტო ფონდისგან არის მოსალოდნელი. ფონდის ბოლო მისიამ ქვეყნის ხელისუფლებას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მისაღწევად, სწორედ გადასახადების გაზრდა მოსთხოვა. ამის გათვალისწინებით, საინტერესოა, რამდენად შეეგუება მთავრობა ამჟამინდელთან შედარებით მეტისმეტად ლიბერალურ საგადასახადო კოდექსს. ჯერჯერობით კოდექსთან დაკავშირებით ახალი ფინანსთა მინისტრის პოზიცია უცნობია, მისი წინამორბედი კი "მრეწველთა" ინიციატივის აქტიური მოწინააღმდეგე იყო. **"მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩვენს პროექტს მხარს უჭერს, ზოგიერთი კი პოზიციას არ აფიქსირებს, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსი აუცილებლად შესაცვლელია."** - განაცხადა შავიშვილმა. მისი თქმით, გადასახადების გაზრდა, რასაც სავალუტო ფონდი ითხოვს, ვერ იქნება საბიუჯეტო შემოსავლების მატების გარანტი, უფრო პირიქით, ამ ნაბიჯს ყოველთვის შემოსავლების კლება მოჰყვება ხოლმე. **"ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი მზად არის, თავისი კოდექსი სავალუტო ფონდთან დისკუსიებშიც დაიცვას, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვინმე რამეს გვკითხავს,"** - აღნიშნავს შავიშვილი.

კოდექსის ბედი, როგორც ჩანს, ზაფხულშივე გაირკვევა. ივლისში იგეგმება სავალუტო ფონდის მორიგი მისიის ვიზიტიც. ექსპერტთა თქმით, რაც უფრო მალე დასრულდება პროექტის განხილვა მთავრობასა და პარლამენტში, ქვეყნისთვის მით უკეთესი იქნება. იდეალურ ვარიანტად მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ახალი კოდექსით დაგეგმვა მიიჩნევა. პროექტის ავტორების აზრით, ახალი კოდექსის შემოღებამ, შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას წლევანდელი ბიუჯეტის შესრულებას. **"თუ კოდექსი სექტემბრისთვის დამტკიცდება, გადამხდელთა უმრავლესობა შეეცდება გადასახადების გადახდის მომავალი წლისთვის გადადებას, როცა ისინი უკვე გაცილებით დაბალი განაკვეთებით დაიბეგრებიან,"** - მიიჩნევს შავიშვილი. მისი თქმით, სწორედ ასეთ შემთხვევაში დასჭირდება საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა დონორების მხარდაჭერა, რომელთა კრედიტები და დახმარებები ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად უნდა წარიმართოს. სამაგიეროდ, მომავალი წლის დასაწყისიდანვე, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა იქნება მოსალოდნელი.

# მერდოკის ახალი გიგანტური პროექტი

მედია მაგნატი რუპერტ მერდოკი იტალიურ მედია სივრცეში მალე საბოლოოდ დამკვიდრდება. ამჯერად ის იტალიური ციფრული ტელევიზია "ტელეპიუს" აქციების 50 პროცენტის შესყიდვას გეგმავს. ამის შესახებ საუბარია "ნიუზ კორპორეიშენისა" და "ვივენდი უნივერსალის" მიერ ხელმოწერილ პროტოკოლშიც.

სხვათა შორის, მერდოკი უკვე ფლობს "სტრიმის" (მეორე, ასევე ფასიანი იტალიური არხი) აქციების ნახევარს. ახლახანს ხელმოწერილი პროტოკოლის მიხედვით კი, "ტელეპიუს" მერდოკი ერთ მილიარდ ევროს გადაუხდის. გარდა ამისა, "ტელეპიუ", მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლებისთვის დამატებით კიდევ 500 მილიონ ევროს მიიღებს.

# არგენტინა ერევნის აეროპორტს იხსნის

ერევნის საერთაშორისო აეროპორტს არგენტინელი ბიზნესმენი 30 წლით დაეპატრონება. როგორც ვარაუდობენ, ახალი ადმინისტრაციის ხელი აეროპორტს უახლოეს მომავალში დაეტყობა. დაიწყება ასაფრენი ბილიკების აღდგენა. ვიპ-კლიენტებისთვის განკუთვნილი ტერმინალის ნაცვლად კი სრულიად ახალი შენობა წამოიჭიმება.

ამ საინვესტიციო პროგრამის საერთო ღირებულება 100 მილიონი დოლარია. როგორც სომხები იმედოვნებენ, ეს ფული სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ აეროპორტი საერთაშორისო სტანდარტებს გაუთანაბრდეს. არგენტინელი ინვესტორის ხელში გადავა სხვა ტექნიკური სამსახურებიც, აერონავიგაციის გარდა.

# „ჰონდა მოტორმა" კონკურენტი იყიდა



REUTERS

სიდიდით მეორე იაპონურმა ავტომწარმოებელმა "ჰონდამ" კონცერნ "ფუჯი ჰევი ინდუსტრის" ტაივანური ქარხანა შეიძინა. შეგახსენებთ, რომ საავტომობილო ბაზარზე "ფუჯი" "ჰონდას" პირველი კონკურენტი და "სუბარუს" მარკის ავტომობილების მწარმოებელი კონცერნია.

ახალი შენაძენი "ჰონდას" 80 მილიონი დოლარი დაუჯდა. როგორც ვარაუდობენ, ტაივანური ქარხანა 2003 წლიდან ამუშავდება. გათვლების მიხედვით, "ჰონდა" იქ ყოველწლიურად 30 ათას მანქანას დაამზადებს.

პირველ ეტაპზე, "ჰონდა" ტაივანურ ბაზარზე ჩამოვა ფსონს, თუმცა, შემდეგ იაპონური და სხვა ქვეყნების ბაზრის მომარაგებასაც შეუდგება.

საინტერესოა, რომ "ჰონდას" მფლობელობაში გადასული ქარხანა "ფუჯი ჰევის" 1986 წლიდან ეკუთვნოდა. 90-იან წლებში იქ ყოველწლიურად 20 ათას მანქანას უშვებდნენ. თუმცა, ბოლო ხანებში წარმოების შემოსავალმა თანდათან იკლო და "ფუჯი ჰევიმაც" ქარხანა ასე იოლად ამიტომ გაუშვა ხელიდან.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 5-11 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.686 | 0.646 | 0.0055 |
| US$ | 1.4576 | | 0.9416 | 0.008 |
| euro | 1.5481 | 1.062 | | 0.0085 |
| ¥en | 181.88 | 124.77 | 117.5 | |

2002 წლის 11 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.0870 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.2337 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4199 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2200 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.5056 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1779 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4566 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3815 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1650 ლარი |

# ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის განახლების პერსპექტივა კვლავ ბუნდოვანია

ლინა პანტელეევა

კვირას იასირ არაფატმა გაატარა რიგი ღონისძიებები, რომლებიც, სავარაუდოდ, ორშაბათს ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონისა და აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დაგეგმილ შეხვედრას უკავშირდება. ისრაელმა პალესტინასთან მოლაპარაკებების განახლების წინაპირობად პალესტინური ადმინისტრაციის რეფორმირება და ტერორისტული აქტების აღკვეთა დაასახელა. არაფატის მიერ გატარებული ინსტიტუციური რეფორმა - მინისტრთა კაბინეტის წევრთა რიცხვის შემცირება და რამდენიმე ახალი მინისტრის დანიშვნა - საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგია და პალესტინის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ამხედრებული აშშ-ისრაელის გულის მოგებას ისახავს მიზნად. უფრო ადრე არაფატმა გააკეთა განაცხადი უსაფრთხოების ძალებში რეფორმის გატარების შესახებ, რომელიც ტერორისტების მოღვაწეობის აღკვეთის მიზნით ტარდება.

იასირ არაფატის გუშინდელი გადაწყვეტილების თანახმად, პალესტინის ადმინისტრაციის კაბინეტის წევრთა რიცხვი 31-დან 21-მდე შემცირდა, დაინიშნა 5 ახალი მინისტრი და რამდენიმე უწყება გაერთიანდა. არაფატმა პალესტინის პოლიციას ისლამური ჯიჰადის ლიდერის შეიქ აბდულა შამის დაკავება დაავალა, რომელმაც წინა კვირას მეგიდდოს გზაჯვარედინზე მოწყობილ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა აიღო. ტერაქტის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. გარდა ამისა, დასახელდა არჩევნების ჩატარების სავარაუდო თარიღი – მუნიციპალური არჩევნები შემოდგომაზე, ხოლო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები კი იანვარში ჩატარდება. ადმინისტრიაციაში პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი არჩევნები 1994 წელს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ორივე მხარე არაფატის მიერ კაბინეტის რეფორმირების გადაწყვეტილებას საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდა. ღაზაში არაფატის ფატაჰისა და ჰამასის წარმომადგენლების შეფასებით, არაფატის გადაწყვეტილებით კაბინეტში ცვლილებები არ მომხდარა, რადგან კაბინეტში ძირითადად კვლავ ძველი სახეები დარჩა და, აქედან გამომდინარე, ცვლილებები მხოლოდ მოჩვენებითია. რაც შეეხება ებრაულ მხარეს, ისრაელის ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რეფორმას თამაში უწოდა, რომელიც ამერიკელებზე შთაბეჭდილების მოხდენას ისახავს მიზნად.

არაფატის გადაწყვეტილება, შესაძლოა, ნაწილობრივ შაბათს კემპ დევიდში ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის აშშ-ის პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან გამართული შეხვედრის შედეგმაც განაპირობა. როგორც ცნობილია, ჰოსნი მუბარაქი ვაშინგტონში საკუთარი სამშვიდობო გეგმით ჩავიდა, რომლის თანახმადაც ჯერ პალესტინური ადმინისტრაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა აღიარონ, ხოლო სადაო საკითხებზე მოლაპარაკება კი უკვე ორ სახელმწიფოს შორის გაიმართება. ეგვიპტის პრეზიდენტი მოლაპარაკებების დროს ბუშის მომავალი წლის დასაწყისითვის პალესტინური სახელმწიფოს აღიარებაზე აპირებდა დაყოლიებას, მაგრამ მის ძალისხმევას შედეგი არ მოჰყვა. მოლაპარაკებების სხვანაირი შედეგი არც იყო მოსალოდნელი, რადგან, იმ სახელმწიფოს აღიარება, რომლის საზღვრები და მოქალაქეები დადგენილი არ არის, პრაქტიკულად შეუძლებელია.

სამშვიდობო პროცესის განახლების საკითხზე ისრაელისა და პალესტინის ფაქტორის გარდა მთავარი შუამავლის, აშშ-ის ადმინისტრაციაში არსებული აზრთა სხვადასხვაობაც ახდენს გავლენას. სახელმწიფო დეპარტამენტის პრაგმატული ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს ზაფხულში სამშვიდობო კონფერენციის ჩატარებას. მეორე ნაწილი კი, რომელშიც ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდია წარმოდგენილი, არაფატის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების მიზანშეწონილობას უფრო სკეპტიკურად უყურებს. პრეზიდენტმა ბუშმა მუბარაქთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ არიელ შარონთან მოლაპარაკების შემდეგ ამ საკითხისადმი საკუთარ მიდგომას, ე.წ. "ბუშის გეგმას" ჩამოაყალიბებს. არაფატი კაბინეტის რეფორმირების გადაწყვეტილებით, შესაძლოა, "ბუშის გეგმის" საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე პრეზიდენტის პალესტინელთა მიმართ დადებითად განწყობას ემსახურებოდა. მოხდება თუ არა გარდატეხა ისრაელ-პალესტინის ურთიერთობაში უახლოეს მომავალში, ბუშისა და შარონის შეხვედრის შემდეგ გახდება ნათელი. თუმცა, თუ ისრაელის ჯარების ბოლო ორი დღის განმავლობაში წარმოებული ოპერაციებით ვიმსჯელებთ, სამშვიდობო პროცესის განახლება საკმაოდ შორეული პერსპექტივაა.

კვირა ღამეს ისრაელის ჯარებმა განახორციელეს რეიდები პალესტინელების დასახლებებში დასავლეთ სანაპიროზე: ჰებრონსა და ტულკარმაში. ორშაბათს კი უკვე რამალაში შევიდნენ და იასირ არაფატის რეზიდენციას კვლავ შემოარტყეს ალყა. ოპერაციის შედეგად დაიღუპა ერთი, ხოლო დაშავდა ორი პალესტინელი. დააკავეს 20-მდე ტერორიზმში ეჭვმიტანილი. ისრაელის ჯარის ოპერაციამ ახალი პალესტინური მთავრობის პირველი სხდომა ჩაშალა.



REUTERS

# შირაკის კოალიციამ საპარლამენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა

გასული თვის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, შირაკის მემარჯვენეებმა აშკარა უპირატესობით ლე პენის ულტრამემარჯვენეები დაამარცხეს, კვირას გამართულ საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში კი, ასეთივე აშკარა უპირატესობით, მემარცხენეებს მოუგეს. შირაკის მემარჯვენე-ცენტრისტულმა კოალიციამ, "კავშირი საპრეზიდენტო უმრავლესობისათვის" ხმათა თითქმის 44% მოიპოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატაში, 577-წევრიან ეროვნულ კრებაში მას 380-400 ადგილი ექნება. უფრო ზუსტი ციფრი არჩევნების მეორე ტურის შემდეგ გახდება ცნობილი, რომელიც მომავალ კვირას უნდა გაიმართოს. ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ხმათა 50%-ზე მეტი ვერ მიიღო, ინიშნება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობენ პირველ და მეორე ადგილზე გასული კანდიდატები, პლუს ყველა ის კანდიდატი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის 12,5%-ზე მეტი მიიღო. კვირას, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 65%-მა მიიღო, რაც მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

**საფრანგეთის არჩევნები**

პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მემარჯვენე კოალიციამ „კავშირი საპრეზიდენტო უმრავლესობისთვის" (**UMP**) დაამარცხა მემარცხენეები და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში.

**UMP**-მ შეიძლება აილოს 380-ზე მეტი ადგილი ეროვნულ კრებაში, სადაც უმრავლესობის შექმნისათვის საჭიროა 289 ხმა




შედეგები ემყარება ხმების საერთო რაოდენობის 75%-ს.
არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 75%-მა
**წყარო**: შინაგან საქმეთა სამინისტრო
© GRAPHIC NEWS

მემარცხენე ძალთა ალიანსმა, რომელშიც სოციალისტები დომინირებენ, ხმათა 36% მიიღო, რაც პარლამენტში 155 ადგილს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაისში, ულტრამემარჯვენეებისგან მომავალი "ყავისფერი საფრთხის" ფონზე, სოციალისტები, კომუნისტები და პროფკავშირები იძულებულნი იყვნენ, შირაკისთვის დაეჭირათ მხარი. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების უმთავრესი სენსაციის ავტორს, ლე პენს და მის "ეროვნულ ფრონტს", იგი შეიძლება საერთოდ სადეპუტატო მანდატების გარეშე დარჩეს, თუმცა, უფრო მოსალოდნელია, რომ რამდენიმე ერთეული ადგილით შემოიფარგლოს.

შირაკის კოალიციის გამარჯვება საფრანგეთში მთელი ევროპის მასშტაბით მემარჯვენეთა პოზიციების განმტკიცებასა და მემარცხენეთა დასუსტებას ასახავს. ჰოლანდია, იტალია, დანია, ესპანეთი, ავსტრია და, ახლა უკვე, საფრანგეთიც ის ქვეყნებია, სადაც მოსახლეობა სულ უფრო კონსერვატიულ განწყობას ამჟღავნებს. წინასწარი გამოკითხვებით, არ არის გამორიცხული ამ ქვეყნებს გერმანიაც შეუერთდეს, რომელმაც სექტემბერში არჩევანი უნდა გააკეთოს ქრისტიან-სოციალისტების მემარჯვენე ლიდერ შტოიბერსა და ახლანდელ კანცლერ შრიოდერს შორის.

მემარჯვენეთა გამარჯვებას, როგორც წესი, იმიგრაციული კანონმდებლობის გამკაცრება, გადასახადების შემცირება და დამნაშავეობასთან ბრძოლის გააქტიურება მოჰყვება. რიგითი ევროპელი ამომრჩევლისთვის უკანონო იმიგრანტები, როგორც ჩრდილოეთ აფრიკიდან, ისე აღმოსავლეთ ევროპიდან, ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რადგან, ერთი მხრივ, დამნაშავეობის ზრდას უწყობენ ხელს, რომელმაც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ბოლო 15-20 წლის მანძილზე ყველაზე მაღალ მაჩვენებლს მიაღწია, მეორე მხრივ კი იაფ სამუშაო ძალას წარმოადგენენ, და შრომის ბაზრიდან დევნიან უფრო დახელოვნებულ, მაგრამ უფრო ძვირ ადგილობრივ მუშახელს.

იმიგრანტებთან ევროპელების დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ციფრები გაზეთ "ვაშინგტონ პოსტს" მოჰყავს. მის მიხედვით, საფრანგეთში, სადაც 7-8 მილიონი შავკანიანი ცხოვრობს, პარლამენტში მხოლოდ ერთი ფერადკანიანია, ბრიტანეთის თემთა პალატაში – 12, იტალიის პარლამენტში – არცერთი. ფერადკანიანთა უფლებების დამცველი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით, ევროპის ქვეყნების ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებებში უფრო მეტი შავკანიანია, ვიდრე ამავე ქვეყნების მთავრობებში.

გადასახადების შემცირება შირაკის ერთ-ერთი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირებაა და, როგორც ქვეყნის ახალი პრემიერი ჟან-პიერ რაფარენი აცხადებს, იგი ამ დაპირებას შეასრულებს. ფრანგებს მართლაც სჭირდებათ გარანტია, რომ მათი პრეზიდენტი დაპირებას შეასრულებს, რადგან გადასახადების შემცირებას შირაკი მათ 1995 წელსაც დაჰპირდა (საფრანგეთში პრეზიდენტს შვიდი წლის ვადით ირჩევენ) და ინაუგურაციიდან ზუსტად 4 თვის თავზე გადასახადები გაზარდა. ფრანგებმა მას ეს ადვილად აპატიეს. შირაკისადმი სახალხო მხარდაჭერაზე დიდი გავლენა არც კორუფციაში ბრალდებებს მოუხდენია, რომლებიც ჯერ კიდევ იმ პერიოდს უკავშირდება, როცა შირაკი პარიზის მერი იყო.

კვირის არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტისა და მის მხარდამჭერთა ხელში მთელი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება მოექცა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპირებების შეუსრულებლობების შემთხვევაში იგი ჟოსპენსა და სოციალისტებს ვერაფერს დააბრალებს.

# სომხეთ-დიასპორის კონფერენცია

სომხებისა და სომხური დიასპორის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც გასულ თვეში ერევანში გაიმართა, 1999 წლის შემდეგ მსოფლიო სომხობის ყველაზე დიდი შეხვედრა იყო. სხვადასხვა შეფასების მიხედვით, მსოფლიოში სულ 6,5-8 მილიონი სომეხი ცხოვრობს, მათი უმრავლესობა ისტორიული სამშობლოს ფარგლებს გარეთ ბინადრობს. სომხური დიასპორა განსაკუთრებით ძლიერია აშშ-სა და საფრანგეთში, ასევე, ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. იგი ნელ-ნელა ძლიერდება რუსეთშიც.

აღსანიშნავია, რომ დიასპორა სომხეთსა და მთიან ყარაბაღს ძალზე დიდ დახმარებას უწევს. მხოლოდ ამერიკულმა ფონდმა "ჰაიასტანმა" 1991 წლიდან დღემდე საქველმოქმედო მიზნით სომხეთს 75 მილიონი დოლარი გამოუყო. თუმცა ამ ფონდის ხელმძღვანელობა, რომელსაც კოჩარიანის ადმინისტრაციასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს, კონფერენციაზე არ გამოჩენილა.

კონფერენციაზე, რომელიც 27-28 მაისს მიმდინარეობდა, სომხეთის ხელისუფლებასა და დიასპორას შორის უთანხმოება აშკარად გამოჩნდა. კონფერენცია სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვართან ოსკანიანმა გახსნა, რომელმაც წარადგინა საკითხების ის ჩამონათვალი, რომელიც კონფერენციაზე უნდა განეხილათ: პანსომხური მედია-ჯგუფის, ე.წ. "სომხური CNN"-ის შექმნა, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში თანამშრომლობის განვითარება და სომეხი და დიასპორის წარმომადგენელი ბიზნესმენების მონაწილეობით "განვითარების საბჭოს" შექმნა. შემდეგ სომხეთის ორივე კათოლიკოსი კარეკინ მეორე და არამ პირველი გამოვიდნენ (შეგახსენებთ, რომ არსებობს ორი სომხური ეკლესია: საკუთრივ სომხეთის და ე.წ. "კილიკიის დიდი სახლის". პირველი მათგანი უფრო საკუთრივ სომხეთის სამწყსოს ხელმძღვანელობს, მეორე, ძირითადად, დიასპორის სულიერი წინამძღოლია. ორივე მათგანის სათავეში კათოლიკოსი დგას. ფორმალურად, კილიკია ეჩმიაძინს ექვემდებარება, რეალურად კი ისინი თანასწორნი და დამოუკიდებელნი არიანი).

კათალიკოსმა კარეკინ მეორემ განაცხადა, რომ უმუშევრობასა და ემიგრაციასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა სომხეთის დამოუკიდებლობით გამოწვეული სიხარული დაჩრდილა. მისი სიტყვები ბევრმა ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკად აღიქვა. დიასპორის წარმომადგენლებიც არანაკლებ კრიტიკულად იყვნენ განწყობილი. რუსეთის სომხური სათვისტომოს თავმჯდომარემ და მდიდარმა ბიზნესმენმა, არამ აბრამიანმა, მთავრობას კორუფციისა და კლანური პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოსთხოვა. ამერიკაში ყველაზე გავლენიანი სომხური ლობისტური ჯგუფის "ამერიკის სომეხთა ასამბლეის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ პიტერ ვოსბიკიანმა განაცხადა, რომ ქვეყანა კრიზისის ზღვარზე დგას და მთავრობა ვალდებულია მის თავიდან ასაცილებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. ახლად დაარსებული კავკასიის მედია- ინსტიტუტის დირექტორის, ჩეტიანის აზრით, "დროა ითქვას, რომ დიასპორა დაიღალა სომხეთის პრობლემებით. კორუფცია ყოველგვარ დახმარებას აზრს უკარგავს. თუმცა, ამ საკითხს ტაბუ ადევს. თუ ჩვენ ამ პრობლემის გადალახვა ვერ მოვახერხეთ, მაშინ დიასპორა-სომხეთის ურთიერთობების ჩარჩოების გამოძებნა შეუძლებელი იქნება".

"სომხური CNN"-ის იდეას, რომელმაც ნაციონალური იდეების პროპაგანდა უნდა მოახდინოს, დიასპორის წარმომადგენელებმა არ დაუჭირეს მხარი, საერთოდ, ისინი შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ქვეყანაში მას-მედია ხელისუფლების მზარდი კონტროლის ქვეშ ექცევა (ორი უკანასკნელი დამოუკიდებელი ტელეარხი A1+ და "ნოიან ტაპანი" მთავრობამ გასულ გაზაფხულზე დახურა).

საბოლოოდ, დელეგატების მრავალრიცხოვნების (3000 კაცი) გამო, კონფერენცია უფრო სადისკუსიო კლუბად გადაიქცა, ვიდრე კონკრეტული პროექტების განხილვის ადგილად, თუმცა, რამდენიმე პროექტის დაწყება მაინც გადაწყდა, მათ შორის, გენოციდის კვლევის ცენტრის გახსნა და ერევანში დიასპორის მუზეუმის დაარსება.

## ამბები

### ახალი ტერაქტების საფრთხე აშშ-ში

აშშ-ის სანაპირო დაცვამ გააკეთა განცხადება ქვეყნის სანაპირო ზოლში აკვალანგისტების მიერ ტერორისტული აქტების მოწყობის შესაძლებლობის შესახებ. სანაპირო დაცვის ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაციები ამზადებენ მოცურავეებს, რომლებიც თანამედროვე წყალქვეშა ასაფეთქებელი მოწყობილობების საშუალებით სანაპირო ზოლში სამიზნეებს გაანადგურებენ. სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა შესაძლო ტერაქტების კონკრეტული ობიექტები არ დაასახელეს. გაფრთხილება აშშ-ის ყველა ნავასდგურს, გემებსა და საზღვაო ბორნებს გაეგზავნა. აშშ-ის სპეცსამსახურები უკვე ამოწმებენ მაღაზიებს, რომლებიც წყალქვეშა ცურვისთვის საჭირო აღჭურვილობით ვაჭრობენ და აგრეთვე სკოლებსა და კურსებს, სადაც აკვალანგისტებს ამზადებენ. *(CNN)*

### რუსეთ-უკრაინის ენერგეტიკული თანამშრომლობა ღრმავდება

კვირას სანქტ-პეტერბურგში სამუშაო ვიზიტით უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩავიდა. შედგა კუჩმას შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან. მხარეები უკრაინა-რუსეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, საკითხის განხილვას გეგმავდნენ.

პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას ორ სახელმწიფოს შორის ბუნებრივი აირის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. განცხადების თანახმად, ორივე ქვეყნის მთავრობებს შეზღუდულ დროში ბუნებრივი აირის სფეროში სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისთვის მომზადება დაევალა. გარდა ამისა, პრეზიდენტების განცხდება პარიტეტულ საწყისებზე უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის მართვისა და განვითარების კონსორციუმის შექმნას გულისხმობს. კონსორციუმის მონაწილეები კონსენსუსის საფუძველზე ევროპული გაზის კომპანიების ამ პროექტში მონაწილეობის პირობებს განსაზღვრავენ. კონსორციუმი, სავარაუდოდ, აგვისტოსთვის შეიქმნება. კონსორციუმის მთავარი მონაწილეები "ნაფტაგაზ უკრაინა" და "გაზპრომი" იქნებიან. რუსეთის ვიცე-პრემიერის, ვიქტორ ხრისტენკოს ინფორმაციით, ივნისის ბოლოს იგეგმება ბუნებრივი აირის ტრანზიტის შესახებ რუსეთ-უკრაინას შორის 10 წლიანი ხელშეკრულების ხელმოწერა. *("რია ნოვოსტი")*

### ბალტიის ქვეყნების სამიტი

დღეს სანქტ-პეტერბურგში ბალტიის ქვეყნების მეთაურების სამიტი შედგება. დღის წესრიგის მთავარი საკითხებია ევროკავშირის მოსალოდნელი გაფართოება და მისი გავლენა პოლონეთსა და ლიტვას შორის მდებარე კალინინგრადის ოლქზე, რომელიც რუსეთის ნაწილია. რუსეთი ლიტვას და პოლონეთს კალინინგრადში მიმავალი რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შენარჩუნებას სთხოვს. გარდა ამისა, შეხვედრის დროს, სავარაუდოდ, ტერორიზმის, ორგანიზებული დამნაშავეობისა და ინფექციური დაავადებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები განიხილება. *(BBC)*

### ჰეიდარ ალიევი - "ცივილიზაციათა დიალოგის" პრემიის ლაურეატი

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ანდრია პირველწოდებულის ფონდის "ცივილიზაციათა დიალოგის" საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა. პრემიის გადაცემის ცერემონიაზე ალიევმა განაცხადა, რომ პრემიით დაჯილდოებას განიხილავს "როგორც რუს და აზერბაიჯანელ ხალხს შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და განვითარების კიდევ ერთ შესაძლებლობას". *("რია ნოვოსტი")*

### ინდოეთ-პაკისტანი: "ყინული დაიძრა"?

ქაშმირში საკონტროლო ზონაში მიმდინარე სროლის მიუხედავად, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ რიჩარდ არმიტიჯმა რეგიონში ვიზიტის შედეგად განაცხადა, რომ, თუმცა კრიზისი არ დასრულებულა, დაძაბულობა ნაწილობრივ მოიხსნა. ინდოეთი პაკისტანში ზოგიერთი თავისი დიპლომატის დაბრუნების საკითხსაც კი განიხილავს. რაც შეეხება პაკისტანულ მხარეს, ინფორმაციის მინისტრის ნისარ მემონის აზრით, მსოფლიო თანამეგობრობის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად "ყინული დაიძრა". უახლოეს მომავალში რეგიონში აშშ-ის თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი ჩავა. *(CNN)*

# იმშობიარეთ უფასოდ!

საქართველოში მოქმედი მეანობის ფედერალური პროგრამით, ქვეყნის ყველა მოქალაქე ქალს შეუძლია მისი რაიონის ქალთა კონსულტაციაში აღრიცხვაზე დადგეს და მიიღოს პოლისი, რომელიც მას აძლევს უფასოდ მშობიარობის უფლებას. მსგავსი კონსულტაცია ყველა რაიონშია. თბილისში 17 ასეთი კონსულტაცია მუშაობს, მაგრამ ქალებს უნდა ახსოვდეთ, რომ უფასოდ მშობიარობის გარანტიას - პოლისს იძლევიან მხოლოდ ის კონსულტაციები, რომელთაც სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიასთან აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება. ამიტომ, აღრიცხვაზე დადგომამდე დარწმუნდით, რომ თქვენს მიერ შერჩეული კონსულტაცია ასეთი ხელშეკრულებით არის აღჭურვილი.

სასურველია, აღრიცხვაზე ორსულობის მე-12 კვირისთვის დადგეთ. ეს საშუალებას მოგცემთ, უფასო გამოკვლევის ოთხივე ეტაპი გაიაროთ. პირველი გამოკვლევა სწორედ ორსულობის მე-12 კვირას არის დაგეგმილი. მასში შედის: კონსულტაციები მეან-გინეკოლოგთან და თერაპევტთან, სისხლის საერთო ანალიზი, სისხლში შაქრის განსაზღვრა, სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა, შარდის საერთო ანალიზი, საშოს ნაცხის ბაქტერიოლოგიური ანალიზი და ტესტი სიფილისზე.

მეორე გამოკვლევა ორსულობის მე-20 - 22-ე კვირაზეა დაგეგმილი და მოიცავს: კონსულტაციას ექიმ-გინეკოლოგთან, შარდის საერთო ანალიზს და სისხლის ჰემოგლობინის განსაზღვრას.

მესამე გამოკვლევა ორსულობის 30-ე - 32-ე კვირაზე კეთდება და მასში შედის: კონსულტაცია ექიმ-გინეკოლოგთან, შარდის საერთო ანალიზი და სისხლის ჰემოგლობინის განსაზღვრა.

მეოთხე გამოკვლევა ორსულობის 36-ე კვირაზე ტარდება და მეან-გინეკოლოგთა კონსულტაციასა და შარდის საერთო ანალიზს ითვალისწინებს. ამ დროს იქმნება გაცვლა-გამოცვლის ბარათი, რომელიც ქალმა სამშობიაროში მისვლისას, პოლისთან და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად უნდა წარადგინოს.

ეს გამოკვლევები თქვენთვის უფასოა ისევე, როგორც მშობიარობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც მეანობის სახელმწიფო პროგრამას ახორციელებს. ასეთი სამშობიაროები საქართველოს ყველა რაიონშია, თბილისში კი მოქმედებს ოთხი: ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეან-გინეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის მე-4, მე-5 სამშობიარო სახლები და საპატრიარქოსთან არსებული, ყოფილი მე-3 სამშობიარო სახლი.

დედაქალაქში ამდენი დაწესებულების არჩევა იმან განაპირობა, რომ სახელმწიფოში მოქმედი რეფერალური სისტემით, რისკის ჯგუფის მშობიარეები, ვისაც შეიძლება გართულებები შეექმნათ, სამშობიაროდ აქ ჩამოჰყავთ. ამისთვის საჭიროა, რაიონიდან დარეკონ ზემოთ ჩამოთვლილ სტაციონარებში. მანქანები თბილისიდან გავლენ და ორსულსა თუ მელოგინეს დანიშნულების ადგილზე ჩამოიყვანენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში ეს საქმე ქუთაისის ცენტრალურ სამშობიარო სახლს აკისრია. მეანობის სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს მშობიარეთა კვებას, დანარჩენი, – ბავშვის მოვლით დაწყებული, მედიკამენტებითა და საწოლით დამთავრებული, – დაფინანსებულია.

# საფრანგეთი ოქროს საწმისის მოლოდინში

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი უნივერსიტეტები და ევროპაში აღიარებული დიპლომების მფლობელები საქართველოს ევროპასთან დააახლოვებენ. ასეთ სასწავლებლებში ათვისებული ღირებულებები და ინტეგრაციის ზრდა კი პირდაპირ იმოქმედებს კურსდამთავრებულთა ეფექტურ საქმიანობაზე.

განათლების ამგვარი სისტემის ელიტურობაზე ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორი, იური მოსიძე და საფრანგეთის ელჩი ქ-ნი მირეი მიუსო საუბრობდნენ.

შორ მანძილზე სწავლების პროექტის ფარგლებში, თბილისში დაარსებული "მონპელიე-3" 2 წლისაა. "თუმცა, მან ამ ეტაპზე დასახული ყველა მიზანი განახორციელა", – საფრანგეთის ელჩმა აქ იმ გამოცდების შედეგები აღნიშნა, რომლებიც ფრანგული ენის გაღრმავებულ ცოდნას გულისხმობს (DALF) და საფრანგეთში სწავლის გაგრძელების მსურველ მომავალ სტუდენტს ფრანგული ენის გამოცდისაგან ათავისუფლებს.

"მონპელიე-3"-ის პრეზიდენტის, მიშელ ვეის განცხადებით, "სხვადასხვა სფეროში ფრანგულის სამომხმარებლო ენად ქცევამ ხელი უნდა შეუწყოს უფრო მნიშვნელოვანს - დასავლურ ჰუმანისტურ და დემოკრატიულ კულტურაზე დამყარებული ღირებულებების დამკვიდრებას". იგი ქართველი სტუდენტებისგან "მონპელიეში ოქროს საწმისის ჩატანას" ელოდება. თავის მხრივ, 13 სტუდენტი ამ "მარშრუტით" დაინტერესდა. ამჟამად, ამათგან ორი უკვე სტაჟირებაზე იმყოფება.

# მაჭავარიანის იმედით მრავალშვილიანი დედები გამგეობას უჩივიან



მრავალშვილიანი დედების ერთ-ერთი აქცია

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

სოფიკო ოხანაშვილი

**"გამგეობისა და მერიის ხელშეწყობით ეწყობა დაკვეთილი აქციები. ამის შემდეგ აქციონერი დედები იღებენ დახმარებას, ერთეულები - უზარმაზარ თანხას, 2000-3000 ლარის ოდენობით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ აქციონერ ქალებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ არიან მრავალშვილიანები, გაყალბებული აქვთ საბუთები და ხელოვნურად აქვთ გაზრდილი შვილების რაოდენობა. აი, ასეთი ხალხი სარგებლობს წლების განმავლობაში დახმარებით, ხოლო ნამდვილად გაჭირვებული მრავალშვილიანი დედები გამგეობაშიც კი ვერ შევდივართ,"(სტილი დაცულია)** - ვკითხულობთ ისანი-სამგორის რაიონის გამგეობაში აღრიცხვაზე მყოფ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიან, მარტოხელა, უმწეო, მარჩენალდაკარგულ, ობოლ და ინვალიდ მოქალაქეთა მიერ საქართველოს გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის სახელზე დაწერილ ერთობლივ განცხადებაში.

დაძაბული იყო 1 ივნისს დახმარებების გაცემის პროცესი. ნამდვილად გაჭირვებული მრავალშვილიანი დედები ამჯერადაც ხელცარიელნი დარჩნენ. ამის მიზეზად ისინი იმას ასახელებენ, რომ დახმარებებს იღებენ გამგეობის ხელმძღვანელობასთან შეკრული ადამიანები. **"ჩვენ მოვითხოვთ, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის თემურ ქურხულისა და მისი ქვეშევრდომების - ლეილა ჩქარეულის, მანანა გოჩალეიშვილის, ცარო ბერაძის, თინა ბებიაშვილის წინააღმდეგ. მოვითხოვთ, 2000 წლიდან გამოყოფილი თანხები დაგვიბრუნონ და პასუხი აგონ ამდენი წლის მანძილზე ჩვენი კუთვნილი თანხების მითვისებისთვის. აგრეთვე, ვითხოვთ გამოძიებას გაყალბებულ საბუთებთან დაკავშირებით,"** - მიხეილ მაჭავარიანის ოფისში შეკრებაზე განაცხადა 8 შვილის დედამ ელმირა მზარეულიშვილმა.

მრავალშვილიან დედებს სამართლიანობის აღდგენასა და კუთვნილი დახმარებების დროულად მიღებაში სამგორის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში გამარჯვებული მიხეილ მაჭავარიანი ეხმარება. **"არჩევნებამდეც შემოდიოდა ჩვენს სახელზე უამრავი განცხადება, რომლებშიც აღნიშნულია სერიოზული დარღვევები. ლაპარაკია არა 100 და 200 ლარზე, არამედ საკმაოდ სოლიდურ თანხებზე. ჩვენ ჯერჯერობით ვსწავლობთ და ვამოწმებთ განცხადებებში ჩამოთვლილ დარღვევებს. ამ ხალხის გვჯერა და ყველანაირად დავეხმარებით სამართლიანობის აღდგენაში. როგორც კი საკმარისი მტკიცებულებები გვექნება, აუცილებლად ჩვენი სახელითაც აღვძრავთ სარჩელს,"** - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანის თანაშემწემ ანი ოსიყმიშვილმა.

ჩვენ ვცადეთ ისანი-სამგორის რაიონის გამგებელთან დაკავშირება, რათა კომენტარი გაეკეთებინა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე, მაგრამ უშედეგოდ. 3 საათამდე გამგებლის მისაღების ნომერზე არავინ პასუხობდა.

# შესაძლოა, იალბუზმა გაიღვიძოს



დალი კუპრავა

იალბუზის სულ უმნიშვნელო ამოფრქვევაც კი კატასტროფული იქნება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ იალბუზი, სადაცაა, გაიღვიძებს. გეოფიზიკოსთა მონაცემებით, სამი კილომეტრის სიღრმეზე ლავით სავსე ცოცხალი მაგმატური ცენტრია. მაგმა მთის ქანებს ახურებს, ამიტომ მინერალური წყლები, რაც უფრო უახლოვდება მწვერვალს, უფრო ცხელდება. გეოლოგებისთვის ეს ნიშნები ვულკანის ახლანდელი აქტიურობის მაუწყებელია და მიიჩნევენ, რომ საჭიროა მრავალმხრივი დაკვირვება.

მწვერვალი და ფერდობები ექვსი კუბური კილომეტრი სისქის ყინულითაა დაფარული. იმ შემთხვევაში, თუ ყინული დაიწყებს დნობას, წყალდიდობა და ლაქარები (ცხელი ტალახის ნაკადი) რამდენიმე წუთში გაანადგურებს მიდამოს. ასე მოხდა ვულკან რუისის ამოფრქვევის დროს, 1985 წელს, როცა კოლუმბიაში, 23-ათასიანი მცხოვრებით, ქალაქი არმერი ორმოც წუთში ცხელი ტალახით დაიფარა. ლაქარი 40-50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს, ხოლო დაბლობში მისი ტალღების სიმაღლე 20 მეტრს აღწევს. უკანასკნელად, იალბუზი ჩვ.წ.აღ-მდე |-|| საუკუნეებში აფრქვევდა ლავას, თუმცა, ალპინისტები მწვერვალზე დღესაც ხვდებიან ცხელი გაზის - ფუმაროლის ნაკადულებს.

ბოლო ასი წლის განმავლობაში, კავკასიასა და მეზობელ მთიან რაიონებში გახშირდა მიწისძვრები. ეს რეგიონი ორი კონტინენტური ბლოკის შეხვედრის ადგილზე მდებარეობს და დღემდე იკუმშება წელიწადში 12 მმ-ის სიჩქარით. ანუ, მთები იზრდება და ამიტომაც არ შეიძლება გამოვრიცხოთ იალბუზის შესაძლო გამოღვიძება.

კავკასიონის ტექტონიკური გააქტიურება კასპიის ზღვის დონის აწევას დაემთხვა, რაც ეკოლოგიური კატასტროფის წინაპირობაა – შესაძლოა, დაიტბოროს კომუნიკაციები, ნავთობის ჭაბურღილები,ნაგებობები...

ჯერჯერობით, ამ ორი მოვლენის ურთიერთკავშირი დაუდგენელია.

# მე-9 კლასელთა „ტესტბორბალამ" გადაიარა

ირმა კახურაშვილი

*გუშინ გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში ტელეფონის ზარი არ წყდებოდა. საშუალო სკოლის გამოცდების დღეებში შექმნილი "ცხელი ხაზი" მთელი დატვირთვით მუშაობდა. ცენტრის თანამშრომლებს, ფაქტობრივად, ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდათ. მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც მე-9 კლასელთა მათემატიკის გამოცდების წინ, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, ტესტებმა მოსწავლეებამდე ვადაზე ადრე "მიაღწიეს". ბოლო გამოცდის მომსწრე ჩვენც გავხდით.*

**10:30.** 23-ე საშუალო სკოლაში იდეალური სიჩუმეა. ბავშვები ყველა საგამოცდო წესის დაცვით მუშაობენ. გადაჩურჩულებაც კი გამორიცხულია. დამკვირვებლები მკაცრად ადევნებენ თვალყურს 72 ბავშვს. მეცხრეკლასელი გოგონას აღიარებით, ტესტები საკმაოდ მარტივია, მაგრამ მას ეშინია, შეცდომა არ მოუვიდეს. გადასწორება ხომ გამორიცხულია.

**10:50.** ცენტრში დაბრუნებულებს, ქუჩაში 81-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი გალინა ჩირისხანოვა გვხვდება. მათ გერმანულენოვანი ტესტის ნაცვლად ინგლისურენოვანი მიიღეს. აღელვებულ ქალბატონ გალინას ცენტრის თანამშრომლები სასწრაფოდ უცვლიან პაკეტს.

**10:55.** "განგაშია" მე-12 სკოლაში. "ცხელი ხაზის" საშუალებით სკოლის დირექტორი ასევე ტესტების გამოცვლას ითხოვს. ამასობაში მე-3 საშუალო სკოლიდან ბრუნდება ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფი. ამ სკოლაში აღინიშნა სერიოზული დარღვევა - მასწავლებელმა ვადაზე ადრე გახსნა პაკეტი და ბავშვები შეეცადნენ, ტესტის პასუხები გაევრცელებინათ.

**11:05.** პირველი კლასიკური გიმნაზიიდან ცენტრს მიაკითხა პედაგოგმა: სკოლამ ტესტების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.

**11:20.** "ცხელ ხაზზე" 53-ე საშუალო სკოლაა. დირექტორმა არ იცის, რა მოიმოქმედოს, რადგან მისმა მოსწავლეებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს ტესტის შევსება. ცენტრის თანამშრომლები დაცდას სთხოვენ, რომ პასუხებმა სხვა სკოლებში არ გაჟონოს. ეს კი, ჩვეულებრივ, ელვის სისწრაფით ხდება.

**11:40.** საინტერესო ინფორმაცია 120-ე საშუალო სკოლიდან: ზოგიერთ მოსწავლეს აღმოაჩნდა ტესტის ყველა ვარიანტი, რომელიც ბოლო დღეს ახლით შეიცვალა.

**12:10.** დამკვირვებელი ივა მინდაძე ნამდვილი მახარობელია: 162-ე, 170-ე, 122-ე, 130-ე და პირველ ექსპერიმენტულ სკოლებში ნორმალური სიტუაციაა, ანუ იქ მასობრივი გადაწერა არ შეინიშნებოდა.

**12:20.** "ცხელ ხაზზე" თითქმის აღარავინ რეკავს. გამოცდები ზუსტად პირველის ნახევარზე მთავრდება. ცენტრში განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია გამოჩნდა:

**"მეცხრე კლასის გამოცდების აპრობაცია შარშან მოხდა. პილოტირებისას ნაკლები დარღვევა იყო, ამიტომ ნაკლებად ველოდით გართულებებს. გაისად აუცილებლად გადავკეტავთ იმ არხებს, რომლებიც ხარვეზებს გვაშვებინებენ. შეგროვილი ინფორმაცია დარღვევების შესახებ გადამუშავდება და მომავალ გამოცდებამდე გამოქვეყნდება.**

**მშობლები კი, რომლებმაც თავიანთ შვილებს ტესტები შეუძინეს, უნდა მიხვდნენ - არ შეიძლება გამართლდეს ის, რაც ხშირად გვსმენია: საქართველოში მშობლები ფულს იხდიან იმაში, რომ მათმა შვილებმა განათლება არ მიიღონ".**



„ტესტბორბალამ" გადაიარა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## ორი სიტყვით

■ ■ ■

**მედია-ნიუსი.** გაეროს ექსპერტის, იაკიმ პეტროვსკის შეფასებით, მიწისძვრით თბილისის სკოლებისთვის მიყენებულმა ზარალმა 6 მილიონი დოლარი შეადგინა, ბაგა-ბაღებისთვის ეს მაჩვენებელი 2.5 მილიონი დოლარია, უმაღლესი და სპეციალიზებული სასწავლებლებისთვის — 1.1 მილიონი დოლარი.

■ ■ ■

რუსეთის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებს მომავალი წლიდან სტიპენდიები ორჯერ გაეზრდებათ. განათლების მინისტრის ვლადიმირ ფილიპოვის თქმით, რუსეთის სტუდენტების 95 პროცენტს მშობლები ეხმარებიან, მესამედი თავად მუშაობს დამატებითი შემოსავლისთვის და მხოლოდ 10 პროცენტს ჰყავს სპონსორები.

■ ■ ■

ბრიტანელმა და შვეიცარიელმა მეცნიერებმა დიაბეტის ყველაზე გავრცელებული ფორმისა და ალცჰაიმერის დაავადების სამკურნალო ახალი წამალი შეიმუშავეს. პრეპარატი მოქმედებს ამ სნეულებების გამომწვევ სპეციფიკურ ცილაზე. ცხოველებზე გამოცდამ ისე წარმატებით ჩაიარა, რომ მეცნიერები უკვე "ალცჰაიმერიან" პაციენტებზე აპირებენ შედეგების მოსინჯვას.

მსოფლიოში ამ სენით., თითქმის 40 მილიონამდე ავადმყოფი იტანჯება. სწავლულებს, ახალი ეფექტური წამლის ძიებისას, 100 ათასზე მეტი ქიმიური კომპონენტის გამოცდა დასჭირდათ.

■ ■ ■

ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ პერსპექტიული ტელესკოპის ორი საკონკურსო პროექტი შეარჩია. ამოცანა დედამიწის მსგავსი პლანეტების ძიებაა. ერთი პროექტი სახმელეთო ტელესკოპების ქსელს გულისხმობს, მეორე კი - საორბიტე ტელესკოპს. 3 წლის წინათ გამოცხადებულ კონკურსში 60 პროექტი იღებდა მონაწილეობას. ნასა ამ ათწლეულის განმავლობაში ვარაუდობს "პლანეტების მაძიებლის" პროექტის განხორციელებას. წინასწარი შეფასებით, ეს ყველაფერი 2 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება.

უცხოეთი

## თავისუფლება ერთწლიანი ტყვეობის შემდეგ

ფილიპინების სამთავრობო ჯარებმა "აბუ საიფის" დაჯგუფების ტერორისტებთან ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ტყვეობიდან გაათავისუფლეს ამერიკის მოქალაქე გრაცია ბერნხემი. მან ტყვეობაში ერთი წელიწადი დაჰყო და გათავისუფლებისთანავე სამშობლოში გაემგზავრა.

მისი გათავისუფლება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც სამთავრობო ჯარებმა იერიში მიიტანეს კუნძულ ბასილანზე განლაგებულ ტერორისტების ბანაკზე. შეტაკებისას დაიღუპნენ გრაცია ბერნხემის მეუღლე, ამერიკელი მისიონერი მარტინ ბერნხემი და ფილიპინელი ექთანი ედიბორა იაპი.

სამშობლოში გამგზავრების წინ გრაცია ბერნხემმა განაცხადა, რომ "აბუ საიფის" ისლამისტი ექსტრემისტები, რომლებსაც ტყვედ ჰყავდათ იგი და მისი მეუღლე, აუცილებლად უნდა მოხვდნენ მართლმსაჯულების ხელში.

"მათ ისევე უნდა მოექცნენ, როგორც ჩვეულებრივ დამნაშავეებს. მხარს ვუჭერ ხელისუფლების ყველა მცდელობას, რომელიც მიმართულია ამ ხალხის მართლმსაჯულებისთვის გადაცემისაკენ",--განაცხადა ბერნხემმა.

## იტალიაში რუს მაფიოზებს იჭერენ

"შავი" ფულის გათეთრების წინააღმდეგ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის შედეგად იტალიაში 50 კაცი დააკავეს. პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, დაპატიმრებულები არიან რუსი მაფიოზები, იტალიელი და უცხოელი ბიზნესმენები, რომლებიც შემჩნეულნი არიან დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირში.

## თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა

ტერორისტებმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. ეთიოპიის ინფორმაციის მინისტრის ინფორმაციით, ტერორისტებმა ვერ შეძლეს ხელში ჩაეგდოთ ავიაკომპანია Ethiopian Airlines-ის თვითმფრინავი. მათ მცდელობას წინ აღუდგნენ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები. მოკლულია ორი ტერორისტი.

თვითმფრინავი, რომელშიც 42 მგზავრი იჯდა, შიდა რეისს ასრულებდა. დანებით შეიარაღებულმა ტერორისტებმა მისი გატაცება "ბახრ დარედან" აფრენისთანავე სცადეს. უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დამნაშავეებს ცეცხლი გაუხსნეს და ორივე მათგანი ადგილზე მოკლეს. ამის შემდეგ თვითმფრინავი ექსცესების გარეშე დაეშვა ადის-აბებაში. ტერორისტების გაუვნებელყოფისას დაზარალდა ეკიპაჟის ერთი წევრი.

## სახიფათო პროფესია

ერთი კვირის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული ცნობილი ბრაზილიელი ჟურნალისტი სამართალდამცველებმა დაღუპულად აღიარეს. რიო დე ჟანეიროს პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, ის ჯერ აწამა, მერე კი მოკლა ნარკობარონმა ელიას მალუკუმ.

51 წლის ტიმ ლოპესი TV Globo-ში მუშაობდა. ის 2 ივნისს მას შემდეგ გაქრა, რაც ნარკობიზნესმენთა შეხვედრაზე მოხვედრა მოახერხა. ჟურნალისტი აპირებდა რეპორტაჟის მომზადებას ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ამ ბანდის წევრთა მიერ მცირეწლოვანთა გარყვნის შესახებ. ლოპესის მძღოლმა განგაში მას შემდეგ ატეხა, რაც ლოპესი შეხვედრიდან დათქმულ ადგილზე არ მივიდა.

კვირას სამართალდამცველებმა სხეულის დამწვარი ფრაგმენტები და სისხლის კვალი აღმოაჩინეს ერთ-ერთ იმ გამოქვაბულში, რომელსაც ნარკოტიკებით მოვაჭრეები თავიანთ მსხვერპლთა გვამების დასაწვავად იყენებენ.

კვირასვე პოლიციამ ოთხი ეჭვმიტანილი დააკავა. ერთ-ერთი დაკავებულის ჩვენებაზე დაყრდნობით პოლიცია აცხადებს, რომ ლოპესი ჯერ აწამეს, შემდეგ კი ელიას მალუსკუს სახელით ცნობილმა ნარკობარონმა ჟურნალისტს ესროლა და მოკლა.

"ტიმი საყვარელი საქმის კეთებისას დაიღუპა. ის იცავდა მოსახლეობას, რომელიც უძლურია ნარკობიზნესისა და ორგანიზებული დანაშაულისგან მომდინარე ტერორის წინააღმდეგ",--ნათქვამია TV Globo-ს მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

სასამართლო დარბაზი

# მკვლელობა თუ თვითმკვლელობა

ხათუნა ჯანგირაშვილი

*მეორე თვეა, უზენაესი სასამართლო სამხედრო აკადემიის კურსანტის, ვიქტორ ბიჩუკის მკვლელობის საქმეს განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ბიჩუკის გვამი რკინიგზის სადგურ "ძირულასთან" ახლოს ხეზე ჩამოკიდებული იპოვეს.*

გარდაცვლილის შარვლის ჯიბეში აღმოჩენილი ბარათის შინაარსი თვითმკვლელობაზე მიანიშნებდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამხედრო აკადემიის კურსანტის გვამი, დაახლოებით, ექვსი თვის განმავლობაში ეკიდა ხეზე.

ვიქტორ ბიჩუკის განზრახ მკვლელობაში ქუთაისის პროკურატურამ ბრალი დასდო ვარლამ აფხაძეს, შოთა წულეისკირს, ზაზა ფაილოძესა და კონსტანტინე გვენეტაძეს, რომლებსაც, საბრალდებო დასკვნით, უვადო პატიმრობა ელით. იმავე საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მათ ფოთი-თბილისის მიმავალი სამგზავრო მატარებლის ფანჯრიდან ჯგუფურად გადააგდეს ვიქტორ ბიჩუკი. მატარებლიდან ჩასულებმა იძულებით თან გაიყოლეს ოთარ კუჭავა, ნუკრი ვაშაკიძე და კობა დანელია. მოძებნეს უკვე გარდაცვლილი ბიჩუკი და ხეზე ჩამოკიდეს, თვითმკვლელის აღსარების შემცველი წერილი თავად დაწერეს და გარდაცვლილს ჯიბეში ჩაუდეს – ასეთია ქუთაისის სამხედრო პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ის მოწმე დაიკითხა, რომელმაც პირველმა ნახა ხეზე ჩამოკიდებული გვამი. ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირმა გიორგი ღონღაძემ სასამართლოს განუმარტა, რომ ადგილი, სადაც გვამი შეამჩნია, ციცაბო და მიუვალია.

**"ძვალი და ტყავიღა იყო დარჩენილი, გვამს შარვალი სხეულიდან ქამარგაუხსნელად ჩამოვარდნოდა, ფეხსაცმელები და ქუდიც იქვე ეყარა. ფორმაზე მივხვდი, რომ სამხედრო იქნებოდა. სამხედროების მიმართ დიდი პატივისცემა მაქვს, შევწუხდი, შარვალი ავიღე, ჯიბიდან ფერგადასული სიგარეტის კოლოფი და წერილი გადმოვარდა. შარვალი დავკეცე და ფეხბქვეშ დავუდე, ფეხსაცმელებიც და ქუდიც იქვე დავაწყვე. გვამის ჩამოხსნას არ შევსწრებივარ, პოლიციის მოსვლის შემდეგ წავედი."** – განაცხადა მოწმედ დაკითხულმა სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირმა, რომლის თქმითაც, იმ ხესთან მოხვედრა რამდენიმე ადამიანს ერთდროულად გაუჭირდებოდა. ჩამოკიდებული გვამის შორიდან შემჩნევა კი, ფოთლოვანი ხეების გამო შეუძლებელი იყო.

გიორგი ღონღაძის სასამართლო ჩვენება ეწინააღმდეგება გამოძიების მტკიცებას, თითქოს ბიჩუკს შარვალი ბრალდებულებმა გახადეს, დაკეცეს და იქვე დადეს, ფეხსაცმელთან და ქუდთან ერთად. სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ გამოძიებამ შემთხვევის ადგილზე რამდენჯერმე ჩაატარა ექსპერიმენტი. გიორგი ღონღაძეს, გვამის ნახვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, შუაღამისას, შემოვლის დროს ლიანდაგებზე ადამიანის ფიტულიც კი უნახავს. შორიდან უყურებია, როგორ ატარებდა ექსპერიმენტს, დაახლოებით, ექვსი კაცი, რომლებსაც ეს ფიტული იმ ციცაბო ადგილას აჰქონდათ, სადაც ბიჩუკის გვამი იყო ჩამოკიდებული.

ბრალდებულების ადვოკატების განცხადებით, გამოძიებას ექსპერიმენტი მათი თანდასწრებით უნდა ჩაეტარებინა, თუმცა ამის შესახებ მათთვის არავის შეუტყობინებია.

**"შემთხვევით გავიგეთ, რომ შემთხვევის ადგილზე ექსპერიმენტს ატარებდნენ. მოულოდნელად დავადექით თავზე, მაგრამ ახლოს ვინ მიგვიშვა. იმ ციცაბოზე ჯარისკაცებს ბილიკი და საფეხურები გააკეთებინეს. გამოძიება ყველანაირად ცდილობდა, ბრალეულობის გამამყარებელი ყალბი მტკიცებულებები შეეკრიბა და ამით თავი დაეხსნა საკუთარი დანაშაულის გამო პასუხისგებისაგან."** – აცხადებენ ადვოკატები.

გუშინ მოსამართლემ კომისიური სასამართლო-გრაფიკული და ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები გამოაქვეყნა. ტექნიკურ-კრიმინალისტიკურმა ექსპერტიზამ ბარათის დაწერის დრო, მისი სერიოზული დაზიანების გამო, ზუსტად ვერ განსაზღვრა. გრაფიკულ-კალიგრაფიული ექსპერტიზა კი ეჭვობს, რომ ვიქტორ ბიჩუკის შარვლის ჯიბეში ნაპოვნი თვითმკვლელობის შინაარსის ბარათი, სავარაუდოდ, ბიჩუკის მიერვეა დაწერილი. ამ ეჭვის დადასტურების შემთხვევაში, მკვლელობის ვერსია თავისთავად გამოირიცხება. სხვათა შორის, იგივე ექსპერტიზა კატეგორიულად გამორიცხავს, რომ ბარათი რომელიმე განსასჯელის დაწერილია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სასამართლოზე წარმოდგენილი დასკვნები ექსპერტიზის ხელმეორედ ჩატარების შედეგად დაიწერა. რაც შეეხება პირველადი ექსპერტიზის შედეგებს, გამოძიების დროს თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის მიხედვით, ბარათის დაწერა ერთ-ერთ განსასჯელს – აფხაძეს ედება ბრალად.

სასამართლო პროცესზე ჯერჯერობით დაკითხულ მოწმეთაგან განსასჯელებს დანაშაულში არც ერთი არ ამხელს.

დღეს ვიქტორ ბიჩუკის მეგობრებს, სამხედრო აკადემიის კურსანტებს დაკითხავენ, რომლებმაც თავად ითხოვეს სასამართლოსთვის დამატებითი ჩვენებების მიცემა.

# მაფია კვდება?



ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა გამბინოს სახელით ცნობილ უმსხვილეს მაფიოზურ კლანს.

ნიუ-იორკის ოფიციალური პირების განცხადებით, დაპატიმრებულია გამბინოს კლანის 17 წევრი, მეთაურთა ჩათვლით. დაპატიმრებულებს წაყენებული აქვთ ბრალდება: ქალაქის სანაპირო ნაწილში რეკეტი და გამომძალველობა.

მოულოდნელი წმენდა, რომელიც პოლიციამ ყველაზე დიდი მაფიოზური კლანის მიმართ განახორციელა, ბოლო მცდელობაა ნიუ-იორკის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მაფიის ზეგავლენის აღსაკვეთად.

დაპატიმრებულებს შორისაა გამბინოების ბოსის, ჯონ გოტის ძმა პიტერ გოტი. ასევე დაპატიმრებულნი არიან გოტის მესამე ძმა რიჩარდი და მისი ვაჟი.

თავად ჯონ გოტი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ციხეში იხდის სასჯელს. მას სასამართლომ ორი თანმიმდევრული სამუდამო პატიმრობის განაჩენი გამოუტანა. როგორც ცნობილია, ფედერალურმა მთავრობამ ჯონ გოტის დაპატიმრება მაფიის ბოსის წინააღმდეგ წამოწყებულ მხოლოდ მეხუთე სასამართლო პროცესზე შეძლო. ამჟამად, ჯონ გოტი სამუდამო სასჯელს იხდის ჩიკაგოს შტატის მერიონის უმკაცრესი რეჟიმის ციხეში და პრივილეგიების გარეშე ძალზე ცუდად გრძნობს თავს.

"მაფიამ სანაპირო ხაზზე კონტროლი ჯერ კიდევ 1950 წლიდან დააწესა, - ამბობს პროკურორი ალან ვინეგრადი, - ეს ოპერაცია ისტორიული მნიშვნელობისაა. ჩვენი მიზანი იყო მაფიის ძირფესვიანად ამოგლეჯა; არა მხოლოდ მისი ცალკეული წევრების მწყობრიდან გამოყვანა, არამედ მათი ბოსების გაუვნებელყოფა. ისინი ხომ, ძირითადად, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ".

პროკურორის აპარატიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, უკვე მზად არის ფედერალური საბრალდებო დასკვნა. ბრალდებად წაყენებულ 68 მუხლს შორის ფიგურირებს რეკეტი, გამოძალვა, ფულის გათეთრება, მოწმეების მოსყიდვა. ეს დოკუმენტი პირდაპირ მიაწერს მაფიას საპორტო ფირმების ბიზნესში შეჭრას, სატვირთო და საბუქსირო გემების მიმოსვლაზე კონტროლის დაწესებას.

მსგავსი ფართომასშტაბიანი რეიდი ამერიკელმა სამართალდამცველებმა ერთხელ უკვე ჩაატარეს. 2001 წლის დეკემბერში პოლიციამ დააპატიმრა ჯენოვეზეს კლანის 75 წევრი. სწორედ ამ საქმეზე მუშაობისას გამოძიებამ მიზანში ამოიღო გამბინოების ოჯახი და მისი დაპატიმრებისათვის დაიწყო მზადება.

კრიმინალური ქრონიკა

## ჩინოვნიკი მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

პოლიციამ გუშინწინ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი მკვლელობის მცდელობისთვის დააკავა. სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის პირველ მდივანს გიორგი დიასამიძეს ახალგაზრდა კაცის დაჭრა ბრალდება.

შს სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ თბილისში, რკინიგზელთა კულტურისა და დასვენების ბაღში გიორგი დიასამიძემ ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულმკერდის არეში დაჭრა 22 წლის თბილისელი იგორ გიორგაძე. უკვე გუშინ პოლიცია საკმაო კეთილგანწყობას გამოხატავდა 50 წლის დიასამიძის მიმართ. მათი თქმით, დიასამიძე სერიოზული, წესიერი კაცია და, როგორც ჩანს, ახალგაზრდამ ხულიგნური საქციელით იგი იმდენად გააღიზიანა, რომ საკუთარი საქციელი ვეღარ გააკონტროლა.

## ავარიის მსხვერპლი

ბათუმში ფეხით მოსიარულეს ავტობუსი დაეჯახა. "იკარუსის" მარკის ავტობუსს ვინმე ნუკრი ბერიძე მართავდა, რომელმაც მანქანა ციხისძირელ უმინე ცეტერაძეს დაეჯახა. ცეტერაძე უმძიმესი დაზიანებებით საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. ავტობუსის მძღოლი დაკავებულია. გამოძიებას ბათუმელი სამართალდამცველები აწარმოებენ.

## ვარდისუბნელი „ნარკობარონესა„

თბილისელი და თელაველი პოლიციელები ერთადერთი ქალის დასაპატიმრებლად გაერთიანდნენ. ერთობლივმა ღონისძიებამაც წარმატებით ჩაიარა. სამართალდამცველებმა თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები 46 წლის ეთერ სოზაშვილი დააპატიმრეს. მას განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება — 17,7 გრ. ჰეროინი აღმოაჩნდა. ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით, ქალბატონის საქმეს პოლიციის მთავარი სამმართველო გამოიძიებს.

## მკვლელობისთვის ძებნილი დააკავეს

რამდენიმე თვის წინათ თბილისში ჩადენილი მკვლელობისთვის ძებნილი პოლიციამ სოფელ ანაკლიაში დააკავა.

წელს, 3 აპრილს ზურაბ ხარბედიამ ორთაჭალაში, თვალის სნეულებათა კლინიკის ეზოში აფხაზეთიდან დევნილი მოკლა. ურთიერთშელაპარაკებისას ხარბედიამ გულმკერდის არეში ბასრი საგანი ჩაარტყა 45 წლის სულთან ქანთარიას, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, ხარბედიამ კი მიმალვა შეძლო.

## სასიძედრო შემოაკვდათ

მესტიის რაიონის სოფელ წვილნისში ხანში შესული ქალბატონი მისი სიძობის მსურველმა მოკლა. ფანგანების ოჯახს ღამის პირველ საათზე ორი შეიარაღებული მთვრალი შეუვარდა სახლში. როგორც მოძალადეების საუბრიდან გაიგეს, მათ ამ ოჯახის წევრის, 31 წლის ნანა ფანგანის მოტაცება ჰქონდათ განზრახული. ცოლად გაყოლაზე უარის მიღების შემდეგ, მომხდურებმა ძალადობის გამოყენება სცადეს. მაშინ უკვე საქმეში ქალის მშობლები ჩაერივნენ. უარით აღშფოთებულმა "სასიძომ" და მისმა მეგობარმა ოჯახის დიასახლისს ავტომატიდან ესროლეს. გულიკო ფილფანისთვის გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ცოლის მკვლელობით აღშფოთებულმა ჰუსეინ ფანგანმა ბოროტმოქმედებს ავტომატი წაართვა, თუმცა გაქცევაში ხელი ვერ შეუშალა.

ადამიანის უფლებები

## როგორ იცავს კანონი ეჭვმიტანილს

ეჭვმიტანილია პირი, რომელსაც წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; თუ არსებობენ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა; თუ ეჭვმიტანილის სხეულზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი.

თუ კანონდამცველები დაადგენენ, რომ არსებობს დაკავების საფუძველი, პოლიციელი ვალდებულია, დაკავებისას გასაგები ფორმით შეატყობინოს ეჭვმიტანილს, რის საფუძველზე, რა დანაშაულისთვის აკავებენ მას. თუ ეჭვმიტანილს მოეპოვება დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულება, პოლიციელს უფლება აქვს ჩაუტაროს პირადი ჩხრეკა, რაზეც აუცილებლად უნდა შედგეს ოქმი.

კანონდამცველები ვალდებულნი არიან, დაკავებიდან 5 საათის შემდეგ, ეჭვმიტანილის ნათესავებსა და ახლობლებს შეატყობინონ დაკავების ადგილსამყოფელი. თუ ეჭვმიტანილი არასრულწლოვანია - დაკავებიდან სამი საათის შემდეგ.

ეჭვმიტანილის შემოწმება პოლიციაში ან მოკვლევის ორგანოში უნდა დამთავრდეს 12 საათის განმავლობაში. დაკავებულმა 12 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ასლი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, თუ რაშია იგი ეჭვმიტანილი.

ეჭვმიტანილი უნდა დაიკითხოს დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში. დაკავების ვადა მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

48 საათის შემდეგ მომდევნო 24 საათის განმავლობაში თუ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღმკვეთი ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ეჭვმიტანილის გათავისუფლების საფუძველია: თუ არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; როცა დაკავებული პირის დაპატიმრება არ წარმოადგენს აუცილებლობას; თუ დაკავებისას დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

ეჭვმიტანილს შეუძლია მისცეს ჩვენება ან გამოიყენოს დუმილის უფლება.

ეჭვმიტანილმა დაკავებიდან სამი საათის განმავლობაში საკუთარი სურვილით უნდა აირჩიოს ადვოკატი. შეუძლია ისარგებლოს სახაზინო წესით აყვანილი დამცველის მომსახურეობით. ეჭვმიტანილს უფლება აქვს, ადვოკატს შეხვდეს და ესაუბროს პირისპირ დღეში 1 საათი.

ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურეობით.

პირველივე დაკითხვის შემდეგ მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და ექიმის წერილობითი დასკვნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მონაწილეობა მიიღოს მისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. სასამართლოს მიმართოს სამოქალაქო სარჩელით და მიიღოს ანაზღაურება ზიანისათვის, რომელიც მიაყენეს საქმის უკანონოდ და დაუსაბუთებლად აღძვრისა და დაკავების გამო.

## პოლიცია პროფესიულ საიდუმლოს მალავს

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" კახეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციებს უჩივის. ხსენებული პოლიციის უფროსების მიერ ინფორმაციების დამალვის გამო ორგანიზაცია სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის შეტანას გეგმავს.

საქმე ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნას, რომელიც წერილობით გაუგზავნეს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსს ზურაბ ტუშურს, პასუხი არ მოჰყოლია. "თავისუფლების ინსტიტუტი" იმ ადამიანთა სიას ითხოვდა, რომლებიც 1997 წლიდან არიან მოტაცებულნი; ასევე ითხოვდა ბოლო ერთი წლის მანძილზე დაკავებულ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს. კახეთის პოლიციის უფროსმა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ ვერ მიიღო ინფორმაცია ვერც ქუთაისის პოლიციის უფროსისგან: რამდენი ეჭვმიტანილი იყო რეგისტრირებული ქუთაისის პოლიციის ქვეგანყოფილებებში და რამდენი გადაიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში. ეს ინფორმაცია ქუთაისის პოლიციას გასაიდუმლოებული აქვს.

რეგიონალური ომბუდსმენის ამირან მესხელის მოთხოვნას არგუმენტირებული უარით უპასუხა სამცხე-ჯავახეთის პოლიციამ. ინფორმაცია პოლიციის სამმართველოს პირადი შემადგენლობის, ფინანსურ ასიგნებათა მოცულობისა და ფინანსების ხარჯვის თაობაზე დამალეს, რადგან იგი პროფესიულ საიდუმლოდ მიიჩნიეს.

# არის ასეთი პარტია

## ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი

პირველი გვერდიდან

1998-2000 წლებში, სააკაშვილის კარიერაში თავბრუდამხვევი სტარტის შემდეგ, კრიზისული პერიოდი დგება. შევარდნაძის რეფორმატორული პოტენციალი იშრიტება. შიდაპოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი პარლამენტ-კანცელარიის კაბინეტები ხდება, სადაც ყველაფერი სასახლის კარის ინტრიგებამდე დადის. მიხეილ სააკაშვილის უხერხული მცდელობები, შეინარჩუნოს რეპუტაცია და თან ფეხი აუწყოს ინტრიგებში გადავარდნილი პარლამენტის თამაშის წესებს, სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ის სულ უფრო ხშირად მიდის პრინციპული ხასიათის კომპრომისებზე. პირველ ხანებში მას კიდევ შველის ახლო წარსულის შარავანდედი, მაგრამ საერთო ინტრიგანულ ფონზე, როდესაც ზურაბ ჟვანიას გუნდს ფაქტობრივად მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი უპირისპირდება, უკომპრომისო რეფორმატორის იმიჯი საგრძნობლად ფერმკრთალდება.

ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, სააკაშვილი რომ პარლამენტში დარჩენილიყო: გააგრძელებდა ფაქტობრივად წაგებულ თამაშს, თუ რაიმე ახალ სვლას გააკეთებდა, მაგრამ ფაქტია, რომ "მაშველი რგოლი" მას იქიდან გადმოუგდეს, საიდანაც ეს ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი. პრეზიდენტის ინიციატივით, მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად ინიშნება.

ბუნებრივია, ასეთი გადაწყვეტილება შევარდნაძეს სააკაშვილის გადარჩენის მიზნით სულაც არ მიუღია. პირიქით, ეს იყო მცდელობა, საბოლოოდ დაესამარებინათ უკვე რეპუტაციაშელახული, მაგრამ მაინც მმართველი ნომენკლატურის "თავის ტკივილად" დარჩენილი ფიგურა. სააკაშვილი არასოდეს გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით. თანაც, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნებისმიერი პიროვნების გადაყვანა აქამდე ყოველთვის ამ პიროვნების "გაფუჭებით" მთავრდებოდა. რეალურად არსებობდა მხოლოდ ორი გზა: ან კორუფციაში ჩაბმა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა მაქინაციებზე თვალის დახუჭვა, ან სრული მარცხი და ხელმოცარულის იმიჯით თანამდებობის დატოვება. მანამდე არავის მოსვლია აზრად, რომ შეიძლება არსებობდეს მესამე გზაც...

მიხეილ სააკაშვილმა მესამე გზა აირჩია. შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, თუ რა გააკეთა სააკაშვილმა მინისტრობის პერიოდში და რა არ ან ვერ გააკეთა, აქ პლუსებსაც აღმოვაჩენთ და მინუსებსაც, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: მისი ხელმძღვანელობის დროს მოხდა სამინისტროს საქმიანობის არნახული აქტუალიზაცია. გარდა ამისა, სააკაშვილი იყო პირველი პოლიტიკური მინისტრი საქართველოს მთავრობაში და არა "ხელმძღვანელი მუშაკი." აღმოჩნდა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა, თან საკმაოდ ეფექტურად, არანომენკლატურული სტილითაც შესაძლებელი ყოფილა. მისი მონაწილეობით მთავრობის სხდომები, რომლებიც მანამდე პარტაქტივის კრების მსგავსი ძილისმომგვრელი შეკრებები იყო, პოლიტიკური პაექრობის ტრიბუნად იქცა.



იური ლობოდინის ფოტო

ეს ყოველივე ძალიან მოულოდნელი იყო, ისევე როგორც ახალგაზრდა მინისტრის საიმიჯო კამპანიაში ნაციონალისტური მოტივების მომძლავრება. მიხეილ სააკაშვილის ყოველი საჯარო გამოსვლა ხდებოდა ან ილია ჭავჭავაძის სურათის, ან ჯვრიანი დროშების ფონზე, იუსტიციის სამინისტროში მოწყობილ შეხვედრებზე რეგულარულად ჩნდებოდნენ სასულიერო პირები, მის რიტორიკაში გახშირდა კლასიკოსების ციტირება და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იუსტიციის მინისტრობის პერიოდში იწყება სააკაშვილის, როგორც დამოუკიდებელი ფიგურის ჩამოყალიბება. საბოლოოდ იკვეთება მისი პოლიტიკური აქტივობების მთავარი მიმართულება - ანტიკორუფციული პათოსი და ოლიგარქების წინააღმდეგ ბრძოლა. შედეგი: სააკაშვილის რეიტინგი, ყველა სხვა პოლიტიკოსის რეიტინგების ვარდნის ფონზე, არნახულად იზრდება. ოღონდ თუკი თავის კარიერის დასაწყისში ის უფრო ახალი თაობის ლიბერალ-ინტელექტუალებში და ჟურნალისტების წრეში იყო პოპულარული, ამჯერად მისი პოპულარობა საზოგადოების ფართო ფენებში ინაცვლებს. საბოლოოდ კი ყველაფერი მთავრდება იმით, რომ პოპულარობის მწვერვალზე მყოფი სააკაშვილი აკეთებს განცხადებას გადადგომის შესახებ და ღიად უპირისპირდება შევარდნაძეს.

შევარდნაძე და მისი გარემოცვა იმდენადაა მიჩვეული, რომ ქართველი პოლიტიკოსები მხოლოდ პრეზიდენტის მხარდაჭერის მიზნით მიმართავენ ძალის დემონსტრირებას, რომ სააკაშვილის ასეთ ქმედებას ჟვანიას ხრიკებით ხსნის და ძალიანაც ცდება. სააკაშვილი აყალიბებს ახალ პარტიას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება აქამდე არსებული ყველა პარტიისგან.

ეს განსხვავება მდგომარეობს არა პროგრამულ მიზნებში, არამედ სამოქმედო სტრატეგიაში. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ სააკაშვილის და მისი თანაგუნდელების ლიბერალური იდეები ნაციონალისტურ სამოსელშია გახვეული (ისე, ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრება მთელ მსოფლიოში სწორედ ნაციონალიზმის ნიშნით მიმდინარეობდა), არამედ ის, რომ სააკაშვილი პრაქტიკულად ერთადერთი პოლიტიკოსი აღმოჩნდა საქართველოში, რომელმაც პრინციპულად უარი თქვა კაბინეტურ თამაშებზე და მოახდინა აპელირება ხალხზე. ზვიად გამსახურდიას მომხრეების მნიშვნელოვანი ნაწილის სიმპატიები სააკაშვილის მიმართ არა მარტო და არა იმდენად მათი ძველი და ახალი კუმირის ტიპოლოგიური მსგავსებით ("ცეცხლოვანი" ქარიზმატიულობა, შეფასებათა სიმკვეთრე, ნაციონალისტური რიტორიკა და სხვა) აიხსნება. გამსახურდიას დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილედ გრძნობდა. რა ფორმებს ღებულობდა ამგვარი მონაწილეობა, ცალკე საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად ცდილობს საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დღევანდელი ხელისუფლება და პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა კი მხოლოდ ჯგუფური ინტერესებით ხელმძღვანელობს და პრინციპულად წინააღმდეგია მონაწილეობის გაფართოებისა. ხალხი მათთვის, უპირველეს ყოვლისა, "ბნელი მასაა," რომელსაც არაფერი ეკითხება, იმიტომ რომ არც უნდა ეკითხებოდეს.

სააკაშვილის გუნდის პოპულარობა სწორედ თანამონაწილეობის ფაქტორითაა გაპირობებული და კიდევ იმით, რომ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი" აშკარად დაფიქსირდა, როგორც შევარდნაძის ხელისუფლების მთავარი ოპონენტი. ამას თვითონ პრეზიდენტმაც მშვენივრად შეუწყო ხელი, როცა ყოველ თავის გამოსვლაში, ნაციონალური მოძრაობის მისამართით ისროდა კენჭებს, თუმცა, როგორც არჩევნების შედეგებმა ცხადყო, ეს უფრო იმას ჰგავდა, ტყემალზე მჯდომი რომ ბლის კურკებს ისვრის. შევარდნაძე დღეს იმდენად არაპოპულარულია მოსახლეობაში, რომ მისი პირიდან კრიტიკა ყველაზე დიდი რეკლამაა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ პრაქტიკულად სახელმწიფოს მთელი პროპაგანდისტული (და არა მარტო პროპაგანდისტული) არსენალი იყო მობილიზებული, თბილისის არჩევნებში პარტიამ მაინც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და დაამტკიცა, რომ იგი რეალური და პერსპექტიული ძალაა. სამომავლოდ კი სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლების წინაშე ორი მნიშვნელოვანი პრობლემა დგას:

პირველი, ესაა წმინდა ორგანიზაციული საკითხები - რეგიონებში აქტივისტების მოძიება, სტრუქტურების აწყობა და ა. შ., მეორე პრობლემა კი წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათისაა. სააკაშვილის ეშინია არა მარტო შევარდნაძის გარემოცვას, არამედ ბიზნესმენების, ინტელიგენციის და ქართული საზოგადოების მეტ-ნაკლებად წარმატებული წრეების მნიშვნელოვან ნაწილს. მისი ანტისახელისუფლებო რადიკალიზმი, ნაციონალისტური რიტორიკა, და სოციალური თემების წინ წამოწევა დესტაბილიზაციის საფრთხესთან ასოცირდება. რესპექტაბელური რესპუბლიკელებისა და რეზო შავიშვილის ყოფნა დემოკრატიული ფრონტის რიგებში ამ შიშებს ვერ ანეიტრალებს. ახალი თაობის ლიბერალ ინტელექტუალთა შორისაც ელიტარული ტიპაჟის ზურაბ ჟვანია გაცილებით უფრო მისაღები ფიგურაა, ვიდრე "ხალხის მეგობარი" სააკაშვილი.

ამ კონტექსტში საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება ნაციონალური მოძრაობისა და ჟვანიას გუნდის ალიანსი საპარლამენტო არჩევნების წინ. სადღეისოდ კი, ყბადაღებულ "ჟვანია-სააკაშვილის" გუნდზე მსჯელობა ისევე არასწორია, როგორც ორი-სამი წლის წინ. მაშინ იყო ჟვანიას გუნდი, დღეს არსებობენ ჟვანიას და სააკაშვილის გუნდები, როგორც დამოუკიდებელი და ერთმანეთისგან უფრო განსხვავებული, ვიდრე მსგავსი. თუმცა, ლეგენდა შეიძლება სინამდვილედაც იქცეს, თუკი სამომავლოდ ჩამოყალიბდება დიდი ოპოზიციური გაერთიანება, სადაც მათ გარდა სხვა პოლიტიკური ძალებიც შევლენ. საკითხავი (და მთავარი პრობლემა!) მხოლოდ ის არის, "ჟვანია-სააკაშვილის" გუნდი იქნება ეს, თუ "სააკაშვილი-ჟვანიას" გუნდი.

თვალსაზრისი

# ხალხი - ეს ჩვენც ვართ

სოფიო თოდუა
„მედიაცენტრი"

როდესაც 1978 წლის 14 აპრილს სტუდენტების ერთი ნაწილი ქართული ენის დასაცავად ქუჩაში გამოვიდა, ვერავინ იტყოდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა. იმავე საღამოს, როცა ნათელი გახდა, რომ კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული, იმჟამინდელ ცეკას პირველ მდივანს - ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს რადიკალურად განსხვავებული ეპითეტებით ამკობდნენ. ნაწილი მიიჩნევდა (და დღესაც ასე მიაჩნია), რომ ქართული ენის რუსულით ჩანაცვლების ინიციატორი თავად შევარდნაძე გახლდათ. მეორე ნაწილმა კი შევარდნაძე შერაცხა ეროვნულ გმირად, რომელმაც ილიასეული ტრიადიდან ერთი მაინც გადაგვირჩინა და, პარტიული ნომენკლატურის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ახალგაზრდები სიკვდილსაგან იხსნა.

ისტორია მართლაც ორჯერ მეორდება: ერთხელ, როგორც დრამა, მეორედ - როგორც ფარსი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დღევანდელი მოვლენები სახელმწიფო ენის ირგვლივ სიმძაფრეს კარგავს. უკლებლივ ყველა, ვინც ქართული ენის დასაცავად გულწრფელად (და არა პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად) ირჯება, პროვინციალად აღიქმება და როგორც ყველა პროვინციალი, ადრე თუ გვიან, საქილიკო ხდება, გინდაც ჭეშმარიტებას ღაღადებდეს. რატომ დაჰკრავს სიტყვა "ეროვნულს" პროვინციალიზმის ელფერი, ეს მეტნაკლებად გასაგებია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოში კრახი განიცადა, ხოლო რაც გადარჩა, ისიც, დღევანდელი ხელისუფლების დიდი ძალისხმევით, პროფანაციის მსხვერპლად იქცა. ამიტომ არ გვიკვირს, რომ ულტრარეფორმატორებიც კი, არჩევნების პერიოდში, თავიანთ თავს ევროპულ ყაიდაზე მომართულ “ნაციონალურ მოძრაობას” უწოდებენ, თუმცა, სინამდვილეში, ევროპულ ნაციონალურ მოძრაობებს ჩვენებურად სახალხო მოძრაობები უფრო მიესადაგება.

არადა, ეს პრობლემა იმიტომ კი არ არის სასწრაფოდ გადასაჭრელი, რომ ქართული ენა, თუ მას სახელმწიფო ენის სტატუსს არ მივანიჭებთ, დავიწყებას მიეცემა (ენა ასე ადვილად არ ავიწყდებათ, ამას მთელი ჩვენი ისტორია მოწმობს), უფრო იმიტომაც, რომ ისედაც არეულ ქვეყანაში ამ პრობლემას გარკვეული პოლიტიკური ძალები აუცილებლად სათავისოდ გამოიყენებენ. ვინც დღეს ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების შემთხვევაში იზოლაციონალიზმის საფრთხეზე მიგვითითებს და დასავლეთისაგან გარიყვით გვემუქრება, ხვალ აქეთ შემოგვედავება და იმ საზოგადოებად გვაღიარებს, რომელმაც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი - სახელმწიფო ენა მეორეხარისხოვან კატეგორიად მიიჩნია.

რადგან ქართული კულტურა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე იქმნებოდა, ბუნებრივია, სახელმწიფო ენის სტატუსის დადგენა ქართულ კულტურასაც ახალ კალაპოტში მოქცევით ემუქრება. ამდენად, ეს საკითხი გაცილებით სერიოზულ განსჯას მოითხოვს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ბოლო დროს ხშირად გაისმის ქართული კულტურის ევროპულთან ინტეგრაციის მოთხოვნა. ისეთი სურათი იხატება, თითქოს ჩვენ, ჩინეთის არ იყოს, თავის დროზე მთელი კავკასიონის გასწვრივ კედელი აგვეშენებინოს და დღეს დასავლეთისგან მის დასანგრევად ინვესტიციებს ვითხოვთ (მით უფრო, რომ კედლების მნგრეველი თუ ვინმეს ჰყავს, ერთი ჩვენც გვყავს. ეგაა, (აღ)მაშენებლები შემოგველია). მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ჩინეთი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო-ცივილიზაციაა, ვერც ჩინეთის დიდმა კედელმა და ვერც ჩინელმა ტირანებმა ვერ შეძლეს ჩინური კულტურის იზოლაცია. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, უხერხულია, როცა ქართული კულტურის ინტეგრაციისაკენ მოგვიწოდებენ. თუ არ ვცდები, არც ქართველ და არც უცხოელ კულტუროლოგებს, ჯერჯერობით, არ დაუმტკიცებიათ, რომ ოდესმე ქართული კულტურა "სტერილურად" ვითარდებოდა და არაფერს იღებდა დასავლური თუ აღმოსავლური სამყაროსაგან.

ერთი შეხედვით სახელმწიფო ენის სტატუსის საკითხი და ზოგადად ქართული კულტურა ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დავიწყოთ იმით, რომ ევროპის საზღვრები ბოლო დროს საგრძნობლად განივრცო, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი. მარტივად რომ ვთქვათ, ვისაც დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების სურვილი გაუჩნდა, ისინი მექანიკურად ევროპას მიათვალეს. ამ კონტინენტის ახალი გადანაწილება დასავლეთს საკმაოდ ძვირი დაუჯდა. ამიტომ იგი, მისთვის სასურველი გლობალური შედეგებიდან გამომდინარე, ბევრ რამეზე თვალს დახუჭავს და, თუნდაც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს შინაურ საქმეებში ნაკლებად ჩაერევა. ამ ლოგიკით, თუ ქართული კულტურა სომხურთან ან აზერბაიჯანულთან უფრო მეტად ინტეგრირებული იქნება (ბუნებრივად ეს ისედაც ასეა და ამაში საგანგაშო არაფერია), ის ისევე გახდება ევროპული კულტურის ნაწილი, როგორც მაშინ, თუ კულტურული ინტეგრაცია ევროპის რომელიმე ქვეყანასთან - მაგალითად, ირლანდიასთან ან ნორვეგიასთან მოხდება. აქედან გამომდინარე, სასურველია, იმ ენაზე შევქმნათ ეს ჩვენი ქართული, მაგრამ, სინამდვილეში, დასავლეთთან, უპირველესად კი, ჩვენს უახლოეს "ევროპელ" მეზობლებთან ინტეგრირებული კულტურა, რომ ამ უკანასკნელებმა ყოველივე უპრობლემოდ აღიქვან.

ამ კონტექსტში, რასაკვირველია, ნაკლებად სასურველია, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მივანიჭოთ (შესაბამისად, ქართულთან ერთად, აფხაზურს - აფხაზეთში) და ინტეგრაციის პროცესი შევაფერხოთ. პირიქით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ კულტურული ინტეგრაციის დასაჩქარებლად რომელიმე ისეთი ენა შევარჩიოთ, რომელსაც სწავლა არ დასჭირდება და ამ რეგიონში (კავკასიას ვგულისხმობ) ყველას ერთნაირად გამოადგება - თანაც ისე, რომ რომელიმე ერის წარმომადგენელს გული არ დაწყდეს, აქაოდა, ჩემი მშობლიური ენა დამიჩაგრეს და მეზობლისას თავს მახვევენო. ასეთ კარგად ნაცნობ და დასწავლილ ენად კავკასიაში რომ რუსული გადაიქცევა, ადვილი მისახვედრია. მოკლედ, დიდი დრო არ რჩება იმ მიზნის ხორცშესხმამდე, რისთვისაც ჩვენი დიდი მეზობელი დიდხანს და საგულდაგულოდ იბრძოდა. იქნებ ბევრმა არც კი იცის, რომ კავკასიიდან აბორიგენი მოსახლეობის აყრაში დეკაბრისტებიც კი ცუდს ვერაფერს ხედავდნენ. ბოლშევიკებისთვის იმთავითვე ყველაფერი ნათელი გახლდათ: ინტერნაციონალისტი ლენინის საყვარელი ლოზუნგი - ფორმით ეროვნული, შინარსით სოციალისტური – სინამდვილეში, რუსულენოვანი სივრცის გასაფართოებლად იყო გამიზნული. სწორედ ამიტომ ერთიორად საგანგაშოა საკრებულოებისთვის იმ პრივილეგიის მინიჭება, რომლის თანახმადაც მათ უფლება ეძლევათ, ქართულთან ერთად, სამუშაო ენა სურვილისამებრ ამოირჩიონ. რა ენაზე ამეტყველდებიან საკრებულოები ამა თუ იმ რეგიონში, გასაგებია, მაგრამ თბილისში რა ენაზე გამოგზავნიან დოკუმენტაციას - სომხურად, ოსურად, ბერძნულად, აზერბაიჯანულად თუ რუსულად? ქართულად რომ არა, ამას ამთავითვე უნდა შევეგუოთ, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს (ეროვნებისაგან განურჩევლად) სახელმწიფო ენის ცოდნას არ აიძულებს. იძულებას რაც შეეხება, თავს ნუ მოვიტყუებთ: ნებისმიერი სახელმწიფო, ყველაზე დემოკრატიულიც კი, ლეგიტიმური იძულების მექანიზმია და უწინარესად ამით განსხვავდება სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან. არაქართველ მოსახლეობას ქართულის ცოდნის აუცილებლობა სწორედ კანონმა უნდა აიძულოს და პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მათ კეთილ ნებას არ უნდა მივანდოთ, თორემ ენთუზიასტები ქართულს კი არა, პორტუგალიურსაც შეისწავლიან ბრაზილიური ტელესერიალების უკეთ "დასაგემოვნებლად". სხვათა შორის, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არავის ეთაკილება, სხვა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებს სახელმწიფო ენის ცოდნას რომ ავალდებულებენ. ჩვენ კი კვლავინდებურად ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულნი ვრჩებით - როცა საქართველოში ჟურნალ "ქართველი ქალის" ნაცვლად "საქართველოს ქალი" გამოიცემოდა, როცა ქვეყნის პირველ პირს "ქართველი ხალხის" მაგივრად "საქართველოს ხალხის" თქმა ერჩივნა, როცა მაინცა და მაინც თბილისი ცხადდებოდა ინტერნაციონალურ ქალაქად, თითქოს იმავე პერიოდში მოსკოვი მხოლოდ ეთნიკური რუსებით იყო დასახლებული...

ზემოთქმულის გარდა, კარგი იქნება, თუ ქართულ კულტურას და, შესაბამისად, ქართულ ენას, პრაგმატულადაც მივუდგებით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ, მოგვწონს თუ არა ეს, დღევანდელი დასავლეთი, როგორც უწინ, ახლაც ქართული ღირებულებებით უნდა მოვხიბლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცივილიზებულ სამყაროში ჩვენი ადგილი არ გამოინახება. წელებზე ფეხიც რომ დავიდგათ, ვერც რომანული, ვერც ანგლო-საქსური, ვერც გერმანული თუ სლავური კულტურის ნაწილი ვერ გავხდებით. ბევრად უფრო აჯობებს, ქართული "პროდუქტი" ყველასათვის მიმზიდველი გავხადოთ და მოგებული თანხა ისევ ქართული პროდუქციის გაუმჯობესებას მოვახმაროთ. ჭკვიან ქართველებს ეს კარგად ესმოდათ და საბედნიეროდ, დღესაც ესმით. მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანს. მხოლოდ შეგახსენებთ: რობერტ სტურუაც, გია ყანჩელიც, ელდარ შენგელაიაც მარტო იმიტომ კი არ გახდნენ პოპულარულები დასავლეთში, რომ თავისი საქმე ყველამ ზედმიწევნით კარგად აკეთა, არამედ იმიტომ, რომ მათი შემოქმედება, პირველ რიგში, ქართული თვითმყოფადობით არის აღბეჭდილი. ნიშანდობლივია, რომ შოუბიზნესის დონეზეც ევროპელისთვის "შატილის ასული" უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი ესტრადის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების ჰიტები. ამიტომ სანამ ქვეყნის პირველი პირები, ვითომდა, ხალხის საკეთილდღეოდ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებენ, კარგი იქნება, თუ მოსახლეობის აზრსაც გაითვალისწინებენ, რომლის უმეტესი ნაწილი, ჯერჯერობით, ჩვენ ვართ - ჩვენ, ვისაც ქართულად ლაპარაკი შეგვიძლია.

www.24hours.ge 24 B

## კამერუნელთა იმედი არ გამართლდა

დიმიტრი ობოლაძე

დღეს მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართება. დაძაბულია სიტუაცია E ჯგუფში, სადაც უდავო ფავორიტად გერმანიის ნაკრები ითვლებოდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ-შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 9-1 | 4 |
| კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ირლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ს. არაბეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

არ გამართლდა კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის უინფრიდ შეფერის იმედი. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე აფრიკელთა მწვრთნელმა ასეთი განცხადება გააკეთა: "იმედი მაქვს, რომ 11 ივნისს, როდესაც ჩვენ და გერმანია ერთმანეთს შევხვდებით, მერვედფინალის საგზური უკვე ორივეს განაღდებული გვექნება." ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი მერვედფინალისტის ვინაობა სწორედ დღეს, გერმანიისა და კამერუნის მატჩის შედეგად გაირკვევა. ირლანდიელები საუდის არაბეთს ხვდებიან და ფავორიტადაც ითვლებიან. აფრიკელთა და გერმანელთა შეხვედრის ფრედ დასრულებისა და ირლანდიელთა გამარჯვების შემთხვევაში სამივე ნაკრები 5-5 ქულას დააგროვებს. გერმანია, რომელმაც ანგარიშით 8:0 გაანადგურა არაბები, მერვედფინალში გავა. თუ ირლანდია ორი ბურთის სხვაობით მოიგებს, მომდევნო ეტაპზე გადის. ვარიანტები არსებობს. კამერუნელები აცხადებენ, რომ მათ არა მარტო მერვედფინალში გასვლა, არამედ სენსაციის მოხდენა სურთ. "თუ გერმანია ჩემპიონატს ჩვენს გამო დაემშვიდობება, კამერუნის ნაკრები ისტორიაში შევა. ეს კი აფრიკული ფეხბურთის პრესტიჟს აამაღლებს." მაკარტის გუნდის ამოცანა კი ნათელია - საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ, ირლანდიამ, რაც შეიძლება, დიდი სხვაობით უნდა მოიგოს.

## ფრანგების ბედი დღეს წყდება

დღეს საფრანგეთის ნაკრების ბედი გადაწყდება. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს დანიის ძლიერი ნაკრების კარში, სულ ცოტა, ორი გოლის გატანა სჭირდებათ. მათი ბედი, ამ შემთხვევაშიც, მეორე მატჩის ანგარიშზე იქნება დამოკიდებული.

| | თ | მ | ფ | წ | ბ-შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| სენეგალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

სენეგალისთვის ყველაფერი ნათელია. აფრიკელები, მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაშიც, გადიან მერვედფინალში. ურუგვაელებს მოგება ჰაერივით სჭირდებათ. ასე რომ, ორივე მატჩი, თავისი დაძაბულობით და მნიშვნელობით, ფინალის ტოლფასი იქნება. დღეს შედგება მსოფლიო ჩემპიონატზე ზინედინ ზიდანის დებიუტი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ელექტრონული ფოსტით ასეთი წერილი მიიღო: "ჩვენ ფრანგები ვართ და ერთი რამ უნდა გირჩიოთ: მოედანზე ყველა თავდამსხმელი გაიყვანეთ და ხუთი გოლი გაიტანეთ."




გოლების წვიმაში

REUTERS

# D ჯგუფის აუტსაიდერები პირველ და მეორე ადგილს ინაწილებენ




ჯგუფი D **სამხრეთ კორეა 1:1 აშშ**




**მსაჯი:** *ურს მეიერი (შვეიცარია)*
**სტადიონი:** *დეგუ*
*60778 მაყურებელი*

ჯგუფი D, ისევე როგორც მთელი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი, პარადოქსებითაა აღსავსე. ამ ქვეჯგუფის ცხრილის სათავეში ორი, ვითომდა, აუტსაიდერი - სამხრეთ კორეისა და აშშ-ს ნაკრები გუნდები მოექცნენ. ბოლო სავარაუდო ფავორიტები - პორტუგალია და პოლონეთი მე-3 და მე-4 ადგილებს ინაწილებენ. გუშინდელი შეხვედრის ანგარიში, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ლოგიკურია. ალბათ, ისიც ლოგიკურია, რომ კორეელებმა თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანეს, რადგან მსაჯმა ის უსამართლოდ დანიშნა.

***გუს ჰიდინკი*** *(სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი): "დღევანდელი ფრე ცოტათი დასანანია. ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მიუხედავად ყველაფრისა, ბედნიერი ვარ იმით, თუ რა შემართებით ითამაშეს ჩემმა ბიჭებმა. უკანასკნელი თვეების მანძილზე გუნდმა არნახული პროგრესი განიცადა."*

***ბრიუს არენა*** *(აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი): "კორეელები ფიზიკურად ძალიან ძლიერად გამოიყურებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ გვაჯობეს კიდეც. ასეთ პირობებში ფრე ჩვენთვის კარგ ანგარიშად უნდა ჩაითვალოს. კმაყოფილი ვარ, რომ მეორე ტაიმში ჩვენი დაცვა უფრო საიმედოდ გამოიყურებოდა. მატჩის საუკეთესო მოთამაშე, ცხადია, ჩვენი მეკარე ბრედ ფრიდელია. მეორე ეტაპზე გასვლა ახლა ნამდვილად რეალურად მეჩვენება."*



REUTERS

# უფერული ბელგია ტუნისს გადაურჩა




ჯგუფი H **ტუნისი 1:1 ბელგია**




**მსაჯი:** *მარკ შილდი (ავსტრალია)*
**სტადიონი:** *ოიტა*
*39700 მაყურებელი*

კიდევ ერთი უინტერესო მატჩი, თუმცა, გარკვეული მოულოდნელობს შემცველი: ალბათ, არავინ ელოდა, რომ ბელგიის ნაკრები ასე უსუსურად ითამაშებდა ჯგუფის აშკარა აუტსაიდერის წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ტუნისის ნაკრებმა ბელგიელებს აჯობა კიდეც და ამ უკანასკნელისთვის ფრე მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ასეთი თამაშით "წითელ ეშმაკუნებს" არაფერი ესაქმებათ მერვედფინალში.

***ამარ სოუია*** *(ტუნისის ნაკრების მწვრთნელი): "მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება გვიან დავიწყეთ. სწორედ ამიტომ პირველ მატჩში ბევრი ნაკლი გვქონდა. მაგრამ ჩვენ მოვუმატეთ და ეს პროგრესი გაგრძელდება. იაპონიასთან მატჩს იმედით ვუყურებ, თუმცა, ვიცი, რომ ძალიან გაგვიჭირდება. იაპონია შინ თამაშობს და, თანაც, ძლიერი გუნდია."*

***რობერტ ვასეჟი*** *(ბელგიის ნაკრების მწვრთნელი): "მე ცუდ გუნებაზე ვარ. ყველა ფიქრობდა, რომ ეს იოლი გასეირნება იქნებოდა, მაგრამ ახლა გამოჩნდა, თუ რაოდენ ძლიერი გუნდია ტუნისი. ცნობილია, რომ ჩვენ უკეთესად ვთამაშობთ, როდესაც ფავორიტად არ მიგვიჩნევენ. რუსეთთან მატჩში სწორედ ამის იმედი მაქვს."*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იაპონია | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 4 |
| 2 | რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 3 |
| 3 | ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| 4 | ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | -2 | 1 |

© GN

REUTERS

# პორტუგალიამ გამოიღვიძა და პოლონეთი გაანადგურა




ჯგუფი D **პორტუგალია 4:0 პოლონეთი**




**მსაჯი:** *ჰიუ დალასი (შოტლანდია)*
**სტადიონი:** *ჩონჯუ*
*31000 მაყურებელი*

პოლონელები გუშინ სულ სხვა პორტუგალიას გადაეყარნენ. ტურნირის ერთ-ერთი თანაფავორიტი აშკარად გამოფხიზლდა. შეიმჩნეოდა ტაქტიკური ცვლილებებიც - პორტუგალიელები გაცილებით ფრთხილად თამაშობდნენ საკუთარი კარის სიახლოვეს და შეტევისას უფრო მეტ თავშეკავებას იჩენდნენ, ვიდრე ეს ამერიკელებთან მატჩში შეიმჩნეოდა. აღსანიშნავია პაულეტას ჰეთ-თრიქიც. მან წინა შეხვედრაში უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, გუშინ კი პორტუგალიელთა გამარჯვების უპირველეს ავტორად მოგვევლინა.

***ანტონიო ოლივეირა*** *(პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი): "ამ მატჩში ჩვენ სულ სხვა სახე ვაჩვენეთ, ვიდრე პირველ შეხვედრაში. გუნდის ერთსულოვნება შესამჩნევი იყო. როდესაც ამ კომპონენტში საქმე რიგზე გაქვს, მაშინ გამარჯვების მიღწევაც გიადვილდება. ფეხბურთელებმა ზუსტად შეასრულეს ჩემი დავალებები. ახლა იმედიანად ვუყურებ უკანასკნელ ჯგუფურ შეხვედრას კორეის წინააღმდეგ. კორეელებს შესანიშნავი, სწრაფი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ, ჩვენი დღევანდელი მატჩის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, მათაც მოვუგებთ."*

***ჯერზი ენგელი*** *(პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი): "თამაში დიდხანს თანაბარი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩვენ ხელიდან გავუშვით გოლის გატანის შანსი. 0:2 ანგარიშის შემდეგ კი მორალურად დავეცით. ჩვენ 16 წელიწადს ვიბრძოდით, რათა კვლავ მოვხვედრილიყავით მუნდიალზე. ბიჭებმა ეს მოახერხეს და ბედნიერები იყვნენ, თუმცა, არც ისე ძლიერები ვყოფილვართ, როგორც გვეგონა. ჩვენ, მწვრთნელები, ყოველთვის გაღვივებულ ვულკანზე ვსხედვართ, მაგრამ, მგონია, რომ პოსტზე დარჩენა დავიმსახურე."*



| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 4 |
| 2 | აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 4 |
| 3 | პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3 | 3 |
| 4 | პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -6 | 0 |

© GN

REUTERS

## ექსპერტები

# შოთა არველაძე: ყველაზე სოლიდურად ბრაზილია გამოიყურება

პორტუგალიისა და პოლონეთის მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ტურის, მართლაც, დამაგვირგვინებელი აკორდი იყო. პოლონელებთან შეხვედრაში ფიგუმ და კომპანიამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. ეს ანგარიშიც - 4:0 - სრულიად არ არის მოულოდნელი. პორტუგალიის ნაკრები ოსტატობით და კლასით პოლონეთის გუნდზე გაცილებით მაღლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელებს მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები აქვთ, დღეს მათი ნაკრები ერთ საშუალო, მხოლოდ ლოკალური ამოცანების გადაწყვეტის შემძლე გუნდად უნდა ჩაითვალოს. ის ფაქტიც, რომ პოლონეთის ეროვნულმა გუნდმა, ევროპელთაგან პირველმა, მოიპოვა მუნდიალის ფინალური ეტაპის საგზური, უფრო შემთხვევითობაა, ვიდრე კანონზომიერება.

ჩემპიონატზე მთავარი მოვლენები ხვალიდან განვითარდება. პირველი ორი თამაშის შემდეგ რამდენიმე გუნდის გამორჩევა შეიძლება. ყველაზე სოლიდურად ჯერჯერობით ბრაზილიის ნაკრები გამოიყურება. მიუხედავად იმისა, რომ იტალიამ ბოლო შეხვედრა წააგო, დარწმუნებული ვარ: ეს გუნდი არათუ პლეიოფში გააღწევს, საკმაოდ შორსაც წავა. იგივე შეიძლება ითქვას გერმანიის ნაკრებზეც. გამოვყოფდი ჩვენს მომავალ მეტოქეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში - ირლანდიის ნაკრებს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან როი კინი გაუშვეს, ხოლო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებულია, ირლანდიის ნაკრები მაინც შინაარსიან ფეხბურთს თამაშობს და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს. თამაშის კარგი ორგანიზაციისა და დიდი ბრძოლისუნარიანობის მიუხედავად, სავარაუდოა, რომ ირლანდიის ნაკრები, დიდი-დიდი, მერვედფინალში გასვლას თუ მოახერხებს. ასეთი დონის გუნდები, როგორც წესი, შესარჩევ ტურნირში ამოწურავენ ხოლმე თავის შესაძლებლობებს. თუმცა, ეს საქართველოს ნაკრებს სულაც არ უადვილებს საქმეს.

მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ნეგატიური მაინც მსაჯობაა. ვერ ვიხსენებ ვერც ერთ მსოფლიო ჩემპიონატს, სადაც ერთბაშად ამდენი "კანონიერი" და ჩაუთვლელი გოლი, ამდენი დაუმსახურებლად ნაჩვენები წითელი და ყვითელი ბარათი ყოფილიყოს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთი ისეთი სწრაფი გახდა, მსაჯები ველარ ახერხებენ მოვლენების კონტროლს. ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ თამაშს სამი არბიტრი ველარ აუდის და აქტუალური ხდება მსაჯთა კორპუსის გაზრდის საკითხი.

# გოჩა ჭამარაული: მსაჯები ბევრს სცოდავენ

მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ორი წრე მიილია და პირველი, რაც ყველაზე მეტად თვალში გეცემა, სუსტი მსაჯობაა. საფეხბურთო თემიდას უხეში შეცდომები მოუვიდა, რამაც რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩის ბედი გადაწყვიტა. ვერ ვიტყვი, რომ ეს შეცდომები არაობიექტურობით ან მიკერძოებით არის გამოწვეული. უფრო მგონია, რომ არბიტრებს ზედმეტად სურთ, მოედანზე საკუთარი გარჯის მნიშვნელობა დააფიქსირონ. თუმცა, ეს ვერაფერი შეღავათია იტალიის ნაკრებისთვის, რომელსაც ხორვატიასთან შეხვედრაში თამაშის წესების სრული დაცვით გატანილი ორი გოლი არ ჩაუთვალეს და, სულ ცოტა, ქულა დააკარგვინეს. სხვა შეცდომებიც შეიძლება გავიხსენო, მაგრამ იტალია-ხორვატიის მატჩში მომხდარი, ალბათ, მაინც გამორჩეულია.

პირველი ორი ტური იმითაც არის საინტერესო, რომ ძნელია, გაიხსენო ისეთი მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც აღიარებული ფავორიტები, მასობრივად, ისეთ წარუმატებელ სტარტს იღებდნენ, როგორც ეს კორეა-იაპონიაში მოხდა. თუმცა, ალბათ, ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება. იმავე იტალიის ნაკრებს, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს ჩემპიონატზე. ამის მიუხედავად, ეს გუნდი უკვე დამარცხდა. ასეთი შედეგის გამომწვევ მთავარ ფაქტორად ხორვატების ვაჟკაცურ თამაშს დავასახელებდი. ხორვატებმა უფრო მეტი მონდომება, გამარჯვებისკენ სწრაფვა ჩააქსოვეს თამაშში და შედეგად, გამარჯვებასაც მიაღწიეს. სხვა ფავორიტებს - ფრანგებს -"უზიდანობა" სჭირთ, არგენტინელებმა მეორე შეხვედრაში მარცხი მწვრთნელის გამოუცდელობას და დაბალ კვალიფიკაციას უნდა დააბრალონ, გერმანია კი მეტისმეტი თავდაჯერებულობისთვის დაისაჯა.

ცალკე საუბრის თემაა მასპინძელი გუნდები. სამხრეთ კორეას ბრწყინვალე ნაკრები ჰყავს. პირველი ორი მატჩის მიხედვით ის ძალზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. არც იაპონიის ნაკრებია ხელწამოსაკრავი. დიდია ალბათობა, რომ ბრაზილიის ნაკრები მერვედფინალში იაპონიას დაუპირისპირდეს. და თუ ასე მოხდა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ამ შეხვედრაში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელით.

ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს რუსეთის ნაკრების გამოსვლა იწვევს, რადგან შემოდგომაზე მის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში. ჩვენი მეზობლების გუნდი მაღალტექნიკური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, შეცდომებისგან სულაც არ არის დაზღვეული. მათი მთავარი მწვრთნელის - რომანცევის შეცდომად მიმაჩნია იაპონიასთან დამარცხება. რომანცევი თავის გამოჩენის საშუალებას ჯერჯერობით არ აძლევს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელს, მაგალითად, დმიტრი ხოხლოვს. ტუნისის ნაკრებთან რუსების მიერ მოპოვებული გამარჯვებაც უფრო აფრიკელთა მიერ დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომების შედეგია, ვიდრე მათი მეტოქის კარგი თამაშისა.

## NBA

# „ლეიკერსი" დასეირნობს

**"ნიუ-ჯერსი"-"ლეიკერსი" 103:106 (23:31, 23:21, 32:26, 25:28). სერიაში: 0:3**

ეროვნული სკალათბურთო ასოციაციის ფინალურ სერიაში "ლოს-ანჟელეს ლეიკერსისა" და "ნიუ-ჯერსი ნეტსის" დაპირისპირება შაკილ ონილისა და მისივე თანაგუნდელის, კობი ბრაიანტის დუელად იქცა. სერიის მესამე შეხვედრა კალიფორნიელებმა, თუ ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, გაჭირვებით, მხოლოდ სამი ქულის სხვაობით მოიგეს. სინამდვილეში ყველაფერი, ისევე როგორც წინა ორ შეხვედრაში, პირველ მეოთხედში გადაწყდა. "ნიუ-ჯერსიმ" კვლავ ვერ შეძლო ონილ-ბრაიანტის დუეტის შეჩერება. ამ ორის დუელი კი ამჯერად ბრაიანტის გამარჯვებით დასრულდა. მან ონილზე ერთით მეტი, 36 ქულა დააგროვა. სამაგიეროდ შაკმა 11 მოხსნა და 4 დაფარება შეასრულა. დამარცხებულთა შორის კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი პირველ შეხვედრაში "ტრიპლ-დაბლის" ავტორმა, ჯეისონ კიდმა - 30 ქულა და 10 მოხსნა. შეიძლება მარტინის თამაშის აღნიშვნაც. მის ანგარიშზე 26 ქულაა. "ლეიკერსი" სერიაში 3:0-ს იგებს. ჯექსონის გუნდს, არსებობის მანძილზე, რიგით მეთხუთმეტე ჩემპიონის ტიტულისგან ერთი ნაბიჯიღა აშორებს.



ო'ნილმა ბრაიანტთან „წააგო" REUTERS

## საფრანგეთის ღია პირველობა

# ესპანური და ამერიკული ფინალი

ჩოგბურთში საფრანგეთის ღია პირველობის ქალთა და კაცთა ტურნირის ფინალები საინტერესო გამოდგა. ქალთა - პირველ რიგში იმის გამო, რომ ურთიერთობას უილიამსების ოჯახის წევრები არკვევდნენ. სერენამ უკეთ ითამაშა და ორ სეტში, 7:5 და 6:3, დაამარცხა მეტოქე. გაცილებით საინტერესო გამოდგა ორი ესპანელი ჩოგბურთელის - ალბერტო კოსტასა და ხუან კარლოს ფერეროს დაპირისპირება. კოსტამ პირველი ორი სეტი ფინალისთვის შეუფერებელი ანაგარიშით – 6:1 და 6:0 მოიგო. ფერერო მესამე სეტში გონს მოეგო, მეტოქის მოწოდებაც მოიგო და 6:4 გაიმარჯვა. გადამწყვეტი გამოდგა მეოთხე სეტი, რომლის განმავლობაშიც ფერერომ ელემენტარული შეცდომები დაუშვა. კოსტამ 6:3 დაამარცხა მეტოქე და ტურნირის ჩემპიონი გახდა.



ფერერო გაოგნებულია REUTERS

## დღის დაიჯესტი

### ტაიფუნი მუნდიალის წინააღმდეგ

მსოფლიო ჩემპიონატი ტემპს იკრებს, მაგრამ მას, შესაძლოა, სტიქია აღუდგეს წინ. წყნარი ოკეანის ჩრდილოეთით ტაიფუნი "ნოგარი" ჩაისახა და, გამძვინვარებული, გუშინვე აპირებდა იაპონიის არქიპელაგისკენ შეტევას. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები შიშობენ, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ "ნოგარი" იაპონიის ძირითად ნაწილზე არ გავრცელდება, წვიმა და დიდი ქარი, რომელიც, როგორც წესი, ტაიფუნს თან ახლავს, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას მაინც ხელს შეუშლის.

წელიწადის ამ დროს იაპონიაზე ტაიფუნის შეტევა დამახასიათებელი ყოფილა. ამიტომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა თხოვნით მიმართეს "ფეხბურთის მამებს", ტურნირის ჩატარების დრო აგვისტოსთვის გადაეწიათ. ფიფაში ეს თხოვნა არ გაითვალისწინეს და ფაქტის წინაშეც აღმოჩნდნენ. ამასთან, "ნოგარის" შანსი, სამხრეთ კორეაშიც შეაფერხოს მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობა, მინიმალურია.

### რობერტო კარლოსი: „ბექჰემი უკეთესია"

რობერტო კარლოსი თავმდაბალი კაცია. მას უყვარს კორექტული განცხადებების გაკეთება. ამჯერად განცხადება დევიდ ბექჰემს ეხება. ბრაზილიის ნაკრების მცველს მიაჩნია, რომ ინგლისელი საჯარიმო დარტყმებს მასზე უკეთესად ასრულებს.

"ვფიქრობ, ბექჰემს უფრო შეუძლია მატჩის მსვლელობაზე მოახდინოს გავლენა, ვიდრე მე. ძნელი სათქმელია, რომელს უფრო ძლიერი დარტყმა აქვს, მაგრამ ბექჰემი ჰაერში ბურთის ტრაექტორიას ნამდვილად უკეთ აკონტროლებს. მე კი, უბრალოდ, თვალებს ვხუჭავ და მთელი ძალით ვურტყამ", – ამბობს რობერტო კარლოსი.

### ვენაცვალე იაპონელებს! - ამაყობს ტრუსიე

რუსეთთან გამარჯვების შემდეგ იაპონიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ფილიპ ტრუსიემ, ორი ტურის შედეგების მიხედვით, თავისი გუნდის გამოსვლას მცირე რეზიუმე გაუკეთა. ტრუსიეს თქმით, ნაკრებს უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა. ჩემპიონატის მასპინძლებმა განსაკუთრებით შთამბეჭდავად მეორე, გადამწყვეტი მატჩი ჩაატარეს.

ფრანგმა არ გამოარჩია გუნდის რომელიმე ფეხბურთელი. მისი აზრით, იაპონიის ნაკრების ძალა სწორედ ერთობაშია და ყველა ფეხბურთელმა უდიდესი სამუშაო შეასრულა. ტრუსიეს თქმით, გამარჯვება არა მარტო გუნდს, არამედ მთლიანად ქვეყანას შემატებს რწმენას.

"ჩვენი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა. კარგად გვესმის, რომ ფეხბურთში ხშირად მოვლენები არალოგიკურად ვითარდება, ამიტომ კონცენტრირებას მთლიანად ტუნისთან თამაშზე მოვახდენთ", – ამბობს ფილიპ ტრუსიე. ფრანგმა აღნიშნა, რომ ამაყობს იმ გუნდის მწვრთნელობით, რომელიც ერის სიამაყეა.

მიუხედავად საყოველთაო ეროვნული დღესასწაულისა, იაპონიის ნაკრები უკვე დაბრუნდა საწვრთნელ ბაზაზე და ტუნისის ნაკრებთან შეხვედრისთვის ემზადება.

### ანდრეა ფერეტი არაფერს ამბობს

კვირას იტალიის ნაკრების ექიმმა, ანდრეა ფერეტიმ უკომენტაროდ დატოვა შეკითხვა – ითამაშებენ თუ არა მექსიკის ნაკრებთან გადამწყვეტ შეხვედრაში "სკუადრა აძურას" ფეხბურთელები, ალესანდრო ნესტა და კრისტიანო ძანეტი. ხორვატებთან მატჩში ორივემ ტრავმა მიიღო. ძანეტიმ, რომელმაც მილანის "ინტერში" თავისი პარტნიორი ლუიჯი დი ბიაჯო შეცვალა, მარჯვენა ფეხი დაიზიანა, ხოლო რომის "ლაციოს" მცველმა, ალესანდრო ნესტამ მინდორი პირველი ტაიმის შუაგულში დატოვა. მას ფეხის ტერფის ტრავმა დაუდგინეს.

"ჯერ ადრეა რაიმეს თქმა, – ამბობს ფერეტი, - პროგნოზების გაკეთება მხოლოდ 24 საათში იქნება შესაძლებელი". შეგახსენებთ, რომ იტალიელები მერვედფინალში გასვლას მხოლოდ მექსიკელთა დამარცხებით შეძლებენ.

### ივიცა ოლიჩმა ოცნება აისრულა

ხორვატიის ნაკრებისა და "ზაგრების" ფორვარდი ივიცა ოლიჩი მუნდიალზე გამგზავრების წინ გოლის გატანაზე ოცნებობდა. ოლიჩმა ოცნება აიხდინა. მან თავისი პირველი და ხორვატიის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი გოლი იტალიის ნაკრებს გაუტანა. ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა, იოზიჩმა ოლიჩის თამაშს ასეთი კომენტარი გაუკეთა: "ადრე ეჭვი მღრღნიდა, თუ ვინ ითამაშებდა ამ პოზიციაზე. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ივიცა ითამაშებს".

### ირლანდიაში გამოძიება იწყება

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს გამოძიების დაწყებას. საქმე ეხება ნაკრების მწვრთნელისა და გუნდის ლიდერის, როი კინის უთანხმოებას. ირლანდიის ნაკრების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე მოსმენა გაიმართება. ფედერაციაში აცხადებენ, რომ გამოძიების შედეგები გახმაურდება.

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ისიც დაადასტურა, რომ აპირებს კონტრაქტი 2006 წლამდე გაუხანგრძლივოს ნაკრების ამჟამინდელ თავკაცს მიკ მაკარტის. "მიკ მაკარტის დონის მწვრთნელის დაკარგვა უჭკუობა იქნებოდა, – ამბობს ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მილო კორკორანი, – მსურს მაკარტი მომავალ მუნდიალზეც ვიხილო და დარწმუნებული ვარ, ფედერაციასაც იგივე სურვილი ექნება. მაკარტიმ ბევრი სამუშაო ჩაატარა. ამის ნათელი დადასტურებაა გერმანიის ნაკრებთან მიღწეული შედეგი. მჯერა, რომ მიკი გუნდს მეორე რაუნდში გაიყვანს, დაამარცხებს რა საუდის არაბეთის ნაკრებს".

## ჩემპიონატების ისტორიიდან

...

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ყვითელი ბარათი მხოლოდ 1970 წელს გამოჩნდა. საბჭოთა კავშირისა და მექსიკის გუნდებს შორის პირველივე შეხვედრაში გაფრთხილება რუსმა ფეხბურთელმა, ლოვჩევმა მიიღო.

...

პირველი ფეხბურთელი, რომელიც მსაჯმა გააძევა, პერუელი პლასიდო გალინდო იყო. 1930 წელს პერუსა და რუმინეთის მატჩის არბიტრმა, ჩილელმა ვარნკენმა, წითელი ბარათი უჩვენა პერუელს. ეს გაძევება პირველი და უკანასკნელი გამოდგა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე.

...

ყველაზე უხეში გამოდგა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. 64 შეხვედრაში მსაჯებმა 22 ფეხბურთელი გააძევეს. 1990 წელს მათი ბედი 52 შეხვედრის მონაწილე 16-მა ფეხბურთელმა გაიზიარა. 1994 წლის პირველობაზე 52 შეხვედრაში მხოლოდ 15 ფეხბურთელი გააძევეს.

...

ფეხბურთის ისტორიაში შევიდა ორი ჩემპიონატი - 1950 და 1970 წლის ტურნირებზე მსაჯებს არც ერთი ფეხბურთელი არ გაუძევებიათ.

...

კამერუნელი რიგობერ სონგი დღემდე რჩება ერთადერთ ფეხბურთელად, რომელიც მსოფლიო ჩემპონატზე ორჯერ გააძევეს მოედნიდან. პირველად - 1994 წელს, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრის დროს. მეორედ კი - 4 წლის შემდეგ, 1998 წელს, ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ მატჩში. ამავე დროს სონგი გახლავთ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი ყველა დროის გაძევებულთა შორის. 1994 წელს იგი მხოლოდ 17 წლისა იყო.

...

პირველი თერთმეტმეტრიანი დარტყმა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე 1930 წელს დაინიშნა. ფრანგების მეკარემ ალექსის ტეპომ ჩილელი კარლოს ვიდალის დარტყმა მოიგერია.

# საქართველომ და ირლანდიამ რუსეთის თამაშს კმაყოფილებით უყურეს

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან სპეციალურად "24 საათისათვის"

არ მჯერა, რომ ერთადერთი ვარ, ვინც ფიქრობს, თითქოს საქართველომ და ირლანდიამ რუსეთის თამაშს კმაყოფილებით უყურეს. რუსეთი ხომ ევროპის ჩემპიონატზე ორივე ქვეყნის საკვალიფიკაციო ჯგუფში შედის.

რუსეთმა მსოფლიო ჩემპიონატზე გამხსნელ თამაშში ტუნისელები ანგარიშით 2:0 დაამარცხა. მოკლედ, ყველაფერი კანონზომიერად, მაგრამ მაინც საინტერესოდ დაიწყო. იაპონელებთან თამაშის წინ რუსები აღელვებულნი ჩანდნენ, მაგრამ მაინც იმ შემართებით გავიდნენ მოედანზე, რომ პირიქით, იაპონელები გაენერვიულებინათ, თანაც, რაც შეიძლება, ხშირად.

თუმცა, იაპონელებმა რუსებს ამის საშუალება არ მისცეს.

რა თქმა უნდა, ბევრი კომენტატორი ფიქრობს, რომ წარმატებულ საფეხბურთო ცხოვრებამდე იაპონიას ჯერ კიდევ შორი გზა აქვს გასავლელი. ცხადია, ეს ასეც არის. მაგრამ ისიც უდავოა, რომ დღესდღეობით იაპონელები ყველაზე საინტერესო სტილის ფეხბურთს თამაშობენ. ფილიპ ტრუსიემ ნაკრებს ენერგიული, გამბედავი, "ყველა ერთისთვის" სტილის სათამაშო ტაქტიკა ჩამოუყალიბა.

როცა იაპონელები უტევენ, ისე ჩანს, თითქოს, ბურთის გარშემო, 30-მეტრიან რადიუსზე, შვიდი ფეხბურთელი "იღვწის". ხოლო როცა თავს იცავენ, დაცვაში რვა-ცხრა კაცი დგას. თუმცა, მათ ერთი საერთო მინუსი აქვთ – იაპონელები ძალზე დაბლები არიან.

მიუხედავად ამისა, რუსეთთან თამაშში, იაპონელთა ნაცვლად, სწორედ რუსები ცდილობდნენ მოედანზე თავის დამკვიდრებას. ვლადიმერ ბესჩასტნიხი მოედანზე ანგარიშის გახსნამდე არ გამოიყვანეს. შემდეგ კი მან საპასუხო გოლის გატანის საუკეთესო შანსი გაუშვა ხელიდან.

ბუნებრივია, რუსები ჯერ ჩემოდნების ჩალაგებას არ აპირებენ. მათ კიდევ აქვთ შანსი.

საინტერესოა, რომ ამ ჯგუფს – რუსეთის, იაპონიის, ბელგიის და ტუნისის შემადგენლობით – თავიდან "სიკვდილის ჯგუფს" უწოდებდნენ, თუმცა, შემდეგ სახელი "სიცოცხლის ჯგუფად" გადაუკეთეს. სინამდვილეში ეს "გაბანკროტებული ფეხბურთის" ჯგუფი უფროა. იქ ხომ, ადრენალინმოძალებული იაპონელების გარდა, გრაციოზულ და ლამაზ თამაშს არავინ აჩვენებს.

რუსეთი კი, ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ბრაზილიის პირისპირ აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფორმაში არც სამხრეთამერიკელები არიან, მაინც მეტი შანსი არსებობს იმისა, რომ რუსეთს ბრაზილია გაანადგურებს.

ამასობაში, ირლანდია უფრო შორს იყურება და ევროპის ჩემპიონატზე თავის შანსებს აფასებს. საქართველოს კი უნდა უხაროდეს, რომ თავის ძველ მეგობრებს კიდევ ერთხელ შეხვდება.

ახლა კი ისევ მსოფლიო ასპარეზს დავუბრუნდეთ. უკვე გამოიკვეთა პირველი შედეგები და, საოცარია, რომ ბრაზილია და ესპანეთი ორად ორი გუნდია, რომლებმაც ორი თამაშიდან ორივე მოიგეს. ბრაზილია აშკარა ფავორიტია. თუმცა, უკეთესად თამაშიც შეეძლო. თუნდაც, ჩინეთთან მატჩი გავიხსენოთ. გაშვებული გოლების მიუხედავად, ჩინელებმა მაინც იმარჯვეს - მათ შეძლეს, ბრაზილიელთათვის პრობლემები შეექმნათ.

ბრაზილიელების ნაკრები შეკრული არ არის. მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი ავლენს ნამდვილ ბრაზილიურ ძალას. ესენია არიან: კარლოსი, რონალდო და რივალდო.

რობერტო კარლოსი, მარტივად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშობს. "რეალ მადრიდის" ნახევარმცველი ის ფეხბურთელია, რომელსაც ნამდვილად "მომაკვდინებელი" პასი აქვს და საჯარიმო დარტყმებს შეუდარებლად ასრულებს.

რივალდოს დახასიათებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის თურქეთის წინააღმდეგ მატჩის ნამდვილი ვარსკვლავი იყო. ასე რომ, ჩინეთთან შეხვედრაში რივალდოს დამსახურებები ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ.

რაც შეეხება რონალდოს, ის ნამდვილ გენიოსად აღიარეს. თუმცა, ამ ეტაპზე ბრაზილიელმა თავისი გენიოსობა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს.

პრობლემებია ნახევარდაცვაშიც. არც ჟუნინიო და არც რონალდინიო არ ბრწყინავენ. დაცვაზე კი საუბარიც ზედმეტია. ბრაზილიის ნაკრების ამ სუსტ წერტილს თურქეთმა იოლად მიაგნო.

ბრაზილიურმა გაზეთმა "ჟორნალ და ტარდემ" ჩინეთთან მატჩის შემდეგ ეროვნული ნაკრების მდგომარეობა ასე შეაფასა:

"ბრაზილიის ნაკრები სუსტად გამოიყურება. ძველი ბრაზილიელები მეორე ტაიმში საგოლე მომენტების საძიებლად დროს არც დაკარგავდნენ. ეს, უბრალოდ, იყო მშვენიერი საწვრთნელი მატჩი გულუბრყვილო ჩინელების წინააღმდეგ, რომლებიც ბრაზილიელებს კერპებად აღიქვამენ".

ასე რომ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ყველაზე უცნაურ მსოფლიო ჩემპიონატზე. ლოგიკურად აქ არაფერი ხდება. ჯერჯერობით ყველაფერი წაღმა-უკუღმა ტრიალებს და ფინალისტთა ვინაობის დადგენაც მარჩიელებს თუ შეუძლიათ.



## ტოტალიზატორი „ტოტო 2000" 11.06.2002

მსოფლიო ჩემპიონატი. III ტური. 1

| თარ. | დრო | კოდი | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | 12 | X2 | 2,5მეტ | 2,5ნაკ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11/06 | 11:30 | 004 | დანია - საფრანგეთი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.44 | 1.15 | | 1.65 | 1.85 |
| 11/06 | 11:30 | 005 | სენეგალი - ურუგვაი | 3.00 | 3.00 | 2.30 | 1.48 | 1.28 | 1.28 | 1.65 | 1.85 |
| 11/06 | 16:30 | 006 | კამერუნი - გერმანია | 3.40 | 3.10 | 2.05 | 1.60 | 1.26 | 1.21 | 1.70 | 1.80 |
| 11/06 | 16:30 | 007 | ს. არაბეთი - ირლანდია | 9.00 | 5.00 | 1.25 | 3.19 | 1.08 | | 1.45 | 2.05 |
| 12/06 | 11:30 | 016 | შვედეთი - არგენტინა | 6.50 | 3.20 | 1.55 | 2.12 | 1.23 | | 1.70 | 1.80 |
| 12/06 | 11:30 | 009 | ნიგერია - ინგლისი | 6.00 | 3.20 | 1.60 | 2.07 | 1.24 | | 1.65 | 1.85 |
| 12/06 | 16:30 | 017 | სლოვენია - პარაგვაი | 6.00 | 3.20 | 1.60 | 2.07 | 1.24 | | 1.70 | 1.80 |
| 12/06 | 16:30 | 011 | ს. აფრიკა - ესპანეთი | 7.00 | 3.00 | 1.60 | 2.08 | 1.28 | | 1.70 | 1.80 |
| 13/06 | 11:30 | 012 | კოსტა რიკა - ბრაზილია | 8.50 | 3.30 | 1.45 | 2.36 | 1.22 | | 1.65 | 1.85 |
| 13/06 | 11:30 | 013 | თურქეთი - ჩინეთი | 1.30 | 4.50 | 8.50 | | 1.11 | 2.92 | 1.55 | 1.95 |
| 14/06 | 16:30 | 014 | მექსიკა - იტალია | 7.50 | 3.50 | 1.45 | 2.37 | 1.20 | | 1.75 | 1.75 |
| 14/06 | 16:30 | 015 | ეკვადორი - ხორვატია | 5.50 | 3.60 | 1.55 | 2.16 | 1.19 | 1.06 | 1.70 | 1.80 |

| დანია - საფრანგეთი | | 11/06 | 11:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 681 | Iტაიმის შედეგი | 1<br>3.30 | X<br>1.80 | 2<br>1.50 | * |
| 682 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 683 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 684 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>2.05 | | 2<br>1.55 | |
| 685 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>2.05 | | 2<br>1.55 | |
| 686 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 687 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 688 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 689 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.35 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.25 | |
| 690 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 691 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.35 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.25 | |
| 692 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 693 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 694 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.50 | |
| 695 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>1.90 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.70 | |
| 696 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.40 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>2.20 | |
| 697 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.70 | | 2<br>1.90 | |
| 698 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.50 | თანაბრად | 2<br>2.10 | |
| 699 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.80 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.80 | |
| 700 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 701 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 702 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 703 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 704 | I გოლს გაიტანს | 1<br>2.20 | | 2<br>1.40 | |
| 705 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.70 | | ერთერთი<br>1.80 | |
| 706 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.20 | | 2და მეტი<br>1.90 | * |
| 707 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 708 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 709 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.75 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.50 | * |

| სენეგალი - ურუგვაი | | 11/06 | 11:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 711 | Iტაიმის შედეგი | 1<br>2.90 | X<br>1.55 | 2<br>2.15 | * |
| 712 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 713 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 714 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 715 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 716 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 717 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 718 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 719 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.50 | |
| 720 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 721 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.50 | |
| 722 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 723 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 724 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>1.90 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.70 | |
| 725 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>1.90 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.70 | |
| 726 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.60 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>2.00 | |
| 727 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 728 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.65 | თანაბრად | 2<br>1.95 | |
| 729 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.80 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.80 | |
| 730 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 731 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 732 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 733 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 734 | I გოლს გაიტანს | 1<br>1.90 | | 2<br>1.70 | |
| 735 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.65 | | ერთერთი<br>1.85 | |
| 736 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 737 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 738 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 739 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

| კამერუნი - გერმანია | | 11/06 | 16:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 741 | Iტაიმის შედეგი | 1<br>2.95 | X<br>1.55 | 2<br>2.10 | * |
| 742 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 743 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 744 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>1.95 | | 2<br>1.65 | |
| 745 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>1.95 | | 2<br>1.65 | |
| 746 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 747 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 748 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 749 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.20 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.40 | |
| 750 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 751 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.10 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.50 | |
| 752 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 753 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 754 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>2.00 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.60 | |
| 755 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>1.90 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.70 | |
| 756 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.50 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>2.10 | |
| 757 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.70 | | 2<br>1.90 | |
| 758 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.55 | თანაბრად | 2<br>2.05 | |
| 759 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.80 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.80 | |
| 760 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 761 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 762 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 763 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 764 | I გოლს გაიტანს | 1<br>2.00 | | 2<br>1.60 | |
| 765 | ვინ გაიტანს | ორივე<br>1.65 | | ერთერთი<br>1.85 | |
| 766 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.15 | | 2და მეტი<br>2.00 | * |
| 767 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.00 | 2-3<br>1.70 | 4-6<br>3.00 | * |
| 768 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 769 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.80 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>5.00 | * |

| ს. არაბეთი - ირლანდია | | 11/06 | 16:30 | | |
|---|---|---|---|---|---|
| კოდი | პოზიცია | შედეგები | | | |
| 771 | Iტაიმის შედეგი | 1<br>3.25 | X<br>2.00 | 2<br>1.35 | * |
| 772 | ვინ დაიწყებს | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 773 | პირველ აუტს მოაწვდის | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 774 | პირველ კუთხურს მოაწვდის I ტაიმში | 1<br>2.20 | | 2<br>1.40 | |
| 775 | პირველ კუთხურს მოაწვდის II ტაიმში | 1<br>2.20 | | 2<br>1.40 | |
| 776 | პირველი მოხვდება თამაშგარეში | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 777 | პირველი დაჯარიმდბა | 1<br>1.90 | | 2<br>1.90 | |
| 778 | კარში დარტყმების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11--12<br>3.00 | 13და მეტი<br>1.80 | |
| 779 | მეტჯერ დაარტყამს კარში | 1<br>2.50 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.10 | |
| 780 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკ<br>1.80 | 11<br>3.50 | 12და მეტი<br>1.80 | |
| 781 | მეტ კუთხურს მოაწვდის | 1<br>2.50 | თანაბრად<br>3.50 | 2<br>1.10 | |
| 782 | მეტი კუთხური ტაიმებში | I ტაიმი<br>1.95 | თანაბრად<br>3.50 | II ტაიმი<br>1.65 | |
| 783 | თამაშგარე მდგ. რაოდენობა | 5 და ნაკ<br>1.95 | 6<br>3.50 | 7 და მეტი<br>1.65 | |
| 784 | მეტჯერ მოხვდება თამაშ. მდგომ | 1<br>2.00 | თანაბრად<br>3.00 | 2<br>1.60 | |
| 785 | ჯარიმების რაოდენობა | 33 და ნაკ<br>1.70 | 34-35<br>3.50 | 36 და მეტი<br>1.90 | |
| 786 | მეტჯერ დაჯარიმდება | 1<br>1.30 | თანაბრად<br>5.00 | 2<br>2.30 | |
| 787 | I ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.65 | | 2<br>1.95 | |
| 788 | მეტ ყვითელს ბარათს მიიღებს | 1<br>1.50 | თანაბრად | 2<br>2.10 | |
| 789 | ყვითელი ბარათების რაოდენობა | 3 და ნაკ<br>1.70 | 4<br>3.00 | 5 და მეტი<br>1.90 | |
| 790 | წითელი ბარათი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 791 | პენალი | კი<br>3.00 | | არა<br>1.15 | |
| 792 | I შეცვლას გააკეთებს | 1<br>1.80 | | 2<br>1.80 | |
| 793 | I შეცვლა ტაიმებში | I ტაიმი<br>2.50 | შესვენებაზე<br>2.20 | II ტაიმი<br>1.70 | |
| 794 | I გოლს გაიტანს | 1<br>2.40 | | 2<br>1.20 | |
| 795 | ვინ გაიტანს | ორივე<br>2.00 | | ერთერთი<br>1.50 | |
| 796 | I ტაიმში გატანილი გოლები | 1და ნაკ<br>1.80 | | 2და მეტი<br>1.25 | * |
| 797 | გოლების რაოდენობა | 0-1<br>3.50 | 2-3<br>1.80 | 4-6<br>2.50 | * |
| 798 | მეტი გოლი ტაიმებში | I ტაიმი<br>3.00 | თანაბრად<br>2.80 | II ტაიმი<br>1.90 | * |
| 799 | I გოლი გავა | 1-30წთ.<br>1.50 | 31-90წთ.<br>1.80 | არ გავა<br>8.00 | * |

" * " -ით აღნიშნული პოზიციები არ ებმება ერთმანეთს
ერთ მოთამაშეზე მეორე ყვითელი ბარათი ითვლება მხოლოდ წითლად.
**[illegible] მოგება გაიცემა ფიფას ოფიციალური ოქმის (ფიფაწორლდცუპ.იაჰოო.ცომ) გამოქვეყნების შემდეგ**

## ტოტალიზატორი „კოპა" 11.06.2002

მსოფლიო ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 069 | 11-06-2002 | 11:30 | საფრანგეთი-დანია | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 071 | 11-06-2002 | 11:30 | ურუგვაი-სენეგალი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.47 | 1.30 | 1.85 | 2.5 | 1.65 |
| 073 | 11-06-2002 | 16:30 | გერმანია-კამერუნი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.62 | 1.27 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 075 | 11-06-2002 | 16:30 | ირლანდია-საუდ. არაბეთი | 1.20 | 5.00 | 9.00 | - | 3.21 | 1.06 | 1.45 | 2.5 | 2.10 |
| 077 | 12-06-2002 | 11:30 | არგენტინა-შვედეთი | 1.50 | 3.20 | 6.50 | 1.02 | 2.14 | 1.22 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 079 | 12-06-2002 | 11:30 | ინგლისი-ნიგერია | 1.60 | 3.00 | 6.00 | 1.04 | 2.00 | 1.26 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 081 | 12-06-2002 | 16:30 | ესპანეთი-ს. აფრიკა | 1.60 | 2.80 | 7.00 | 1.02 | 2.00 | 1.30 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 083 | 12-06-2002 | 16:30 | პარაგვაი-სლოვენია | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.08 | 2.02 | 1.22 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 085 | 13-06-2002 | 11:30 | ბრაზილია-კოსტა რიკა | 1.50 | 2.90 | 8.00 | - | 2.13 | 1.26 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 087 | 13-06-2002 | 11:30 | თურქეთი-ჩინეთი | 1.30 | 4.00 | 8.00 | - | 2.67 | 1.12 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 089 | 13-06-2002 | 16:30 | იტალია-მექსიკა | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 091 | 13-06-2002 | 16:30 | ხორვატია-ეკვადორი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 2.14 | 1.21 | 1.70 | 2.5 | 1.80 |

## ტოტალიზატორი „ლამიგო" 11.06.2002

| თარიღი | წყვილი | კოდი | 1 | X | 2 | კოდი | 1X | X2 | კოდი | 2.5> | 2.5< | კოდი | 1 | გოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06/11/2002 11:30 | დანია საფრანგეთი | 040 | 7.0 | 4.0 | 1.4 | 1040 | 2.5 | | 2040 | 1.6 | 1.9 | 3040 | 2.5 | 1.2 |
| 06/11/2002 11:30 | სენეგალი ურუგვაი | 041 | 3.1 | 3.0 | 2.1 | 1041 | 1.5 | 1.23 | 2041 | 1.7 | 1.7 | 3041 | 1.9 | 1.7 |
| 06/11/2002 16:30 | კამერუნი გერმანია | 042 | 3.5 | 3.1 | 2.0 | 1042 | 1.6 | 1.20 | 2042 | 1.8 | 1.7 | 3042 | 1.9 | 1.65 |
| 06/11/2002 16:30 | ს.არაბეთი ირლანდია | 043 | 10.0 | 4.5 | 1.2 | 1043 | 3.1 | | 2043 | 1.6 | 1.9 | 3043 | 2.8 | 1.1 |
| 06/12/2002 11:30 | შვედეთი არგენტინა | 050 | 7.0 | 3.2 | 1.5 | 1050 | 2.1 | 1.02 | 2050 | 1.7 | 1.8 | 3050 | 2.0 | 1.3 |
| 06/12/2002 11:30 | ნიგერია ინგლისი | 051 | 6.8 | 3.0 | 1.5 | 1051 | 2.1 | | 2051 | 1.7 | 1.8 | 3051 | 2.0 | 1.3 |
| 06/12/2002 16:30 | სლოვენია პარაგვაი | 052 | 5.5 | 3.4 | 1.6 | 1052 | 2.1 | 1.08 | 2052 | 1.65 | 1.9 | 3052 | 1.9 | 1.35 |
| 06/12/2002 16:30 | ს.აფრიკა ესპანეთი | 053 | 8.0 | 2.9 | 1.6 | 1053 | 2.1 | | 2053 | 1.7 | 1.8 | 3053 | 1.9 | 1.35 |
| 06/13/2002 11:30 | კოსტარიკა ბრაზილია | 054 | 7.0 | 3.2 | 1.5 | 1054 | 2.2 | | 2054 | 1.6 | 1.9 | 3054 | 2.5 | 1.2 |
| 06/13/2002 11:30 | თურქეთი ჩინეთი | 055 | 1.3 | 4.3 | 7.5 | 1055 | | 2.7 | 2055 | 1.6 | 1.9 | 3055 | 1.15 | 3.0 |
| 06/13/2002 16:30 | მექსიკა იტალია | 056 | 7.5 | 3.3 | 1.5 | 1056 | 2.4 | | 2056 | 1.7 | 1.8 | 3056 | 2.8 | 1.2 |
| 06/13/2002 16:30 | ეკვადორი ხორვატია | 057 | 5.0 | 4.0 | 1.6 | 1057 | 2.2 | 1.10 | 2057 | 1.65 | 1.9 | 3057 | 2.0 | 1.3 |

| საფრანგეთი - დანია | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5490 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5491 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5492 | 1 კუთხური | 1.60 | | 1.90 |
| 5493 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5494 | 1 გოლი | 1.40 | | 2.20 |
| 5495 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5496 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5497 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5498 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.70 | | (31-90)- 1.80 |
| 5499 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 3.00 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.80 |
| 5500 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| ურუგვაი - სენეგალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5510 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5511 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5512 | 1 კუთხური | 1.65 | | 1.85 |
| 5513 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5514 | 1 გოლი | 1.65 | | 1.85 |
| 5515 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5516 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 2.00 |
| 5517 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5518 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.75 | | (31-90)- 1.75 |
| 5519 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 5520 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| გერმანია - კამერუნი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5530 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5531 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5532 | 1 კუთხური | 1.65 | | 1.85 |
| 5533 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5534 | 1 გოლი | 1.60 | | 1.90 |
| 5535 | 1 გაფრთხილება | 1.80 | | 1.70 |
| 5536 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 5537 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5538 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.70 | | (31-90)- 1.80 |
| 5539 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 5540 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |

| ირლანდია - საუდ. არაბეთი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 5550 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 5551 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 5552 | 1 კუთხური | 1.45 | | 2.10 |
| 5553 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 5554 | 1 გოლი | 1.20 | | 3.50 |
| 5555 | 1 გაფრთხილება | 1.90 | | 1.60 |
| 5556 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 2.00 |
| 5557 | ბარათების რაოდენობა | 3და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 4- 3.00 | 5და მეტი- 1.80 |
| 5558 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.50 | | (31-90)- 2.00 |
| 5559 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 3.20 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.60 |
| 5560 | ვინ გაიტანს * | ორივე 2.00 | | ერთ-ერთი 1.50 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 11:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | | 2 |
| 5565 | კუთხურები | 39და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 0- 0.00 | 41და მეტი- 2.00 |
| 5566 | ბარათები | 16და ნაკლ.- 2.00 | ზუსტად 0- 0.00 | 18და მეტი- 1.80 |
| 5567 | გოლები | 9და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 11და მეტი- 1.90 |



REUTERS

# კამოეშიდან ფიგუმდე

## პორტუგალია





ორი ლუიში: კამოეში და ფიგუ

თამარ ბაბუაძე

დღეს დილას ნაბახუსევ პორტუგალიელებს თავები უსკდებათ და სამსახურებში აგვიანებენ. ყველაფრის თავი და თავი კი 1580 წელს გარდაცვლილი პოეტი ლუიშ დე კამოეშია. 10 ივნისს სრულიად პორტუგალია მისი გარდაცვალების დღეს აღნიშნავს ისე, როგორც ეროვნულ დღესასწაულს. პორტუგალიურ კალენდარზე 10 ივნისი დიდი ეროვნული დღესასწაული, პორტუგალიისა და კამოეშის დღესასწაულია.

ამ ყველაფერს კი აღნიშვნა და მოლხენა ხომ უნდოდა? თან, გუშინ კამოეშს პორტუგალიის საფეხბურთო ნაკრების გამარჯვებაც დაერთო და ერთი სიტყვით, ამ ორი მიზეზის პატივისცემით ბევრმა მოილხინა პორტუგალიურად შეკმაზული სარდინებითა და პორტოსა თუ მადეირას ღვინით..

### ცალთვალა პორტუგალიელი რუსთაველი

კოიმბრას უნივერსიტეტში განსწავლული ლუიშ დე კამეოში მეფე ჯონ მესამის სასამართლოში მსახურობდა, თუმცა, მალე დაითხოვეს. პოეტმა ჯარისკაცობა და მოგზაურობა დაიწყო. იბრძოდა მაროკოში და ერთ-ერთ ბრძოლაში ცალი თვალიც დაკარგა. ლისაბონში დაბრუნებული კამოეში ქუჩის ჩხუბში მოჰყვა და ციხეში უკრეს თავი. გათავისუფლების შემდეგ ჯერ ინდოეთი მოიარა, შემდეგ მაკაო. 1570 წელს კვლავ ლისაბონში დაბრუნდა და ვირგილიუსის გავლენით შექმნილი ეპიკური პოემა "ლუსიადსი" გამოაქვეყნა. 1580 წელს კი, დაიღუპა, როგორც უცნობი, ღარიბი პოეტი. სიღატაკეში დაღუპული კამოეში გენიოსად მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ აღიარეს. დღეს "ლუსიადსი" პორტუგალიელებს ისევე ეამაყებათ, როგორც ქართველებს რუსთაველი.

### ფაქტები

**წარსული:** პორტუგალია ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მე-15-16 საუკუნეებში იყო. დაღმასვლა 1755 წლიდან – ლისაბონის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დაიწყო. 1822 წელს პორტუგალიამ დაკარგა ბრაზილიის კოლონია, 1910 წლის რევოლუციამ დაამხო მონარქია, 1974 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ სათავეში მემარცხენეები მოვიდნენ და პირველი დემოკრატიული რეფორმები გაატარეს. შემდეგ წელს პორტუგალიამ თავისუფლება მიანიჭა აფრიკულ კოლონიებსაც. ევროპულ თანამეგობრობას 1985 წელს შეუერთდა.

**მდებარეობა:** სამხრეთ-დასავლეთი ევროპა. ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანე და ესპანეთი

**ტერიტორია:** 92.391 კვ.კმ. (მიწა: 91.951 კვ.კმ.; წყალი: 440 კვ.კმ. მადეირასა და აზორის კუნძულების ჩათვლით).

**სანაპირო ზოლი:** 1.793 კმ.

**კლიმატი:** საზღვაო. ჩრდილოეთით – უფრო გრილი და წვიმიანი, სამხრეთით – უფრო თბილი და მშრალი.

**ბუნებრივი რესურსები:** თევზი, ხე-ტყე, ჰიდროენერგია, მარმარილო...

**მოსახლეობა:** 10.066.253

**რელიგია:** რომანული კათოლიკური (94 პროცენტი).

**ენა:** პორტუგალიური

**მთავრობის ტიპი:** საპარლამენტო დემოკრატია

**დედაქალაქი:** ლისაბონი

**ადმინისტრაციული დაყოფა:** 18 ადმინისტრაციული რეგიონი და ორი ავტონომიური მხარე.

**დამოუკიდებლობა:** 1140 წ. (დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა 1910 წლის 5 ოქტომბერს).

**ეროვნული დღესასწაული:** პორტუგალიის დღე, 10 ივნისი.

**კონსტიტუცია:** მიღებულია 1976 წლის 25 აპრილს.

**აღმასრულებელი მთავრობა:** ქვეყნის პრეზიდენტი ხორხე სამპაიუ (1996 წლის 9 მარტიდან).

### იყო და არა იყო რა-სავით, ანუ ვირთევზების სეზონი

სანამ გენუაში დაბადებული, ესპანეთის ქვეშევრდომი კოლუმბი პორტუგალიურ ხომალდში ჩაჯდებოდა და ინდოეთისა და ბრაზილიისკენ მიმავალ სანაოსნო გზებს აღმოაჩენდა, პორტუგალიის აღმოჩენა რომაელებმა ითავეს. იყო მდინარე დოურა და დოურას ნაპირზე გაშენებული ორი ქალაქი – პორტუს და კალე. ქვეყნის სახელწოდებაც აქედან წამოვიდა, ჯერ პორტუსკალე, შემდეგ კი პორტუგალი. მერე დაიბადა საზღვარგარეთ კამოეშზე უფრო სახელოვანი კოლუმბიც და ამერიკისკენ მიმავალი გზა "გაიყვანა".

ამერიკა მერე კი ბევრის ოცნების ქვეყნად იქცა, მაგრამ პორტუგალიელებმა ამ ორიოდე დღის წინ, ალბათ, ბევრჯერ ინანეს, კოლუმბი საერთოდ რომ გაეკარა ოკეანეს – მაშინ რომ კოლუმბს ამერიკა არ აღმოეჩინა, მსოფლიო ჩემპიონატზე ბინ ლადენის ჯავრს ამერიკელი ფეხბურთელები პორტუგალიელებზე ხომ ვერ იყრიდნენ? პორტუგალიის ნაკრებიც გადარჩებოდა აშშ-სთან მატჩის წაგების სირცხვილს.

თუმცა, დავივიწყოთ კოლუმბი, ამერიკა და ბინ ლადენი – გუშინ პორტუგალიელებს გრანდიოზული ზეიმი ჰქონდათ, პოლონელების დამარცხების ზეიმი. ეროვნულ ნაკრებთან ერთად იაპონიაში წასულმა მზარეულმა ჰელიო ლოურეირომ შეუძლებელი შეძლო, ანუ ის, რაც ვერ მოახერხა ნაკრების მწვრთნელმა. მან სამხრეთ კორეაში 200 კგ. დამარილებული ვირთევზა წაიღო, რათა ფეხბურთელები მშობლიური კერძებით ეკვება. და მოხდა სასწაული – ვირთევზებმა მწვრთნელის მიერ შედგენილ სამოქმედო ტაქტიკაზე უკეთ იმოქმედა. გემრიელი კერძებით ენერგიაზე მოსულმა პორტუგალიელებმა პოლონელები გაანადგურეს. რას ვიზამთ – ხომ ცნობილია, რომ პატრიოტიზმის გრძნობაც მეტნაკლებად კუჭზე გადის. მით უმეტეს, ვირთევზაზე – თევზზე, რომელიც პორტუგალიური მენიუს უცვლელი ნაწილია და რომელსაც პორტუგალიელები 365-ნაირად ამზადებენ. მოკლედ, გუშინ ზეიმობდნენ ლისაბონშიც და ზეიმობდნენ კორეაშიც – ჰელიო ლოურეიროს თევზებთან ერთად ფეხბურთელებისთვის კარგი პორტვეინიც ჰქონია გადამალული. თუმცა, ის კი არ ვიცით, პოლონელების დამარცხებით გახარებულ ლუიშ ფიგუს და მის რაზმს გაახსენდათ თუ არა საერთოდ გუშინ გარდაცვლილი საწყალობელი დე კამოეში...

ისე, კამოეში და ეროვნული დღესასწაული ხვალ აღარც ლისაბონში ემახსოვრებათ. 12 რიცხვი ივნისის ფიესტების დასკვნითი ეტაპია. ამ დღეს ქეიფი დილამდე გრძელდება. **ავენიდა და ლიბერდადეზე** (თავისუფლების გამზირი) კი ულამაზესი ცერემონიალი ფეიერვერკების ფონზე ეწყობა. იქ საუკეთესო ალლუმის მომწყობ უბანს ავლენენ. ლისაბონელები უძლებენ და ტურისტების რა მოგახსენოთ – ამ გიჟურ ფიესტებს ხშირად სარდინების "სურნელება" გასდევს ფონად. ივნისი ხომ სარდინების შემოსვლის სეზონია და მთელ ლისაბონში ეს მშვენიერი სურნელება იფრქვევა.

### მადეირას გამო დასჯილი მეფე

თუ პორტუგალიურ ღვინოს სცემთ პატივს, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ღვინის სამშობლო იქ დოუროს მდინარეა. ქართველების არ იყოს, ღვინის სიძველით პორტუგალიელებსაც მოაქვთ თავი. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე პირველ საუკუნეშიო, - იკვეხნიან იქაურები, - ბერძენი ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ 27 ლიტრი ღვინო ერთი დრაჰმა ღირდაო. ასეა თუ ისე, საამაყო მართლაც აქვთ. პორტვეინი ამად ღირს. მით უფრო, რომ დოუროს ღვინის მადეირაც ემატება. იქ ღვინის კულტივირება ტერასებივით დაზოლილ საფეხურებზე ხდება, რომელთაც ადგილობრივები "პოიოს"-ს უწოდებენ. იქაური ღვინო მთელ ცივილურ ევროპაში ელიტარულ სასმელად არის აღიარებული. და ეს შექსპირმაც იცოდა: თუ გახსოვთ, მისი პიესიდან ჰენრი მეოთხეს ასეთ ბრალდებას უყენებდნენ – მეფემ სული ქათმის ბარკლისა და ბოკალი მადეირასთვის გაყიდაო...

# ისლამის ღვინო

## ყავას მეცხრე საუკუნიდან სვამენ



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ანა კორძაია-სამადაშვილი

*76 ქვეყანაში 10 მილიონ ჰექტარ მიწაზე 15 მილიარდი ყავის ხე ყოველწლიურად 6 მილიარდ კილოგრამ ყავას გვაძლევს. ყავის წარმოებით, დამუშავებითა და გაყიდვით 100 მილიონი ადამიანი ირჩენს თავს. რამდენი მიირთმევს და რამდენი იღებს სიამოვნებას – ამის შესახებ სტატისტიკა დუმს.*

ყავის მოხარშვა მთელი მეცნიერებაა. თუკი ძირითად წესებში უკვე გაერკვიეთ და საქმეს ბეჯითად ეკიდებით, ცოტა ხანში შეიძლება კარგი ყავაც მოადუღოთ. მაგრამ ყველას მაინც სხვადასხვანაირი გამოსდის; სახლში, მეზობელთან, კაფეში – ყველგან სხვადასხვა გემო აქვს ხოლმე.

დღეს ყავას თითქმის მთელი მსოფლიო სვამს, მისი ისტორია კი ეთიოპიის მთიანეთში დაიწყო: სამეფო ყაფას ტყეებში იზრდებოდა ათმეტრიანი ყავის ხე, რომლის ნაყოფიც მომთაბარეებმა აღმოაჩინეს და მრავალ სხვა უცხო ხილთან ერთად ისიც ხელს გააყოლეს.

მეცხრე საუკუნეში, ან უფრო ადრეც კი, ადამიანები უკვე სვამდნენ ყავას. ცხადია, ეს ის ყავა არ იყო, როგორსაც დღეს მივირთმევთ: ყავის მარცვლების სქელ ნახარშს წყლით აზავებდნენ და ისე სვამდნენ. მხოლოდ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დაფქული მარცვლებისაგან დამზადებული სასმელი უფრო სურნელოვანი ყოფილა. მაგრამ ჩვენს შორეულ წინაპრებსაც სჭირდებოდათ გამოცოცხლება – ისევე, როგორც ჩვენ – ამ საქმეს კი, მოგეხსენებათ, ყავა ყველანაირი სახით შველის. ჰოდა, 1015 წელს სპარსელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა იბნ სინამ (ავიცენამ) ყავის მასტიმულირებელ წამლად გამოყენება დაიწყო.

მე-11 საუკუნეში არაბები წითელი ზღვის ხელოვნურად მორწყულ სანაპიროზე ყავის მოშენებას შეუდგნენ. წარმოიდგინეთ, როგორი შთამბეჭდავი სანახაობა იქნებოდა! ხოლო იემენში ყავა პირველად იქნა მოხალული, და აი, როგორ:

იემენში, შეჰოდეტის მონასტრის მიდამოში, მწყემსმა ქალდიმ გაოცებით აღმოაჩინა, რომ ყავის ბუჩქის ნაყოფების ჭამის შემდეგ თხები მთელი ღამე მხიარულ კუნტრუშში იყვნენ. ბერებთან ერთად მან მარცვლები ქვის ფილებზე გაახმო, დაფქვა და ცხელი წყალი დაასხა. ამბობენ, ასე გასინჯეს პირველად ყავაო.

სიტყვა "ყავას" ძირი ძველარაბული "ქავაა", ღვინო, რომლის დალევაც მორწმუნე მუსლიმებს ეკრძალებათ. სწორედ აღგზნები მოქმედების გამო ყავას ეწოდა "ისლამის ღვინო".

თქმულების თანახმად, თავად ალაჰმა მოუვლინა კაცობრიობას ეს სასმელი. მთავარანგელოზმა გაბრიელმა წინასწარმეტყველი მუჰამედი სწორედ ამ ნახარშით განკურნა ძილქუშისგან. რამდენიმე ყლუპის შემდეგ მუჰამედი 40 მხედარს გაუმკლავდა და ერთ ღამეში 40 ქალწულს ასწავლა სიყვარულის ხელოვნება.

ასეთი ჯადოსნური თვისებები, ცხადია, მხოლოდ სწორად დამზადებულ ყავასა აქვს, ამ საქმისთვის კი რამდენიმე ძირითადი წესი უნდა გვახსოვდეს:

ჟანგბადი და ნესტი ყავის სურნელის დაუძინებელი მტრები არიან. თავმოხდილ ჭურჭელში ჩაყრილ ყავას ექსპერტები "მკვდარ ყავას უწოდებენ";

ყოველთვის ცივი წყალი გამოიყენეთ, გემო უკეთესი ექნება;

ყველაზე გემრიელი ახალმოდუღებული ყავაა. თერმოსში შენახულ ყავას ნახევარ საათში გემო უფუჭდება, მწარდება;

მცოდნე ხალხი მიიჩნევს, რომ ყავა და ჩაი ერთი ჭიქიდან არ უნდა ვსვათ, ყავას სწყინსო. რა ვიცით, იქნებ მართლაც ასეა?!

# მეწვიეთ! სიყვარულით, გრაფი ფონ შლაფი

ანა კორძაია-სამადაშვილი

მისი უდიდებულესობა როლო კოსმოს გრაფი შლაფი ბრწყინვალე დრეზდენში გეპატიჟებათ, თავის სასახლეში, სინათლის მერვე დღესასწაულის აღსანიშნავად.

სინათლის დღესასწაული არც სტუმრებისათვის გამართული წარმოდგენაა და არც ვინმეს ხელოვნების დემონსტრაცია. ეს დღესასწაული სურვილების ასრულების, ვნებების დაცხრომის დღეა, თქვენ მიიღებთ იმას, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ეღირსებით.

თავდაპირველად ამ დღეს მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრე აღნიშნავდა, მაგრამ სულ რამდენიმე წელიწადში ის საყოველთაო დღესასწაულად იქცა. მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ სტუმრებს შეუძლიათ 12 საათით სხვა განზომილებაში გადაინაცვლონ, ერთი ღამე ბაროკოს აყვავების ხანაში ამოყონ თავი. თვალწარმტაც ბაღში, ზღაპრულ სასახლეში, სიხარულს დანატრებულნი 1995 წლიდან იკრიბებიან.

თქმულების თანახმად, სასახლე ლიხტენრუში წელიწადში ერთხელ იღვიძებს გრაფი შლაფი (გერმანულად Schlaf ძილს ნიშნავს). ლეგენდა რეალობად იქცა: ახლანდელი გრაფი წელიწადში ერთხელ იბრუნებს თავის საკუთრებას, 12 საათის განმავლობაში თავის სტუმრებთან ერთად გადადის რეალობის საზღვრებს და ბაროკოს საოცნებო დროში ბრუნდება. დილის ექვს საათზე გრაფი კვლავ იძინებს, რათა მომავალ წელს კვლავ გამართოს სინათლის დღესასწაული. "მიძინებული" გრაფი მთელი წელი მხატვარია, მხოლოდ ამ ჯადოსნურ დღეს გვევლინება თავისი ჭეშმარიტი სახით.

წელს დღესასწაული 15 ივნისს 15 საათზე იწყება. მართლაც საუცხოო გართობა გელით, მეფური ნადიმი, დიდი მეჯლისი და არნახული ფეიერვერკი. დილით, 6 საათზე, კარიბჭე დაიკეტება, რათა არავინ დაუფრთხოს გრაფს ერთწლიანი ძილი.

თუკი გადაწყვეტთ, რომ საქართველოდან გრაფის პირველი სტუმარი გახდეთ, იჩქარეთ: სამეჯლისო სამოსზე ზრუნვა და ოთახის დაჯავშნა უნდა მოასწროთ, გერმანიის ვიზაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

# სუვენირიცაა და სუვენირიც

ზაფხულის შესაბამისად, შვებულებების სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მედიკოსები აცხადებენ, რომ "პრეზერვატივი ყოველ ხელჩანთასა და ჩემოდანში უნდა იდოს." მსოფლიოში შიდსი მძვინვარებს, ბედით კმაყოფილი გერმანელი ტურისტები კი კვლავ თავგადასავლებისა და რისკის ძიებაში არიან. შიდსის გარდა მათ ათასგვარი სიკეთე ჩამოაქვთ მოგზაურობებიდან: მალარია, ქოლერა, დიფტერია, ჰეპატიტი, ათაშანგი... მედიკოსებს ყველაზე მეტად ის აშინებთ, რომ მრავალი "ეგზოტიკური" დაავადება გერმანიაში საერთოდ არაა ცნობილი, თორემ შიდსს ვინღა დაგიდევთ...

ნუ აჰყვებით ევროპელ ტურისტებს!

## ახალი ფილმი

# მოღალატე Unfaithful

*__აშშ,__ 2002 წ.*

*__რეჟისორი:__ ედრიან ლაინი*

*__როლებში:__ რიჩარდ გირი, ოლივერ მარტინესი, ჩედ ლოუ, დაიენ ლეინი, ერიკ პერ სალივანი და სხვ.*

*__სცენარი:__ კლოდ შაბროლი, ალვინ სარჟენტი*

**პრევიუ:** ეს გახლავთ 1969 წელს გადაღებული ფრანგული ფილმის "ეძებე ქალი" რიმეიქი. მთავარი გმირი (გირი) შემთხვევით შეიტყობს, რომ ცოლს (ლეინი) რომანი აქვს. გაცეცხლებული გირი მეუღლის საყვარელს (მარტინესს) მოკლავს. საოცრება სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ ხდება: სრულიად მოულოდნელად ქალი, რომელიც ქმარს ღალატობდა, მის გაბრაზებაში ვნებას ამოიკითხავს. ვნებას, რომელიც მათი ცოლ-ქმრობის ხანგრძლივი წლების განმავლობაში არ უგრძვნია. საყვარლის მოკვლის შემდეგ გირისა და ლეინის სიყვარული ცოცხლდება. ქალი უკვე თანახმაა მის გამო მკვლელად ქცეულ მეუღლეს დანაშაულის დაფარვაში დაეხმაროს...

### ფაქტები:

ფილმში მთავარი როლი ჯორჯ კლუნის უნდა შეესრულებინა, თუმცა, ბოლოს როლზე გირი აიყვანეს;

გადაღებები 2001 წლის ნოემბერში დაიწყო;

ოლივერ მარტინესის ნამუშევრებიდან ცნობილია ფილმი "სანამ ღამე დადგებოდეს".

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# სიმღერებს მიღმა

როცა პირველად უსმენ ახალ სიმღერას, ძირითადად მხოლოდ მელოდიას და რიტმს აქცევ ყურადღებას. თუ სიმღერა მოგეწონა, შემდეგი მოსმენისას უკვე ტექსტი, ჩანაწერის ტექნიკური მხარე და სხვა დეტალები გაინტერესებს. ეს ბუნებრივი მოვლენაა; მითუმეტეს მელომანისთვის. მათ ხომ სხვებზე უკეთ იციან, თუ რამდენი საინტერესო და კურიოზული ფაქტია მიმალული ყოველი მეტნაკლებად ღირებული ჩანაწერის მიღმა. მაგრამ ხშირად ხდება, როცა სიმღერების გაანალიზების მცდელობის დროს ფანები ძალიან შორს მიდიან, წყდებიან რეალობას და აკეთებენ სრულიად მცდარ დასკვნებს. შემდეგ ეს დასკვნები სიუჟეტური მომხიბვლელობის, თუ სკანდალურობის გამო ადვილად ვრცელდება ხალხში და იქმნება თანამედროვე



ლეგენდები და მითები. მაგალითად "ბითლზის " პოპულარობის პიკზე ფანებმა რამდენიმე ჩანაწერის ზედმეტად გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტეს, რომ მაკარტნი მკვდარი იყო! პოლს ტელევიზიით მოუწია გამოსვლა ამ ფაქტის უარსაყოფად.

ჩვენში, ამ მხრივ ვერც ერთი სიმღერა შეედრება "ბითლზის" პოპულარულ Back in the USSR-ს ("უკან საბჭოთა კავშირში"). ლეგენდა ასეთი იყო: როცა "ბითლზი" ლონდონიდან ტოკიოში მიფრინავდა კონცერტების გასამართავად, თვითმფრინავი საწვავის მარაგის შესავსებად ერთი საათით მოსკოვში დაფრინდა. "ჩვენებმა" ისარგებლეს შემთხვევით და ჯგუფს მოსკოვში კონცერტის გამართვა შესთავაზეს. "ბითლზმა" 4 კილოგრამი ოქრო მოითხოვა. ეტყობა, ეს დიდი თანხა იყო, რადგან "ჩვენებმა" იუარეს, მაგრამ სთხოვეს, იქნებ ერთი სიმღერა მაინც გემღერათო. "ბითლზმაც" იქვე, ასაფრენ ბილიკზე დაწერა, იმღერა და ჩაწერა სიმღერა.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი ყოფილა. სავარაუდოა, რომ ტექსტის გარდა, ლეგენდის შემქმნელებზე გავლენა მოახდინა სიმღერის დასაწყისში და ბოლოში ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის მოტორის ხმაურის ჩანაწერმა. მაკარტნიმ ეს სიმღერა "ბითლზის" ე.წ. "თეთრი ალბომისთვის", 1968 წელს ინდოეთში ყოფნისას დაწერა. ეს იყო ჩაკ ბერის სიმღერის Back in USA-ს თავისებური ანარეკლი და ტალღოვანი, აშკარად "ბიჩ ბოისური" მისამღერი. მაგრამ ჩვენებურებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისამღერის ის ადგილია, სადაც მაკარტნი ახსენებს "ჯორჯიას, რომელიც გამუდმებით თავში უტრიალებს".

საერთოდაც, არც ერთი შემსრულებლის შემოქმედებას არ მიუპყრია, როგორც სპეციალისტების, ისე მოყვარულების და უბრალოდ უსაქმურების ისეთი განუზომელი ყურადრება, როგორიც "ბითლზისას". თითქმის ყველა მათი სიმღერა მუდმივი განსჯისა და ყალბი ინტერპრეტაციის საგანი ხდებოდა. ტექსტებს დეტალურად არჩევდნენ, ეძებდნენ მათში დაშიფრულ მოწოდებებს და არარსებულ სიმბოლოებს.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება ლენონის Lucy in the Sky with Diamonds("ლუსი ცაში ბრილიანტებთან ერთად"). გამომდინარე სათაურის აბრევიატურიდან, საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ ლენონი ამ სიმღერით მიგვანიშნებდა იმ დროს მოდაში შემოსულ ჰალუცინოგენზე, LSD. სინამდვილეში, ლენონის შვილმა ჯულიანმა, რომლის სკოლის ამხანაგს ლუსი ერქვა, ერთხელ სახლში მიიტანა ნახატი და მამის კითხვაზე,თუ რა იყო ეს, უპასუხა: "ეს ლუსია ცაში ბრილიანტებთან ერთად".

უარესი რეაქცია მოჰყვა მაკარტნის Get Back-ს("დაბრუნდი უკან"). მას პაკისტანელების წინააღმდეგ რასიზმში დასდეს ბრალი. თუმცა, ყველაფერი პირიქით იყო – მან ეს სიმღერა ხელისუფლების ანტიემიგრანტულ განცხადებებთან დაკავშირებით დაწერა. თვით იოკო ონოც, რომელიც სიმღერის ჩაწერას ესწრებოდა, ამტკიცებდა, რომ პოლმა აგრძნობინა, თუ როგორ ვერ იტანდა მას: "მისამღერის დროს (სადაც ის რამდენჯერმე იმეორებს "დაბრუნდი უკან") ის ჩემსკენ იხედებოდა და პირდაპირ თვალებში ჩამყურებდა".

ასეთივე ბედი ეწია პოპულარულ Hey Jude-ს,რომელიც პოლმა ლენონის ჯულიანს მიუძღვნა. მან უბრალოდ მოფერებითი სახელი ჯული, ჯუდით შეცვალა. სიმღერა ებრაელების წინააღმდეგ მიმართულად მიიღეს. "ბითლზის" ოფისში რეკავდნენ ებრაული ორგანიზაციებიდან და მათ ახალი ნაცისტური ტალღის აგორებას აბრალებდნენ.

ყველაზე მძიმე შედეგი კი უწყინარ Helter Skelter-ს მოჰყვა. ამ სიმღერამ ცნობილ მანიაკს, ჩარლზ მენსონს, მისივე სიტყვებით, მკვლელობა შთააგონა. ლენონის კომენტარი ასეთი იყო: "ვიცი, რომ ფანები ჩვენ სიმღერებში ეძებენ ფარულ სიმბოლოებს და მისტიურ მოწოდებებს. ჩვენ ეს გვამხიარულებს, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს Helter Skelter-ს ვინმეს დანით მოკვლასთან".

ამის ახსნა არც ჩვენ შეგვიძლია, ამიტომ უმჯობესია, უფრო მხიარული ისტორიით დავამთავროთ. აი, თუნდაც საიდან აიღო ამ სვეტის ავტორმა ფსევდონიმი? სიმღერა Paperback Writer-ის ("რბილ-ყდიანი წიგნების ავტორი") გაჩენა უკავშირდება ლენონის მიერ ორი წიგნის გამოცემას. ხოლო იქ მოხსენიებული ლირი სხვა არავინაა, თუ არა ლიმერიკების კლასიკოსი ედუარდ ლირი. კრიტიკოსების აზრით, ლენონის ოპუსები სწორედ ლირისა და ლუის კეროლის ძლიერი გავლენით არის შექმნილი.

Papeback Writer

# საქართველოში ახალი პროფესია ჩნდება - Sculpture-guard-ი

## როგორ მიულოცეს მერაბ ბერძენიშვილს დაბადების დღე

ნინო სვანიძე

დიდგორის მემორიალის გაძარცვის შესახებ მოქანდაკემ თავისი დაბადების დღის წინა დღეს, 9 ივნისს შეიტყო. გუშინ, 10 ივნისს კი მას 73 წელი შეუსრულდა. მერაბ ბერძენიშვილს ჩვენ კუს ტბის ასახვევში მდებარე სახელოსნოში შევხვდით, ბეწვზე კი მივუსწარით, დილის 10 საათზე უკვე გამოწყობილი იყო და სახლიდან გადიოდა. სტუმრების მიღების გუნებაზე ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ მაინც თავაზიანად მიგვიღო. ისე კი, ეტყობოდა, განმარტოება ერჩივნა და სწორედ ამას აპირებდა. ძნელი სათქმელია, დაბადების დღის მიმლოცველებს გაურბოდა, თუ მემორიალის დარბევაზე სამძიმრის მოსმენა აღარ უნდოდა. თავიდან ჩვენც გაგვიჭირდა ამ უსიამოვნო და სასიამოვნო მოვლენების შეთავსება, მაგრამ მაინც გავესაუბრეთ მას:



მერაბ ბერძენიშვილი



დიდგორის მემორიალი

**მერაბ ბერძენიშვილი:** "რა გითხრათ, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. გახსოვთ, ალბათ, ილია ჭავჭავაძის ბიუსტის მოპარვის ამბავი, ზუსტად ასე მოიპარეს გიორგი ოჩიაურის მემორიალის დიდი ნაწილი, კოკა იგნატოვის ბრწყინვალე ფრესკაც ამოჭრეს და წაიღეს. საქმე ის არის, რომ ამ ქურდობებისთვის ჯერ არავინ დასჯილა. ზოგს ვერ მიაგნეს, ილია ჭავჭავაძის ბიუსტის მომპარავზე თქვეს, საწყალი კაცი იყოო და არ დასაჯეს. არა მგონია, საწყალ კაცს ასეთი დაგეგმილი ძარცვის ჩადენა შეეძლოს.

დიდგორის მემორიალის დარბევას გუშინ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ალბათ, ის თუ გაახსენდათ, რომ თავად დიდგორის ფაქტორია ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყო.

ახლა იმდენი ხალხი ჩაება ამ ძარცვის კვლევაში, რომ, თუ სურთ, დამნაშავეს აუცილებლად იპოვნიან. ისე კი, საქართველოში დანაშაული დანაშაულს მძივივით ებმის. აკრძალონ საბაჟოზე ფერადი ლითონების გატანა და ყველაფერს მოევლება.

მემორიალის დეტალების ყალიბები მაქვს და, თუ შევძლებ, თავიდან უნდა ჩამოვასხა ის, რაც განადგურდა, ოღონდ საამისო აღარც ასაკი მაქვს და აღარც ჯანმრთელობა მიწყობს ხელს, თანაც ვინ დამპირდება, რომ ისევ არ გაძარცვავენ. ახლა, ალბათ, მემორიალთან მცველების დაყენება გახდება საჭირო – სირცხვილი არ არის!

დიდი ხნის წინათ მარნეულში ჩემს ქანდაკებას ვილაც გადარეულმა ესროლა. იქაურმა რაიკომის მდივანმა – მალალაშვილმა თავისი ინიციატივით ძეგლს აზერბაიჯანელი მცველი მიუჩინა (მარნეულის ძირითად მოსახლეობას ხომ აზერბაიჯანელები შეადგენენ).

ის კაცი ქანდაკებას ისე ერთგულად ყარაულობდა, ერთხელ ძეგლის სანახავად ჩასულს, მე თვითონ მომცა შენიშვნა – "ზდეს ნე კურიატ!"- ო, მითხრა. რომ ვუთხარი, "ია სამ ეტო სდელალ"-მეთქი, მიპასუხა – "ვა! ტაგდა მაგალაშვილი შტო სდელალ?!" ერთი სიტყვით, იმ კაცს მალალაშვილის პატივისცემა მაინც ჰქონდა. საკითხავია, ჩვენ ვისი პატივისცემის იმედად უნდა ვიყოთ?!"

იმედს რაც შეეხება, განსაკუთრებული ოპტიმიზმით არც ჩვენი დანარჩენი რესპოდენტები გამოირჩეოდნენ: **ლევან ბერძენიშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი**: "ეს ვანდალური აქციაა და ამ ყველაფერში, ირიბად მაინც, დამნაშავეა ხელისუფლება. არა იმიტომ, რომ ძეგლთან პოლიციელი არ დააყენა, არამედ იმის გამო, რომ საზოგადოებას ვერ აყალიბებს. გუშინ, ამ მოვლენის შეფასებისას, გურამ შარაძემ ბრალი დასდო ყველას, ვისაც კი ოდესმე რაიმე კრიტიკული აზრი გამოუთქვამს. ვფიქრობ, ასეთი აზროვნება გაცილებით მავნეა, ცნობიერების დამანგრეველი და სწორედ ეს ქმნის ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო კულტურის ასეთ დაბალ დონეს. გურამ შარაძე, ბასილ მკალავიშვილი და ის ქურდბაცაცები, რომლებიც ხელოვნების ნიმუშს მხოლოდ ლითონად და მეტალად აღიქვამენ, ჩემი აზრით, ერთი ჯგუფია. ამიტომ, სულ არ მიკვირს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც გურამ შარაძე აკადემიკოსია, მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებას ომი გამოუცხადონ."

**შადიმან შამანაძე, მწერალი**: "დიდგორის მემორიალის მიდამოებში ხშირად ვნადირობ. ორბეთისა და წყლულეთის თავზე ულამაზესად მოჩანდა ეს მემორიალი, ოღონდ, მის შემხედვარეს, ყოველთვის მიუსაფრობის, განცალკევებული სიმყუდროვის განცდა მეუფლებოდა. ასე მგონია, იქ დიდგორობას თუ ავა ვინმე, ისე სულ უკაცრიელად ჩანს. მე მაინც მგონია, რომ იმ მძარცველებზე ამ არჩევნების ფსიქოზმა იმოქმედა. ალბათ დიდხანს ყოყმანობდნენ, გადაეხერხათ ძეგლები თუ არა. ბოლოს პროტესტის ასეთ ფორმას მიაგნეს - ვინ იცის, იქნებ ძეგლებს ხერხავდნენ და თან დეპუტატებს აგინებდნენ. საზოგადოების მიერ ამ მოვლენის გუშინდელ შეფასებას რაც შეეხება, ჩვენი კულტურული შეგნების კრიზისი სწორედ იქ გამოვლინდა. საერთოდ, ის, რაც მოხდა, დღევანდელ საქართველოს შეეფერება. ჩვენი ქვეყანა დღეს იმის ღირსია, რომ გაპარტახებული დიდგორის მემორიალი აღდგენის გარეშე შემოვუნახოთ მომავალ თაობებს, როგორც XX ს-ის 90-იანი წლებისა და XXI ს-ის დასაწყისის ამსახველი ეპოქის ნიშანი".

**დავით ანდრიაძე, კრიტიკოსი:** "რა თქმა უნდა, თავად ფაქტი ვანდალურია, მაგრამ ეს პროცესი ხომ არც გუშინ დაწყებულა და არც გუშინწინ, არამედ მაშინ, როცა კულტურის გარკვეული რეჟიმის დესტრუქცია დაიწყო. როგორც ჩანს, თავად კულტურაში არის რაღაც თვითგამანადგურებელი მექანიზმები და სამწუხაროდ ხშირად აგენტების, ანუ აღმასრულებლების როლში სრულიად უბირი ადამიანები გამოდიან. ჩემთვის ცოტა გამაღიზიანებელი იყო ეს საყოველთაო აჟიოტაჟი, გუშინ ამ ძეგლზე ისეთი ხალხი ალაპარაკდა, რომლისთვისაც მას, როგორც ქანდაკებას, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა. იგი შეიძლება რაღაც სიმბოლოდ აღიქმებოდა, მაგრამ, მის მიღმა ისინი ვერ ხედავდნენ ქანდაკებას, ხელოვნების ნაწარმოებს. ისე, დანანებით უნდა ვთქვა, რაღა მაინცა და მაინც მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება დახერხეს დიდგორში, ჩვენს ქალაქში ხომ საკმაოდ ბევრია ქანდაკება, რომლის დახერხვა-განადგურების გამო მადლიერი დარჩებოდნენ თბილისელი მოქალაქეები. ეს ის ქანდაკებებია, რომელთა ესთეტიკური ღირებულებაც ზუსტად ემთხვევა თავად მასალის ღირებულებას და მომავალში მემგონი ასეთი "დასახერხი" ძეგლების სარეკომენდაციო ნუსხაც შეგვიძლია გავაკეთოთ."

# სატელეფონო ხაზზეა ბობ მინცერი

ვერა ნეფარიძე

"ისთერნ პრომოუშენმა" უკვე დაიწყო ჯაზ-ფესტივალისთვის საზოგადოების მომზადება. დღეიდან რადიო "ფორტუნა" ყოველდღე შესთავაზებს მსმენელს ფესტივალის მონაწილეების მუსიკასა და მათ შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას. გუშინ კი, FM 107,9-ს ოფისიდან რადიო "ფორტუნასა" და გაზეთ "24 საათის" შეკითხვებს ამერიკიდან თავად ბობ მინცერი პასუხობდა.

**- პირველ რიგში გილოცავთ "გრემის" "გრამოფონს", როგორც ვიცით, ექვსი წელიწადი ელოდით ამ ჯილდოს...**

- ულრმესი მადლობა, ეს მართლაც ძალიან ამაღელვებელი იყო ჩემთვის.

**- რა გსმენოდათ აქამდე საქართველოსა და ქართული მუსიკის შესახებ?**

- არაფერი მსმენია ქართული მუსიკის შესახებ, თუმცა ძალიან დაინტერესებული ვარ. თბილისი კი, ვიცი, რომ ძალიან ლამაზი ქალაქია.

**- ბევრს მოგზაურობთ, განსაკუთრებით რომელი ქვეყნის მსმენელს გამოარჩევდით?**

- ძალიან მიყვარს უცხოური მუსიკა, ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება, ვიმოგზაურო სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც არაჩვეულებრივ ხალხს ვხვდები, ძალიან ძნელია გამოვარჩიო, სად არის საუკეთესო მსმენელი.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის თბილისის ჯაზ-ფესტივალზე გამოსვლა?**

- ჩემთვის დიდი პატივია ასეთ ფესტივალში მონაწილეობა და ქართველ მუსიკოსებთან ერთად დაკვრა. იმედი მაქვს, რომ ქართველ მსმენელს იმ მუსიკას შევთავაზებ, რისი მოსმენაც სურს.

**- რამდენად რთულია თქვენთვის სცენაზე უცხო მუსიკოსებთან ერთად მუშაობა?**

- არ არის რთული, პირიქით, ძალიან საინტერესოა მათთან მოღვაწეობა; ხშირად ვთანამშრომლობ მათთან და საერთოდ, ძალიან მომწონს უცნობ მუსიკოსებთან ერთად დაკვრა.

**- ფესტივალზე საკუთარი მუსიკოსები ჩამოგყავთ, რამდენიმე სიტყვით თქვენი კვარტეტის შესახებ?**

- კვარტეტში შესანიშნავი მუსიკოსები არიან. დასარტყამ ინსტრუმენტზე ჯონ რაილი, არაჩვეულებრივი მუსიკოსი გახლავთ; დაახლოებით, 15 წელიწადია ვთანამშრომლობთ, იგი უკრავდა ვანგარდის ორკესტრში, ეს არის ორკესტრი, რომელიც ტედ ჯონს მე ლუისის ბიგ-ბენდიდან დარჩა. რაილი სხვა საკმაოდ ცნობილ მუსიკოსებთანაც თანამშრომლობს, უდიდესი პროფესიონალია დეი ანდერსონი, ბას-გიტარაზე, რომელიც წარმატებული და პატივსაცემია ჯაზმენების რიგებში. ფილ მარკოვიჩი კი ჩემი უსაყვარლესი პიანისტია.

**- ბოლოს სამომავლო გეგმების შესახებ გვსურს გკითხოთ**

- სამომავლოდ ვგეგმავ, გავაგრძელო მუსიკალური მოღვაწეობა, გავიზარდო როგორც ადამიანი და შემდგომ, როგორც მუსიკოსი. ვარ ბედნიერი, ვინაიდან მაქვს საშუალება, ვაკეთო ის, რაც ძალიან მიყვარს, რასაც ვაღმერთებ და შევთავაზო მსმენელს.

# მაიამის სკანდალი „ჰეფი ენდით" დასრულდა

## დღეს პოლ მაკარტნი და ჰიზერ მილსი ჯვარს იწერენ

თამარ მურვანიძე

ჩრდილოეთ ირლანდია დღეს მსოფლიოს შოუ-ბიზნესის ყურადღების ცენტრშია. სამი ლამაზი ტბით დამშვენებულ ლესლის ციხე-სიმაგრეში, რომელიც მე-17 საუკუნეშია აგებული და რომლის ეკლესიაშიც ოდესღაც უინსტონ ჩერჩილი მოინათლა, დღეს პოლ მაკარტნი ჯვარს დაიწერს და კიდევ ერთხელ იტყვის: Love Me Do.

როკ-ენ-როლის ვარსკვლავისა და ცნობილი ფოტომოდელის - "მოდის ლეგენდის" სიყვარულის ისტორია დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია. ჰიზერ მილსი 9 წელია, რაც ლონდონის ცენტრში ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ფეხი დაკარგა. ამის მერე აქტიურად ჩაება საქველმოქმედო საქმიანობაში. მაკარტნიმ და მილსმა ერთმანეთი სამი წლის წინ ერთ-ერთი საქველმოქმედო აქციის დროს გაიცნეს. მაკარტნი მაშინვე მოიხიბლა მისი სილამაზით. 2001 წლის ივლისში მუხლებზე დაჩოქილმა მომღერალმა მას ხელი სთხოვა და ინდური საფირონებითა და ბრილიანტებით გაწყობილი ბეჭედი აჩუქა...

პაპარაცები დიდი ხანია ელოდნენ ამ დღეს. ზაფხულიდან მოყოლებული მათ ორი შეკითხვა არ ასვენებდათ: "როდის და სად?" და ამ კითხვებზე პასუხი ბოლო წუთამდე არ იცოდნენ. კვირა საღამომდე ხომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეკრებილი ჟურნალისტები სამი დღის განმავლობაში ციხე-სიმაგრის გალავანთან იყვნენ ჩასაფრებულნი იმის გასაგებად, ნამდვილად აქ იქნებოდა ქორწილი, თუ არა. მასმედიის წარმომადგენლები ცას ეწივნენ სიხარულით, როდესაც გაიგეს, რომ 54 წლის მაკარტნი და 34 წლის მილსი სწორედ აქ, წმინდა სალვატორის ეკლესიაში, დაიწერდნენ ჯვარს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მაშინაც, როცა მაკარტნი ქორწილის წინა დღეს, ანუ გუშინ, მათთან შეხვედრაზე დათანხმდა, რათა მადლობა ეთქვა "სიმშვიდის შენარჩუნებისათვის".

ლესლის სიმაგრის მფლობელმა, სერ ჯონ ლესლიმ (მისი ოჯახი 300 წელია ამ სიმაგრის მეპატრონეა), ბუნებრივია, ეს ამბავი გაცილებით უფრო ადრე იცოდა, მაგრამ დუმდა: "არ ვამბობდი, მათ ხომ ბოლო წუთამდე შეეძლოთ გადაწყვეტილების შეცვლა."

სხვათა შორის, სერ ჯონი მართალიც იყო. ამასწინათ მაკარტნისა და მილსს ისეთი სკანდალი ჰქონდათ, რომ მათი ურთიერთობა ბეწვზე ეკიდა. სკანდალი რომანტიკულ მაიამიში მოხდა, მაკარტნის გასტროლების დროს. რაღაცაზე გაბრაზებულმა პოლმა სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან მოისროლა საფირონებითა და ბრილიანტებით მორთული ნიშნობის ბეჭედი, რომლის ღირებულება 21 ათას დოლარს შეადგენდა. სასტუმროს მომსახურე პერსონალის ნაამბობის მიხედვით, ის მთელ ხმაზე გაჰყვიროდა: აღარ ვაპირებ შენზე დაქორწინებასო. ეს ამბავი 18 მაისს მოხდა, მაგრამ თავმომწონე პაპარაცების გულგასახეთქად მხოლოდ 3 ივნისს გახმაურდა. თუმცა, მაკარტნის სიფიცხემ მალე გადაუარა და გონს რომ მოეგო, კურორტის უშიშროების სამსახურს მიმართა დახმარებისთვის. მაკარტნიმ 1650 დოლარით დაასაჩუქრა ბეჭდის მპოვნელი, დაცვის იღბლიანი თანამშრომელი.

სკანდალი "ჰეფი ენდით" დასრულდა. კვირა საღამოს წყვილი ვერტმფრენით ჩაფრინდა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ლესლის ციხე-სიმაგრეში... დღეს უკვე მათი ქორწილია. ამ ქორწილისთვის სიმაგრის ტერიტორიაზე დიდი სამზადისი გაიმართა, ოღონდ - ფარული სამზადისი. საჭმელ-სასმელი სიმაგრეში ფურგონებით შეიტანეს, ფეიერვერკისთვის შაშხანები ხის ფულუროებში გადამალეს. არანაკლები ჯაფა დაადგათ ჟურნალისტებსაც. ფოტორეპორტიორები ვერტმფრენებით დაფრინავდენ მონიშნული ტერიტორიის თავზე, არაფერი რომ არ გამოჰპარვოდათ.

ქორწილამდე ერთი დღით ადრე ჟურნალისტებმა, როგორც იქნა, მაკარტნის წარმომადგენელს, ჯეფ ბეიკერს გამოსტყუეს ინფორმაცია, რომ წვეულება 300-კაციანი იქნებოდა, მაგრამ სტუმართა სახელები მაინც ვერ დააცდევინეს. დღემდე მარტო ის იყო ცნობილი, რომ ცერემონიალს ნამდვილად დაესწრებოდნენ "ბითლზის" წევრი რინგო სტარი და ლეგენდარული გიტარისტი ერიკ კლაპტონი. იქაური მაცხოვრებლები კი ამტკიცებდნენ, რომ მოწვეულთა შორის ელტონ ჯონი და კლიფ რიჩარდი აუცილებლად იქნებოდნენ.

მაკარტნიმ და მილსმა თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ გასული წლის ზაფხულში აცნობეს საზოგადოებას. მაგრამ ქორწინების დეტალები არ გაუხმაურებიათ, ამიტომაც გაზეთების უმრავლესობა (მათ შორის "ნიუ-იორკ პოსტი") აღნიშნავდა, რომ ქორწინება ბოლომდე იდუმალებით იქნებოდა მოცული და პროგნოზმა გაამართლა კიდეც. ლამის ბოლო წუთამდე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ქორწილი მანჰეტენზე არ გაიმართებოდა.

ირლანდიაში მაკარტნის დედულეთია, ამიტომაც მისი ეს არჩევანი არავის უკვირს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ირლანდიაში ჯვარის დაწერა ძალიან პოპულარული გახდა. 1999 წელს აქ დევიდ ბეკჰემმა და ვიქტორია ადამსმა დაიწერეს ჯვარი. გასულ წელს კი ბოლო ჯეიმს ბონდმა, პირს ბროსნანმაც ირლანდიური ქორწილი გადაიხადა.

ჯერ კიდევ საკითხავია, როგორ გადანაწილდება მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მაკარტნის ქორწილის ცერემონიალსა და ირლანდია-საუდის არაბეთის მატჩს შორის. ამ მხრივ მაკარტნიმ საქორწილოდ წამგებიანი დღე აირჩია, რადგან ბევრ სტუმარს ალბათ ერთი სული ექნება, დროზე მიუსწროს ფეხბურთის მატჩს. ერთი კი უდავოა, დღეს მთელი მსოფლიოს მზერა ირლანდიისკენ იქნება მიპყრობილი.



ჰიზერ ლინსი და პოლ მაკარტნი

REUTERS

## მოზარდ მაყურებელთა თეატრის ვიდეო-ტურნე საქართველოში

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი უჩვეულო ფორმით საქართველოს კუთხეებში იმოგზაურებს. საბავშვო თეატრების განვითარების ფონდმა გადაწყვიტა, მოზარდ მაყურებელთა თეატრის საუკეთესო სპექტაკლები ვიდეოკასეტებზე ჩაწეროს და საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ვიდეოპროექტორის საშუალებით აჩვენოს მოსახლეობას. თეატრალურ ტურნეში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, რომლებიც სხვადასხვა ეპიზოდებს სცენებზე ითამაშებენ. პროექტს სოროსის ფონდი დააფინანსებს. ამას გარდა, მოზარდ მაყურებელთა მცირე დარბაზი დაეთმობა ბავშვთა ლიტერატურულ თეატრს, სადაც პოეზიის საღამოებსა და ლიტერატურულ სპექტაკლებს გამართავენ.

## „მოდი ნახე" გერმანიაში

თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სახალხო თეატრის "მოდი ნახეს" დასი წარმატებული გასტროლების შემდეგ თბილისში დაბრუნდა. თეატრი გერმანიაში მცირე თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობდა. ქართულმა დასმა ქალაქ კარლსრუეში რეზო კლდიაშვილის პიესის მიხედვით დადგმული "იადონას თეატრი" აჩვენა. ჩვენება სრული ანშლაგით გაიმართა, სპექტაკლმა კი, მაყურებელთა და კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა.

## სერ პოლის შემდეგ, სერ მიკი

მიკ ჯაგერი – როკ-ლეგენდა, "ცუდი ბიჭი", განთქმული მექალთანე – მალე კიდევ ერთ ტიტულს მოიპოვებს. ამჯერად მას მუსიკალური სამყაროს ნაცვლად დედოფალი დააჯილდოებს და რაინდობას მიანიჭებს. "ეს სერ მიკია! ბოლოსდაბოლოს მის სატანურ უდიდებულესობასაც სასახლეში უხმობენ", - ასეთი სათაურებით აღნიშნეს ბრიტანულმა გაზეთებმა ეს ახალი ამბავი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციის შესახებ კომენტარს არც ბუკინგემის სასახლე და არც დაუნინგ სტრიტი არ აკეთებს.

პრესაში გავრცელებული ხმების მიხედვით კი, 58 წლის ჯაგერის სახელი, 40 წლიანი მუსიკალური კარიერის შემდეგ, რაინდობის კანდიდატთა სიაში მართლაც ფიგურირებს. რაინდობის ძალაში შესასვლელად დედოფლის ხელმოწერაღა რჩება. ელისაბედი კი თავის ხელმოწერას ახალ სერებს მომავალ შაბათ-კვირამდე არ აღირსებს.

მიკ ჯაგერი ამ საპატიო ჩამონათვალში ძალზე საინტერესო გზით მოხვდა. არაოფიციალური ვარაუდით, დედოფლის ყურადღება ჯაგერმა ერთ დოკუმენტურ ფილმში მოსწრებული ხუმრობით მიიქცია. მაშინ მან აღნიშნა, რომ ისეთ პოპ-ლეგენდებს შორის, როგორებიც პოლ მაკარტნი და ელტონ ჯონია, თავად არის ერთადერთი უტიტულოდ დარჩენილი მომღერალი. არადა, ტალანტითა და პოპულარობით არც ერთ მათგანს არ ჩამორჩება. როგორც ჩანს, ეს შენიშვნა დედოფლისთვის გადამწყვეტი გამოდგა და ჯაგერიც სასახლეში მიიწვია.

## პრესლის ახალი კოლექცია

შემოდგომიდან მუსიკალური მაღაზიის თაროებზე გამოჩნდება RCA Records ახალი ნაკრები, სადაც ელვის პრესლის საუკეთესო 30 სიმღერა შევა; BMG Heritage კი, ოთხდისკიან ანთოლოგიას Elvis: Today, Tomorrow & Forever გამოსცემს. ანთოლოგიაში როკ-ენ-როლის მეფის 1954-76 წლებში დაწერილი 100 სიმღერა შევა. გამოცემის მიზანი ადრე გამოშვებული ჩანაწერების გამდიდრებაა და არა მათი გამეორება.

პარალელურად, მსოფლიო საგამომცემლო ბაზრის ლიდერი Bertelsmann's Random House, ლეგენდარულ მუსიკოსზე სამ წიგნს (The Elvis Treasures, Girl's Guide to Elvis, Lilo & Stitch) გამოსცემს.

ამჟამად ევროპის წამყვან რადიოსადგურებში წარმატებით ტრიალებს სინგლი, A Little Less Conversation . ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც ელვის პრესლის სიმღერაზე რემიქსი გაკეთდა; სინგლს "წლის ისტორიული ჩანაწერი" დაარქვეს. ეს მისია პროდიუსერმა და დი-ჯეიმ JXL- მა შეასრულა. შეგახსენებთ, სწორედ ეს სიმღერა შეარჩია Nike-მ საკუთარი პროდუქციის სარეკლამო რგოლების გასაფორმებლად.

## „ემინემ შოუს" არნახული წარმატებები

მსოფლიო უკვე ალაპარაკდა სკანდალური რეპერის რეკორდზე – ემინემის ბოლო ალბომი, "ემინემის შოუ" გამოსვლიდან პირველი სამი დღის განმავლობაში 285 ათასი ეგზამპლარი გაიყიდა. როგორც ჩანს, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. არ გასულა ერთი კვირა და გაყიდული ალბომების რაოდენობა ორ მილიონს მიუახლოვდა.

"ემინემ შოუს" წარმატებას ხელი ვერც მოჭარბებულმა პირატულმა ჩანაწერებმა შეუშალა. როგორც ჩანს, მუსიკალური გამოცემებით მეკობრეობა ამერიკაშიც ისეთი გადაულახავი პრობლემაა, რომლის წინაშე ემინემიც კი უძლური აღმოჩნდა. მუსიკოსმა ვეღარ დაძლია ახალი ნამუშევრის წარუმატებლობის შიში და ის დაგეგმილზე ერთი კვირით ადრე გამოუშვა. თუმცა, ხუთდოლარიანმა დისკებმა რეალურად ვერაფერი დააკლო ლიცენზირებული "ემინემ შოუს" გავრცელებას. ალბომის გამოსვლიდან დღემდე მილიონ რვაასი ათასი ეგზემპლარია გაყიდული, ეს კი დაახლოებით, იმდენია, რამდენსაც ამერიკული "ტოპ ოცეულის" ყველა ალბომმა ერთად მიაღწია.



არქიტექტურა

# ექსცენტრიული გაუდის სიზმრების სამყარო

## ანუ, საბედისწერო ტრამვაის გამოჩენამდე



ცეცხლოვანი მუსიკა და მზიანი ხალხი, პიკასოს მუზეუმი და მიროს კოლექციები – ეს ყველაფერი ბარსელონას სიამაყეა. თუმცა, კატალონიის დედაქალაქში არსებობს ასეთი ტერმინიც – სიამაყეების სიამაყე. ასე მოხსენიების ღირსი ბარსელონაში მხოლოდ **ანტონიო გაუდის** შედევრებია.

**"საგრადა ფამილია"** – მონუმენტალური ეკლესია, გაუდის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები. მას არქიტექტორის ჩანაფიქრში **"მეოცე საუკუნის ეკლესიის"** ტიტული უნდა მოეპოვებინა. ეს ასეც მოხდა, თუმცა, გაუდი ამ დღეს ვერ მოესწრო. ეკლესია, რომლის სამუშაოებსაც გენიოსმა მთელი ცხოვრება შესწირა, მას დაუმთავრებელი დარჩა – ანტიონიო გაუდის ტრამვაი დაეჯახა და დაიღუპა...

ეს 1926 წელს იყო. მანამდე კი გაუდიმ თითქმის შეძლო, თავისი სიზმრები არქიტექტურაში გაეცოცხლებინა.

**პასეო დე გრასია** – ბარსელონას ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ქუჩა. მეტროდან ამოსვლისთანავე, ხედავთ საოცრებას - დგას სახლი, რომელიც ზღვას გავს, აქვს აივნები – ნიღბებივით, სახურავი – გიგანტური რეპტილიასავით, ფერები – სიზმარივით. ეს **"კაზა ბატლოა"**, ქსოვილებით მოვაჭრე ჯოზებ ბატლო კაზანოვასის სახლი, ანტონიო გაუდის ერთ-ერთი შედევრი.

ბატლოს ნამდვილად გაუმართლა – მისი მეწარმე მეგობრები იმ ხანად სულ შურით სკდებოდნენ – ბატლოსნაირი სახლი ბარსელონაში არავის ჰქონდა. მიზანიც ეს იყო – ბატლომ გაუდი თავისი ერთფეროვანი და უსახური სახლის გასალამაზებლად დაიქირავა.

სამუშაოები 1904-06 წლებში მიმდინარეობდა. გაუდიმ მისტიციზმი, აბსტრაქტული ნატურალიზმი, ექსპრესიონიზმი – ყველაფერი ერთად გამოიყენა და შედეგად თავისი ერთ-ერთი ყველაზე დასრულებული ნაწარმოები მიიღო.

ჩვენც, მეტროდან ამოსვლის შემდეგ, სწორედ **კაზა ბატლოს** წინ შევჩერდით. ამჩნევთ, არა? სახლი მრავალფეროვანი ფორმების და ორნამენტების კრებულს წარმოადგენს. თუმცა, ისეთი სიმსუყის განცდა მაინც არ ჩნდება, სადილობის შემდეგ რომ იცის ხოლმე. პირიქით, **"კაზა ბატლო"** სიმსუბუქეს და სინათლეს აფრქვევს, მიზეზი კი მრავალფეროვანი კერამიკული დეკორაციებია.

ეხლა პირველი სართულის ფასადს დააკვირდით, სანამ ფანჯრების ფერადი შუშები მოგჭრიან თვალს, ლოჯიის ტალღებივით ნაკვეთი ქვის კედლებით დატკბით. ასე უცნაურად დამუშავებული ქვების გამო, **"კაზა ბატლოს"** ბარსელონელები **"ლა კაზა დელ ოსოსაც"** ეძახიან, ანუ ძვლების სახლს. მართლაც ქვის კედლები ძვლებს გვანან, ფერითაც და ფორმითაც.

...კონტრასტმა გაგაოცათ, არა? უფრო მაღლა ხომ კერამიკისა და ფერადი შუშის მოზაიკას რკინის აგრესიული აივნები ცვლის, ნიღბის ფორმის, გამომწვარი თუჯით დამზადებული. სხვათა შორის, გამომწვარი თუჯი გაუდის საყვარელი მასალაა.

სახურავი კი... სახურავი გიგანტური დინოზავრის ხერხემალს გავს, დაახლოებით ისეთის, სანტ ჟორდიმ (წმინდა გიორგი) რომ მოკლა თავისი მახვილით. თან, არ დაგავიწყდეთ, წმინდა გიორგი კატალონიელების მფარველი წმინდანია.

რა თქმა უნდა, სახურავის ფერიც საოცარია – მოლურჯო-მოვარდისფრო. ყველაფერს კი პატარა კოშკურა აგვირგვინებს, გაუდის საყვარელი ორნამენტით – ოთხწახნაგოვანი ჯვრით.

ეხლა კარი შევაღოთ. გაუდის წარმოსახვა არც ინტერიერის მოწყობისას ნელდება. დახვეული კიბეები, ფართო ჰოლები, ფანჯრები, საიდანაც ფასადის გარდამავალი ფერების შესაბამისად, ოთახში სხვადასხვა ფერის სინათლე იჭრება. ფერები ერთმანეთს მოზაიკური ვიტრაჟების წყალობითაც ცვლის. ხოლო არასწორი ფორმების და ხაზების საშუალებით ჭერი და იატაკი თითქოს ერთმანეთს ერწყმის, ერთი მთლიანია.

რა გასაკვირია, რომ ასეთი მდიდრული წარმოსახვის მქონე გაუდი ავეჯსაც შემოქმედებითად უდგება. არც ერთი დეტალი ერთმანეთს არ გავს. თითოეული ნივთის, თითოეული ნიუანსი სრულყოფილია და შედევრია.

აი, ეს კედელში ჩაშენებული ბუხარი ნახეთ. გარდამავალი ფერებით, უსწორმასწორო ფორმებით, ისეთივე სკამებით. გარედან, კედელზე ეს კომპლექსი სოკოს ფორმას ქმნის, შიგნით კი, ცეცხლის ფონზე, ყავისფერ ტონალობაში ფანტასტიკური ფერები იქმნება. მთლიანობაში – სიმყუდროვე.

აი, ასეთი ექსცენტრიული, ორიგინალურია გაუდი. მისი არქიტექტურა ინტრიგაა, ფანტაზიაა, არც ერთი სწორი ხაზია.

მდიდარი წარმოსახვა, როგორც ამბობენ, გაუდის ბავშვობის წლებიდან მოჰყვება. რევმატიზმით გატანჯულ არქიტექტორს ექიმმა სოფელში, სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა გამოუწერა. ალბათ, სწორედ მაშინ იგრძნო გაუდიმ პირველად დეტალის, ბუნების სილამაზე...

თუმცა, ერთი დრამატულ-კომიკური დეტალი: 1926 წლის ივლისის ერთ, თითქოს, მშვენიერ დღეს, როცა გაუდი, ტრადიციულად, სამსახურიდან წმ. ფილიპ ნერის ეკლესიისკენ მისეირნობდა, ტრამვაი დაეჯახა. მის დასახმარებლად არავინ განძრეულა – ღარიბული ტანსაცმლის გამო გამვლელებმა გაუდი ქუჩის მაწანწალად მიიღეს. რამდენიმე ხანში, ის საავადმყოფოში გარდაიცვალა...

არქიტექტურის გენიოსისათვის ცოტა სევდიანი დასასრულია, არა?

## იაპონური კროსვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული იაპონური კროსვორდის პასუხი



# TV პროგრამა 11 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომენიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 დოკ.ფილმი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკროსტოკი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჯეი და ბობი" მთ.როლებში: ბენ აფლეკი, შენონ ელიზაბეტი

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: დანია - საფრანგეთი
13.30 ლერერის შოუ
14.20 ქიმერიონი
15.00, 20.00, 22.50 მოამბე
15.15 ჩვენი მისამართია
15.55 50-50 16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: ს. არაბეთი - ირლანდია
18.30 სერიალი "მორიგი მსხვერპლი"
19.10 "სიტვა კაზმული"
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი: დანია - საფრანგეთი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ვიდეოპატრული
00.25 მხ.ფ. "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (11 - 12 სერია)

### მეორე არხი

111.20 ფეხბურთი. სენეგალი - ურუგვაი
16.20 ფეხბურთი. კამერუნი - გერმანია
18.30 ფეხბურთი. სენეგალი - ურუგვაი (განმეორებით)
20.30 ფეხბურთი. კამერუნი - გერმანია (განმეორებით)
22.30 "მოამბე" მეორე არხზე
22.45 მუსიკა
23.00 ფეხბურთი. ს. არაბეთი - ირლანდია

### ევრიკა

110.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "რობორც თევზი უწყლოდ"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.50, 12.10, 20.20, 22.05, 23.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სუინი ტოდი"
10.00 მხ.ფ. "სფერო"
20.25 მხ.ფ. "ბილი ელიოტი"
22.15 ძველი კინო_მხ.ფ. "კუზიანი ნოტრდამიდან"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "სამი მუშკეტერი"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 სველი ხაზი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სეიფების გამტანი". მთ. როლებში რობერტ დე ნირო, ედვარდ ნორტონი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "შიშის სიმფონია". მთ. როლებში ჯოსი ბისეტი, ჯეისონ ბექპი
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ოქროს თითი"
13.50 მხ.ფ. "ნაიარევი სახე"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "პიკი საათი 2"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.40 მხ.ფ. "სფერული ელვა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-6 სერია
09.50 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-6 სერია
10.20, 11.20, 14.20, 15.50, 17.15, 18.50, 21.20, 23.50, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.30 მხ.ფ. "სამი მეფე"
13.25 დოკ. ფილმი "მაგია - წარსული და აწმყო"
14.45 დოკ. ფიოლმი "ბილიკების ენა"
16.00 დისქავერი
16.30 მხ.სერიალი "ბენზინი სისხლში" მე-11 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-7 სერია
18.20 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-7 სერია
19.00 მხ.ფ. "ოთხფეხა პატარა 1" მთ. როლებში ჯეიმს კსომველი, მაგდა ჟუბინსკი
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ეგზისტენცია" მთ. როლში ჯენიფერ ჯეისონ ლი
00.40 მხ.ფ. "ატილა". მთ. როლებში ჟერარდ ბატლერი, რებ ჯოსერი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული ფილმი
10.55 დოკუმენტური ფილმი
12.00,16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "გმირი"
14.10 ფილმი-კატასტროფა "ვულკანი"
16.15 მულტფილმი "ჯადოსნური ქვეყანა"
17.20 ისტორიული ფილმი ":ანა დ არკი" 1 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "წარსულიდან აწმყოში"
19.40 მელოდრამა "მელვინეთა წესები"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "Пресс-папье"
23.15 "რა არ ხდება"
23.25 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "სპეციალისტი"
03.30 ისტორიული ფილმი "ნეფერტიტი მზის ქალიშვილი"
05.05 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 აფიშა
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ...
09.55 "აჩიკუდა"
10.20 "ბედნიერი ერი"
10.25 მოკლედ... სპორტი
10.30 მუსიკალური ტაიმაუტი
11.20 მულტსერიალი
11.35 "ავტოტრეკინგი"
12.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.40 გასართობი პროგრამა
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.50 სპორტი
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 მუსიკალური ტაიმაუტი
18.50 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.45 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
20.40 მუსიკალური ობიექტივი
21.05 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 "ღამის კაპრიზი"
22.00 მოკლედ... სპორტი
22.15 მოკლედ...
22.30 "კინოკლუბი " -ეკრანული სახეები - ჯეკ ნიკოლსონი - მხ.ფილმი "პატრული გზაჯვარედინზე".
00.15 პრესის მიმოხილვა
00.45 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
01.05 მუსიკალური ბიორითმი
01.30 მხ.ფ. ჟანრებში: - "პატარა კომედიები" - 2 სერია
03.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15 Жди меня (с сурдопереводом)
11.15 Ералаш
11.20 ФУТБОЛ. ДАНИЯ-ФРАНЦИЯ.
13.50 х.ф. "ФОРМУЛА ЛЮБВИ"
15.35 Дисней-клуб.
16.20 ФУТБОЛ. КАМЕРУН- ГЕРМАНИЯ.
18.30 "С легким паром!"
19.25 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.20 х.ф. "ВОЛЧЬЯ КРОВЬ"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.25 Лубянка. "Треугольник Пеньковского"
00.05 Сериал "КИТАИСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 Чемпионат мира по футболу.
02.35 х.ф. "ОСТРЫЕ ОЩУЩЕНИЯ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 16.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожний патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я.
09.15 Колоссальное хозяйство
09.40 "Пролог" часть 2-я.
10.10 Моя семья.
11.20 х.ф. "СЫЩИК ПЕТЕРБУРГСКОЙ ПОЛИЦИИ"
13.10 Сериал "СИБИЛЛ".
13.45 ФУТБОЛ. СЕНЕГАЛ-УРУГВАЙ.
16.20 Сериал "ЛОДКА ЛЮБВИ"
17.15 Сериал "дикий ангел"
18.50 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Дневник чемпионата мира по футболу.
22.50 х.ф."КОБРА. ЧЕРНАЯ КРОВЬ". 4-я ч.
23.45 х.ф. "НАЙТИ И ОБЕЗВРЕДИТЬ"
01.35 ФУТБОЛ. САУД. АРАВИЯ- ИРЛАНДИЯ.

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30 Сегодня.
07.05, 07.35, 08.10, 08.35, 09.10, 09.35 Утро на НТВ
09.55 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 00.50 Сегодня.
11.25 Внимание розыск!
12.20 Квартирный вопрос.
13.20, 16.40, 19.40 Криминал
13.30 фильм "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ"
15.20 Ток-шоу "Принцип "Домино"
17.30, 21.45 Сериал "ПО ИМЕНИ БАРОН..."
18.35 Фильм "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН".
23.35 Премьера. "Российская империя" 2-я ч.
01.10 фильм "СМЕРТЕЛЬНО ОПАСНЫЙ МИСТЕР ФРОСТ".


